ანგელოზ
ჭალდანი

კოშკეჯის საყაზროში

ჩამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1978

91(с41)
91(47.922,
ჟ 185

ნაშრომში ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით პოპულარულადაა გადმოცემული ზემო სვანეთის მოკლე გეოგრაფიულ-ისტორიული მიმოხილვა. განხილულია მეურნეობისა და რელიგიის თავისებურებანი, საოჯახო ყოფა, აღწერილია მატერიალური კულტურის ძეგლები და სხვ.

20904 — 142
К————————347—78
М601(08)—78

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1978

გეოგრაფიული მიმოხილვა

კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთისა და სვანეთის ქედის ჩრდილოეთის კალთებზე, მდინარე ენგურის ზემო აუზში, მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთი საინტერესო მხარეთაგანი, ზემო სვანეთი, რომელიც სხვა რეგიონებისაგან არსებითად მაღალმთიანობით განსხვავდება. სწორედ აქ არის ყველაზე მკვეთრად გამოხატული კავკასიონის მაღალმთიანი ლანდშაფტი თავისი მომხიბლაობითა და მრავალფეროვნებით.

ჩრდილოეთიდან ზემო სვანეთს ესაზღვრება კავკასიონის მთავარი ქედი თავისი უმაღლესი მწვერვალებითა და მთელ სიგრძეზე გაყოლებული მაღალი კედლით, რომლის გადაღმა ყაბარდო-მალყარეთი მდებარეობს. ამ მთაგრეხილზეა აღმართული მრისხანე უშბა, ულამაზესი თეთნულდი, ცბიერი შხარა, ციცაბო შხელდა, მიუვალი შდავლერი და მრავალრიცხოვანი დიდი თუ პატარა სხვა მწვერვალი, რომელთა შორის უმაღლესია შხარა (ზღვის დონიდან 5 058 მ.).

სამხრეთის მხარეს ზემო სვანეთის საზღვარი სვანეთის ქედია. მისი სამხრეთის კალთები ქვემო სვანეთს უკავია. სვანეთის ქედი კავკასიონის ქედის პარალელურად მიემართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მისი უმაღლესი მწვერვალებია: ატკვერი, ლატფარი, მუშური, ლაილა და სხვა.

დასავლეთით ზემო სვანეთს კოდორის ხეობა ესაზღვრება, სამხრეთ-დასავლეთით სამეგრელოს მთიანეთს ებჯინება, ხოლო აღმოსავლეთით ცხენისწყლის ხეობის სათავეებს ეკვრის.

კავკასიონის მთავარი ქედის ერთ-ერთი სამხრეთის განშტოება, ბალის ქედი, ზემო სვანეთს ორ ნაწილად ჰყოფს. აღმოსავლეთის ნაწილი, რომელიც უშგულიდან ბალის ქედამდე მდებარეობს, ცნობილია „თავისუფალი" სვანეთის სახელით (ასე იწოდებოდა XIX ს. მეორე ნახევრის ლიტერატურაში), ხოლო დასავლეთის ნაწილი, ბალის ქედიდან ჯვარამდე — სადადეშქელიანო სვანეთის სახელწოდებით.

თავისუფალი სვანეთი სამ ნაწილად იყოფა უღვირისა (თეთნულდის სამხრეთ-დასავლეთის განშტოება) და კახურის (ბანგურიანის მთის სამხრეთის განშტოება) ქედებით.

ზემო სვანეთის რაიონი თხუთმეტი სასოფლო საბჭოსაგან შედგება. ესენია: 1) უშგულის, 2) კალის, 3) იფარის, 4) მულახის, 5) მესტიის, 6) ლენჯერის, 7) ლატალის, 8) ბეჩოს, 9) ეცერის, 10) ცხუმარის, 11) ფარის, 12) ლახამულის, 13) ნაკის, 14) ჭუბერისა და 15) ხაიშის.

ყოველი სასოფლო საბჭო რამდენიმე სოფლისაგან შედგება. ყველაზე მეტი (18) სოფელი ხაიშის სასოფლო საბჭოში იყრის თავს, ყველაზე ნაკლები (4) კი უშგულის სასოფლო საბჭოში.

ასევე თხუთმეტ ნაწილად ან „საზოგადოებად" იყო დაყოფილი ზემო სვანეთი XX ს. დასაწყისშიც. XIX ს. მეორე ნახევარში კი მხოლოდ ცამეტი საზოგადოება გვაქვს. ასეთ დაყოფას ძირითადად გეოგრაფიული გარემო განაპირობებდა, რასაც საფუძვლად ხევი ედო.

შუა საუკუნეებში, როგორც ეს სვანეთის საისტორიო წყა-

როებიდან ირკვევა, ზემო სვანეთი სწორედ ხევებად ყოფილ! დაყოფილი.

რელიეფის მიხედვით ზემო სვანეთი მაღალმთიანი ვიწრო (20—25 კმ. სიგანის) ხეობაა. მისი სიგრძე 120 კმ-ს არ აღემატება. ხეობა აღმოსავლეთიდან დაქანებულია დასავლეთით. სიმაღლეთა დიდი ამპლიტუდები და რთული ოროგრაფიული პირობები მის ლანდშაფტს მრავალფეროვანს ხდის. რელიეფის სიმაღლეთა სხვაობა უმაღლეს და უდაბლეს წერტილებს შორის 4.300 მ-ს შეადგენს.

ზემო სვანეთის ცენტრალურ ღერძს მდინარე ენგური წარმოადგენს. ენგური სათავეს შხარას მყინვარიდან იღებს, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემართება, შემდეგ სამხრეთ-დასავლეთით უხვევს და სამეგრელოს დაბლობში გადადის.

მოსახლეობა განლაგებულია მდინარე ენგურისა და მისი შენაკადების: მულხურას, მესტიაჭალას, დოლრას, ნაკრას, ნენსკრასა და სხვათა ხეობებში. მათ შორის სამეურნეო თვალსაზრისით ყველაზე კარგი პირობებია მულხურასა და მისი შენაკადის მესტიაჭალას ხეობებში, მდინარე ნენსკრას ხეობაში და ენგურის ხეობის იმ მონაკვეთზე, რომელიც ლაფსყალდიდან ლეჰამდე მდებარეობს.

ზემო სვანეთის ყველაზე მაღლა მდებარე სოფელი ჟიბიანი ზღვის დონიდან 2.200 მ-ის სიმაღლეზეა, ხოლო ყველაზე დაბლა მდებარე სოფელი თოთანი 700 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს.

გვიანი შუა საუკუნეებისათვის ზემო სვანეთის უკიდურესი დასავლეთის დასახლებულ პუნქტს ლალვერი წარმოადგენდა. სვანეთის საისტორიო წყაროებში ხშირად გვხვდება საუბარი ერთობლივი სვანეთის ხევის შესახებ, რომელიც უშგულსა

და ლალვერს შორის არის მოთავსებული. ფიქრობენ, რომ ლალვერი დღევანდელი ნაკის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მდებარეობდა.

სიმაღლეთა დიდი სხვაობა და ხეობათა სხვადასხვაგვარი მდებარეობა განაპირობებენ ზემო სვანეთის ცალკეული კუთხეებისათვის სხვადასხვა კლიმატურ პირობებს. საორიენტაციო კლიმატის ცვალებადობა + 15°-დან—26°-სს აღწევს[1], ამასთან ზამთარი განსაკუთრებით ხანგრძლივი და მკაცრია უშგულში, ჭუბერის ხეობაში კი კლიმატი თავისი რბილი ხასიათით დიდად განსხვავდება დანარჩენი ხევების კლიმატისაგან.

ზემო სვანეთის ტერიტორიის ფართობი 3.320 კმ² შეადგენს. 1970 წ. აღწერის მონაცემების მიხედვით მოსახლეობის რაოდენობა 18. 172 სულს აღწევს.

ზემო სვანეთი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, მცენარეულობით. მთელი მისი ტერიტორია ალპიურ ზონამდე ხშირი წიწვოვან-ფოთლოვანი ტყეებითაა დაფარული. აქ გვხვდება ფიჭვი, სოჭი, ნაძვი, წითელი ხე. ფოთლოვანი დენდროლოგიებიდან ჭარბობს მუხა, რცხილა, იფანი, წიფელი, თელა. მრავლადაა ტყის მსხალი, ვაშლი, თხილი. ლახამულიდან ჯვარამდე ენგურის ხეობის გაყოლებაზე არის წაბლისა და კაკლის ტყეებიც.

ზემო სვანეთის თითქმის ყველა ხეობაში გვხვდება მინერალური წყაროები. მათ ან სასმელად იყენებენ, ან ათბობენ და აბაზანებს იღებენ სხვადასხვა დაავადებათაგან განკურნების მიზნით.

---

[1] Экспедиция АН СССР, 1935, № 7—8, 91.

მდინარეები მდიდარია კალმახით, ბოლო მთები და ტყეები — ჯიხვით, არჩვით, დათვით, მგლით, მელიით, კვერნით, ციყვით და სხვა.

გზები

სვანური ანდაზა გვამცნობს: „წყალსა და გზაში ყველას წილი უდევსო". ეს მართლაც ასე იყო ზემო სვანეთში გარკვეულ პერიოდამდე. გზით სარგებლობის უფლება ყველას ერთნაირად ჰქონდა, მაგრამ იცვლებოდა დრო და მასთან ერთად ეს უფლებებიც.

ზემო სვანეთის მთავარი საგზაო კომუნიკაცია მდინარე ენგურის ხეობაზე გადიოდა. იწყებოდა უშგულში, ზემო სვანეთის თითქმის ყველა საზოგადოებას გაივლიდა და უკავშირდებოდა სამეგრელოს. ამ გზით ხდებოდა სვანეთიდან თაფლის, ცვილის, ტყავის, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებისა და სხვათა გატანა ბარისაკენ. ამავე გზით სარგებლობდნენ რომაელი ვაჭრები და ლეგიონები თუ სპარსთა ურდოები.

გვიანფეოდალური ხანისათვის დადგა დრო, როცა თავისუფალი სვანეთის მოსახლეობას უკვე აღარა აქვს ამ კომუნიკაციით სარგებლობის ძველებური უფლებანი. ბალს ქვემოთ დადეშქელიანები გაბატონდნენ და, ცხადია, თავისუფალ სვანეთს, რომლის დამორჩილებაც მათ ვერ განახორციელეს, ამ გზით სარგებლობის უფლება წაართვეს. ამას დაემატა გამუდმებული შუღლი და მტრობა სადადეშქელიანო სვანეთსა და მის დასავლეთით მდებარე სამთავროებს (აფხაზეთი, სამეგრელო) შორის, რამაც ზემო სვანეთის საკმაოდ დიდი ტერიტორიის დაცლა გამოიწვია. დაიცალა და გაუკაცრიელდა ჯვარი-

დან ლახამულამდე გადაჭიმული ტერიტორია. სვანური ხატოვანი გამოთქმით კი „სოფლის ფეხს გზა გაუკაფავსო“, ან „გზას მიმსვლელ-მომსვლელი აკეთებსო“. ცხადია, მოსახლეობის აყრამ და ხსენებული ტერიტორიის მიტოვებამ გამოიწვია ის, რომ გზას მიმხედავი მოაკლდა, მოძრაობის ინტენსიურობა მინიმუმამდე დაეცა და თანდათან მწყობრიდან გამოვიდა (განსაკუთრებით ლახამულა-ჯვარის მონაკვეთზე).

ზემო სვანეთის ცალკეული ხეობები, საზოგადოებები, სოფლები ერთმანეთთან მრავალრიცხოვანი სამარხილე, სასაპალნე თუ საცალფეხო გზებით იყო დაკავშირებული. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალით უშგულსა და ნაკს შორის მდებარე თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტს (მანძილი დაახლოებით 85 კმ) სამარხილე გზა აკავშირებდა. ზოგი ხეობა თუ საზოგადოება ორი სამარხილე გზითაც კი ყოფილა დაკავშირებული (მესტია-ლენჯერი, მესტია-მულახი, ეცერი-ბეჩო და სხვა).

სვანთა სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობა მეზობელ ტომებთან მრავალრიცხოვანი საუღელტეხილე გზებით ხორციელდებოდა. ჩრდილო კავკასიიდან კავკასიონის ქედზე გამავალი უღელტეხილებით გადმოჰყავდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, გადაჰქონდათ და გადმოჰქონდათ ტვირთი ცხენებით, ჯორებით, სახედრებით, ზურგით.

მალყარეთისაკენ გადადიოდნენ წანერის, ტვიბერის, მესტიის, ბეჩოს, დონღუზ-ორუნისა და ბასის უღელტეხილებით. მათ შორის სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობისათვის ყველაზე მოხერხებულია ტვიბერის, ბეჩოსა და დონღუზ-ორუნის უღელტეხილები. ზაფხულობით მათზე გადმოჰყავდათ საქონელი, გადმოჰქონდათ ტვირთი, სავაჭრო ნაწარმი.

შდულის გადასასვლელით შესაძლებელი იყო თავისუფა-

ლი სვანეთიდან ჩრდილო ოსეთში სასაზღვრო ტვირთის გადატანა, საქონლის გადაყვან-გადმოყვანა.

მეთხუთმეტე საუკუნემდე რაჭის მთიანეთის საკმაოდ დიდი ტერიტორია ზემო სვანეთის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. აქ გამავალი მამისონის უღელტეხილით სვანები სავაჭრო კავშირს ამყარებდნენ ჩრდილო ოსეთთან.

ზემო და ქვემო სვანეთი დაკავშირებული იყო ერთმანეთთან ლატფარის, ატკვერის, მუშურის, კიჩხარის, ღურის, ლასილის, გულდაშის, ლეშვნილის, ვანის, გვანდრის და ზაგაროს (ყორულდაშის) უღელტეხილებით. მათ შორის ზაგაროსა და ატკვერის უღელტეხილებზე ზაფხულობით შესაძლებელი იყო ხარებშებმული მარხილებით მოძრაობა.

ზემო სვანეთი აფხაზეთთან ჯერილის, ხვარისა და სხვა უღელტეხილებით იყო დაკავშირებული. მათზე ზაფხულობით საქონლის გადაყვან-გადმოყვანა შეიძლებოდა.

თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გზას სვანების ცხოვრებაში, ამაზე ნათლად მიუთითებს ერთ-ერთი ისტორიული დოკუმენტი. ჯაფარიძის მკვლელობასთან დაკავშირებით რაჭველებმა სვანებს ბარისაკენ გამავალი გზები შეუკრეს. სვანები ჩივიან: „ვიყუენით სრულიად ეცერს აქეთ რაც სუანეთი არის თორმეტს წელიწადსა ასრე შეწყუდეულნი, რომ ვერც კახეთისაკენ ვიშოეთ საჯამაგირო გზა, ვერც სამცხისაკენ და ვერც გურიისაკენ...“[1] ნათლად ჩანს, რომ სვანები საშოვარზე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დადიოდნენ. უგზოობა აწუხებს ეცერს ზედა სვანეთს ე. წ. თავისუფალ სვანეთს. ამავე წყაროდან ვგებულობთ, რომ ეცერში ამ დროს (XV ს.) პრი-

---

[1] პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკ. II, თბ, 1941, 32.

ვილეგიური მდგომარეობა უკავიათ რუჩაგიანებსა და დადეშქელიანებს და, როგორც ჩანს, ამ მხარეს გამავალი გზით სარგებლობის უფლება თავისუფალი სვანეთის მოსახლეობას უკვე შეზღუდული აქვს. ამას უნდა ნიშნავდეს მათი განცხადება „...გურიისაკენ გზა ვერ ვიშოვნეთო“. სწორედ ეცერზე (დადეშქელიანების რეზიდენცია) გამავალი გზა იყო შედარებით უხიფათო სამეგრელოსა და გურიასთან დასაკავშირებლად.

გზების ჩაკეტვას ბალს ზემო სვანეთის მცხოვრებნი ისე შეუწუხებია: „...რომ სრულიად სუანეთის ქვეყანასა საზიარებელს ვეღარ ვიშოვებდით და არც ვის მარილის გემო გუინახავს“[1]. სვანები იძულებული გამხდარან სვანეთის ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი მიეცათ რაჭის ფეოდალის ჯაფარიძისათვის, სვანების მიერ მოკლული მისი ოჯახის წევრის სისხლის საფასურად.

მეთხუთმეტე საუკუნის ისტორიულ საბუთებში მითითებულ საყმო გამოსაღებებს შორის აღნიშნულია სამგზავრო ბეგარა ბალს ზემო სვანეთში.

ოჯახის უფროსის დაუკითხავად სვანი სამგზავროდ ვერ წავიდოდა. გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე უნდა განეცხადებინა მამაკაცს, თუ რაიმე მნიშვნელოვან საქმეზე იყო შორს წასასვლელი. ამ კვირის განმავლობაში ოჯახი გარკვეულ წესებს იცავდა. ორსული ან რიგში მყოფი ქალი ამ დროს საცხოვრებელი სახლიდან სადმე დამხმარე ნაგებობაში გაიხიზნებოდა, ამავე დროს არც ასეთ მდგომარეობაში მყოფი გარეშე ქალის სტუმრობა შეიძლებოდა. მგზავრობისათვის არჩევდნენ

---

1 ბ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკ. II, თბ., 1941, 31.

ოთხშაბათ დღეს, ამასთან მთვარის მდგომარეობასაც ყურადღებას აქცევდნენ. ორშაბათს მგზავრობა არ შეიძლებოდა.

მგზავრობისას აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა ხისაგან გამოთლილი ჯოხი, რომელსაც მეტწილად რკინის ბოლო ჰქონდა. ასეთ ჯოხს მუჯირას უწოდებდნენ. „გზაზე ამხანაგად ჯოხიც კარგიაო“, ასე აღნიშნავს სვანური ანდაზა მგზავრობისას მუჯირას საჭიროებას. გზად მიმავალ სვანს ძაღლის, ბაყაყის ან მწყერის შეხვედრა ბედნიერი მგზავრობის ნიშნად მიაჩნდა, ხოლო კატის გადარბენისას კი უკან უნდა დაბრუნებულიყო. ცუდად ჰქონდათ დაცდილი აგრეთვე მტრედის შეხვედრაც. თუ მოკლავდნენ მიაჩნდათ რომ მგზავრობა კარგად ჩაივლიდა, თუ არა და უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ. ასევე უნდა მოქცეულიყო ჩხიკვის მარცხენა მხრიდან დაჩხავლებისას, ხოლო მარჯვენა მხრიდან ჩხიკვის ჩხავილი მგზავრობის კარგად დამთავრებას უწინასწარმეტყველებდა. წინიდან ან უკნიდან დაჩხავლებისას შეეძლოთ გზის გაგრძელება, მაგრამ უფრო მეტი სიფრთხილის გამოჩენა იყო საჭირო.

გზად მიმავალი სვანები სამგზავრო ციკლის სიმღერებს ასრულებდნენ.

გადასასვლელებსა და ალპურ ზონაში გამავალ გზებზე, სადაც ზამთრობით ხშირი და ძლიერი ქარბუქის გამო ძნელი იყო გზის გაგნება, ერთმანეთისაგან გარკვეულ მანძილზე დაცილებულად ასობდნენ ხის გრძელ ჭოკებს, რომლებიც კარგ საორიენტაციო საშუალებას წარმოადგენდა მგზავრისათვის. ღრმა თოვლში რომ არ ჩაფლულიყვნენ, ხმარობდნენ სვანურ თხილამურებს.

უღელტეხილზე გადასვლისას მგზავრები ლოცულობდნენ, მის წმინდა გიორგის ბედნიერ მგზავრობას შესთხოვდნენ. თუ

ოჯახიდან ვინმე სამგზავროდ იყო წასული, მაშინ ოჯახის უფროსი მგზავრობის მფარველ წმინდა გიორგის შესთხოვდა მის მშვიდობიანად დაბრუნებას.

მგზავრობიდან დაბრუნებულ სვანს წმინდა გიორგისათვის ზვარაკი უნდა შეეწირა, რათა ამ უკანასკნელს მომავალ მგზავრობაშიდაც გაეწია მფარველობა.

ზემო სვანეთის მთელი ტერიტორია დასერილია მრავალრიცხოვანი დიდი თუ პატარა მდინარეებით და გზები ხშირ შემთხვევაში მათზე გადის. მდინარეებზე გადასვლისათვის კი საჭირო იყო მრავალრიცხოვანი სამარხილე თუ საცალფეხო ხიდები. ხე-ტყის სიუხვის გამო სვანები ხის ხიდებს აკეთებდნენ. თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სვანეთში ხიდების მშენებლობას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ წმინდა ტყეებში, რომლებშიც არა თუ ტოტის მოტეხვა, არამედ უკვე ქარისაგან მოტეხილის გამოტანაც კი არ შეიძლებოდა, ნებადართული მხოლოდ სახიდე მასალის მოჭრა იყო.

ისეთ ადგილებში, სადაც გზა კლდეზე გადიოდა და კლდის გამონგრევა კი დიდ სიძნელესთან იყო დაკავშირებული, ხის აივნებს აკეთებდნენ, ისე რომ ერთი მხარე კლდის ნაპრალებზე იყო ჩამაგრებული, ხოლო მეორე საბჯენ ძელებს ეყრდნობოდა. იქ კი სადაც გზის გამორეცხვის საშიშროება არსებობდა, მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად და წყლის დინებისათვის სხვა მიმართულების მისაცემად აგებდნენ ჯებირებს ქვით ან ხითა და ქვით ერთად.

სვანეთში გზების გასწვრივ მრავალრიცხოვანი წყაროებია, რომლებსაც ხის ღარები აქვთ მიდგმული. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში წყაროები სულის მოსახსენებელ ნაგებობებს წარმოადგენენ და მათ გაფორმებას დიდი ყურადღე-

ბა ექცეოდა. ამ რეგიონში წყაროთმშენებლობა რელიგიურ მოტივებს ექვემდებარებოდა. სვანეთის მაგალითიდან კი წინა პლანზე მისი პრაქტიკულ-გამოყენებითი მხარე მოჩანს და ამიტომაც აქ წყარო შედარებით მარტივი აგებულებისაა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება ენგურის ხეობაზე გამავალი გზის გაფართოება და უკვე 1937 წ. მესტიაში პირველი ავტომანქანა ადის.

1977 წ. დამთავრდა ჯვარი-მესტიის ცენტრალური მაგისტრალის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობა. ამჟამად მიმდინარეობს მესტია-უშგულის მონაკვეთის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

დაგეგმილია აგრეთვე საბაგირო გზების ფართო მასშტაბით მშენებლობა.

ენა

სვანები ისტორიულად წარმოადგენენ ერთ-ერთ ძირითად ტომობრივ გაერთიანებას, რომელიც სხვა მონათესავე ტომებთან (ქართებთან, ზანებთან) ერთად საფუძვლად დაედო ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესს. ქართული, სვანური და ზანური ენები ერთი საერთო ფუძე-ენის დიფერენციაციის გზითაა მიღებული. შესაძლოა ისინი დასცილდნენ ამოსავალ ენას, მაგრამ ყველა მათგანმა მეტნაკლები სისრულით შემოინახა ამ ენის ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, ლექსიკური მარაგის შესახებ რომ არაფერი ვთქვათ.

ქართველოლოგთა ერთ ნაწილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ სვანური ნარევი ენაა.

ქართველოლოგთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ სვანურს

შენარჩუნებული აქვს არქაული სტრუქტურული ფორმები, რომლებშიც ასახულია საერთო ქართველური ვითარება, ამასთან ამ ენაში სიახლეები გამოუწვევია აბლაუტის საერთო ქართველური მოდელების შეცვლას ახალი, საკუთრივ სვანური მოდელებით. ბოლო დროის ენათმეცნიერულ გამოკვლევებში ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ სვანური ენა კანონზომიერად ყალიბდებოდა როგორც საერთო ქართული ფუძე-ენის განშტოება და გააჩნია თავისი სპეციფიკა, რაც არ შეიძლება დავიყვანოთ ენობრივი შერევის მოვლენამდე[1].

ცხადია, ხანგრძლივი დროის მანძილზე სვანური მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდა მეზობელი ტომების ენებთან და მათგან რიგ ლექსიკურ მასალასაც შეითვისებდა. ამასთან ეს შეთვისება-სესხება ცალმხრივი არ უნდა ყოფილიყო. სვანური ისევე განიცდიდა მეზობელი ენების გავლენას, როგორც ეს უკანასკნელნი სვანურისას. ამგვარი გავლენის კვალი და რიგ შემთხვევაში სვანურის სუბსტრატიც უთუოდ შეინიშნება მეზობელ ენებში.

ისტორიული მიმოხილვა

სვანების დამკვიდრება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის იმ მონაკვეთზე, რომელზედაც ამჟამად ცხოვრობენ, შორეულ წარსულში მომხდარ ფაქტად ჩანს. ს. ჯანაშიას გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ სვანები თავიანთ დღევანდელ მიწა-წყალზე დამკვიდრებული არიან არა უგვიანეს V—IV საუკუნეებისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე. დღევანდელი არქეოლო-

---

[1] Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962, 7.

გიური შონაცემები ამ ოარიღს ბევრად უკან სწევენ. ამ საკითხზე უფრო ზუსტი და დამაჯერებელი პასუხის გაცემა მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმეა.

ისტორიული წყაროები სვანეთს საკმაოდ ადრიდან მოიხსენიებენ. განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს მას დათმობილი ბერძენ-ბიზანტიელი ისტორიკოსების შრომებში. მათი ასეთი დაინტერესებისათვის გარკვეული ობიექტური მიზეზები არსებობდა (ამაზე ქვემოთ).

დღემდე ხალხურ ზეპირსიტყვიერებას მრავალი საინტერესო გადმოცემა შემოუნახავს სვანეთის წარსულის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ „სვანეთში დიდძალი ოქროს მადანი ყოფილა. მდინარე ენგურისა და მისი შენაკადების ქვიშაში გარეული ოქროს მარცვლების მოპოვება უხსოვარი დროიდან წარმოებდა.

ზამთარში, როდესაც მდინარეები იკლებდნენ, მათ ფსკერზე ცხვრის გაუკრეჭავ ტყავებს ამაგრებდნენ. მატყლიანი პირი ზევით იყო. გავიდოდა ხანი, სინჯს აიღებდნენ და თუ ნიშანს აღმოაჩენდნენ, ტყავებს ამოიღებდნენ. მატყლში ჩამჯდარ ოქროს აგროვებდნენ და ოქრომჭედლებთან მიჰქონდათ, რომლებიც მისგან ათასგვარ სამკაულებს, საყურეებს, ჩაფრასტებს, ფოლაქებს, ბეჭდებსა და ბევრ სხვა რამეს ამზადებდნენ“.

ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მცხოვრები ბერძენი გეოგრაფ-ისტორიკოსი სტრაბონი წერდა: „...სვანეთში ნიაღვრებს ჩამოაქვს ოქრო. სვანები მას აგროვებენ დახვრეტილი ვარცლებისა და ცხვრის ბანჯგვლიანი ტყავების საშუალებით. ამბობენ აქედან შეიქმნა მითი ოქროს საწმისიან ვერძზე“[1].

---

[1] ВДИ, М — Л., 1947, 4 (22), 217.

მსგავსი ცნობების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ არგონავტების ლაშქრობა წარმოადგენდა ანტიკური საბერძნეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯს ძველ კოლხეთთან სავაჭრო და საწარმოო ურთიერთობის დასამყარებლად, ამასთან „მამოძრავებელ ძალასა და მოქმედების ძირითად მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა სვანეთის ოქრო"[1].

სულ მალე ურთიერთობის სავაჭრო ფორმა ძალადობისა თუ ძარცვა-გლეჯის ფორმებმა შეცვალეს. სვანეთის ხელში ჩაგდებასა და მის ძარცვაში ერთმანეთს ეცილებოდა, როგორც ორი უზარმაზარი მტაცებელი — ბიზანტია და ირანი, ისე უშუალოდ მისი უახლოესი მეზობელი ტომებიც.

პლინიუსი აღნიშნავდა, რომ „კოლხეთში მეფობდა აიეტის შთამომავალი სავლაკე: ამბობენ, რომ მან სვანთა ქვეყანაში მრავალი ოქრო და ვერცხლი მოიპოვა"[2].

VII ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფილაქტე სიმოკატტა წერდა: „თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში სახელგანთქმული ბარამი სვანეთს მიმართავს, და, ხელთ იგდებს რა დიდძალ ნადავლს, გზავნის მას ბაბილონიაში"[3]. ეს ის ბარამია, რომლის წინამძღოლობითაც ირანელთა არმია თურქებზე იმარჯვებს 589—590 წწ.

ზემო სვანეთში ჩაწერილ გადმოცემებში ხშირად მოიხსე-

---

[1] მ. გორგაძე, თქმულება არგონავტებზე და სვანეთის ოქრო, „საბჭოთა ხელოვნება", 1962, № 9, 37.

[2] Византийские писатели о Кавказе, СМОМПК, вып. IX, отд. I Тиф., 1890.

[3] გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. თბ., 1941. 23.

ნიება თათრების ჯარი. არც შუა საუკუნეების ისტორიულ წყაროებში, არც გვიანდელ საბუთებში სვანები მეზობელ ტომებს თათრების სახელით არ იხსენიებენ. საფიქრებელია, რომ ამ გადმოცემებში თათრების ჯარის სახელქვეშ ირანელთა ურდოები იგულისხმება.

მესტიაში ჩაწერილი ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით თათართა ჯარს სოფელ ლეხთაკის დასავლეთით, დაცემულ ადგილას დაუდგია ბანაკი. გვიან ღამით მესტიის დამცველ რაზმს ხარებშებმული მარხილებით აუზიდავს შუაში გახვრეტილი დოლაბები თათრების ბანაკის გასწვრივ გორაზე. მოუჭრიათ ფოქვები, მორებად დაუჭრიათ და მათთვის ჩამოუცვამთ დოლაბები აქეთ-იქით ბოლოებში. ასეთი საომარი საგორავები დიდი რაოდენობით დაუმზადებიათ ღილამდე და ფერდობის გასწვრივ ჩაუმწკრივებიათ. რიჟრაჟისას საგორავები ჩამოუგორებიათ და თათართა ლაშქრისაგან აღარავინ გადარჩენილა.

ქალაში ჩაწერილი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საომრად სასროლ იარაღთაგან მხოლოდ მშვილდისარი გამოიყენებოდა, ხშირად ხდებოდა თათართა შემოსევა. ერთხელ ლალხორელი გელოვანის ვაჟი სვანეთის ჯართან ერთად სამშობლოს მისადგომებს იცავდა. ერთ-ერთი ბრძოლისას ის მტერს მოუკლავს. სახლში დარჩენილა დედა ორ ღრმად მოხუცებული ბრმა მამა. როდესაც თათრების ჯარი ლალხორში შესულა, კალის მოსახლეობა უკვე ცხე-სიმაგრეში ყოფილა გახიზნული. უსინათლო მოხუცმა შურისძიება გადაწყვიტა. როდესაც თათართა მეწინავენი მის სახლს მიუახლოვდნენ, მშვილდი აიღო და ცოლს უთხრა: მე მშვილდს მოვზიდავ, შენ კი კარგად დაუმიზნეო. ასეც მოქცეულან; ესროლა ისარი მოხუცმა, მკერდში მოარტყა ლაშქრის უფროსს და ცხე-

ნიდან ჩამოაგდო. მოხუცი ცოლ-ქმარი წამებით მოუკლავთ თათრებს, შემდეგ ციხე-სიმაგრეს შემორტყმიან, მაგრამ ვერ აუღიათ. გაჯავრებულებს სოფლები გაუძარცვავთ და წასულან.

მსგავსი გადმოცემებიდან ვგებულობთ, რომ სვანეთი მრავალგზის გადაშენების პირამდე მიუყვანია მოძალადე მტერს, თუმცა არც თუ იშვიათად თვითონაც ამარცხებდნენ მათ. თეოფილაქტე სიმოკატტას ცნობით სვანებს რამდენიმეჯერ დაუმარცხებიათ ბაბილონური ჯარები, რისთვისაც ირანელთა მეფე ამ უკანასკნელებს სიკვდილით დამუქრებია[1].

ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრე პროტიქტორი გვატყობინებს, რომ ირანელებამდე სვანეთში რომაელთა ჯარი მდგარა და რომაელი მოქალაქეებიც სახლებულან. რომაელთა თვითნებობით აღშფოთებული სვანები აჯანყებულან და ისინი 552 წელს განუდევნიათ. ირანელებს უსარგებლიათ სიტუაციით და სვანეთი დაუკავებიათ[2].

ბიზანტიასა და ირანს სვანეთი მარტო ეკონომიური თვალსაზრისით კი არ აინტერესებდა, არამედ მისი გეოგრაფიული მდებარეობაც იზიდავდა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, თუ რა ადგილი ეჭირა სვანეთის საკითხს ბიზანტია-ირანის ურთიერთობაში. ეს ორი ძლიერი სახელმწიფო ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას და გააფთრებით ებრძოდა ერთმანეთს როგორც იარაღით, ისე დიპლომატიით.

---

1 თეოფილაქტე სიმოკატტა, ბარამის დამარცხება სვანეთში, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვეთი 1, თ.ბ., 1941, 33.

2 მენანდრე პროტიქტორი, დავა სვანეთის შესახებ, გეორგიკა, ტ. III. ტფ., 1936, 214—215.

ორივე მხარეს კარგად ესმოდა, რომ სვანეთი წარმოადგენდა იმ საკვანძო პუნქტს, რომლის საშუალებითაც ხდებოდა ურთიერთობა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიონის ხალხთა შორის. სვანებს ეკავათ მნიშვნელოვანი გადასასვლელები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იყო სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობის დამყარება და საჭიროებისას მომთაბარეთა გადმოსხმა მათი საომარ ოპერაციებში გამოყენების მიზნით.

562 წელს ჯერ ქალაქ დარაში, მოგვიანებით კი ქალაქ ბითარმაისში ერთმანეთს ხვდებიან ბიზანტიისა და ირანის ელჩები. მოლაპარაკებისას ყველა სადავო საკითხი გადაწყდა გარდა სვანეთისა, რომლის დათმობა არცერთ მხარეს არ სურდა. სვანეთის საკითხს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ დიპლომატიური დავა მომდევნო წლებშიაც გაგრძელებულა. იუსტინე მეორეს ხოსროსთან ელჩები გაუგზავნია, რათა გამეფება ეუწყებინა, ამასთან ელჩები დაურიგებია, თუ შესაძლებლობა ექნებოდათ„... სვანეთის შესახებ ჩამოეგდოთ სიტყვა". ის თანახმა იყო სასყიდელი გადაეხადა ირანისათვის, თუ მას სვანეთს დაუთმობდა. ორივე სახელმწიფო ცდილობდა სვანეთი ერთმანეთისათვის უმნიშვნელო მხარედ წარმოედგინა. ირანელთა სარდლის მერმეროეს აზრით„... ეს უმნიშვნელო მხარეა და არ არის დავის ღირსი, არც სამეფო ლაშქრობის საქმეაო". იუსტინე მეორე აღნიშნავდა, რომ სვანეთი არაფრითაა ღირშესანიშნავიო. თუმცა კი შემდგომ ხოსრო ამატებს, რომ სვანები „ერთი იმ ტომთაგანია, რომელნიც კავკასიის გარშემო ცხოვრობსო, ჰყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიან". იუსტინე მეორეც იქვე დასძენს, რომ სვანეთი „...თავისი მოხერხებული მდებარეობით მეტად სასარგებლო იყო რომა-

ელთა ხელისუფლებისათვის, რათა ამ გზით მოზღვავებულ „სპარსელებს კოლხეთის საზღვარი არ აეოხრებინათ“.[1] ბოლო ორი ცნობა უკვე მრავლისმეტყველია. ორივე მხარეს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი სვანეთის მნიშვნელობა დასახული მიზნების განსახორციელებლად. ირანის მთავარი საზრუნავი იყო ჩრდილოეთ კავკასიის ნომადების მუდმივი თავდასხმებისაგან თავის დაცვა. ამისათვის კი ერთ-ერთ უცილობელ პირობად მიაჩნდათ კავკასიის უღელტეხილების გამაგრება მთიულთა გამოყენებით. რომაელებს ეს მხარე იმისთვის სურდათ, რომ აქ გამავალი გზები სავაჭრო ურთიერთობისათვის გამოეყენებინათ და, რაც მთავარია, ამ გზებით შემოსულ ირანელებს კოლხეთი არ აეოხრებინათ.

ზემოაღნიშნულიდან გარკვევით ჩანს, რომ ბიზანტია — ირანი სვანეთის ოქროთი და სვანეთის მოხერხებული მდებარეობით ყოფილან დაინტერესებული, თუმცა მათი ინტერესი მარტო ამითაც არ ამოიწურებოდა. უცხოელებს სვანების, როგორც ძლიერი და მეომარი ხალხის, გამოყენებაც სურდათ.

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ სვანები ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის სიმამაცით, ძალითა და ძლიერებით პირველნი ყოფილან ადგილობრივ ტომთა შორის და საჭიროებისას ორასიათასიანი არმია გამოჰყავდათ. მკითხველი შეიძლება გაოცდეს, ამ პატარა კუთხეს ამდენი მეომარი როგორ გამოჰყავდაო. მკვლევართა ნაწილს (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, გ. მელიქიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, რ. ხარაძე, გ. ლავროვი,

---

1 მ ე ნ ა ნ დ რ ე პ რ ო ტ ი ქ ტ ო რ ი, სვანეთის საკითხზე დავის გაგრძელება იუსტინე მეორის მეფობაში, გეორგიკა, ტ. III, ტფ., 1936, 221—229.

ალ. რობაქიძე და სხვები) გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ადრე სვანეთის ტერიტორია უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო და შესაბამისად მოსახლეობაც მრავალრიცხოვანი.

სტრაბონისავე გადმოცემით სვანებს სამხედრო საქმე მაღალ დონეზე ჰქონდათ დაყენებული. ისინი ისრის წვერებისათვის ძლიერად მოქმედ საწამლავს ხმარობდნენ.

პროკოპი კესარიელის ცნობით ირანელების მიერ რომაელთა ქვეშევრდომ არმენიაში გაგზავნილ ჯარში შედიოდნენ ალანთა მეზობლად მცხოვრები სვანები.[1] მოყვანილი ცნობები ნათელყოფენ იმ ფაქტს, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის სვანები ძლიერ ტომობრივ გაერთიანებას წარმოადგენდნენ. მათ ტერიტორიას და ძალებს წარმატებით იყენებენ საბრძოლო ოპერაციებში; თუმცა, როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, მოვლენების მსვლელობისას სვანები პასიური მონაწილენი როდი არიან. ისინი შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებენ დამპყრობელ-მძარცველთა წინააღმდეგ და ამ ბრძოლისას ერთი მხარის დასასუსტებლად მეორეს იყენებენ ან პირიქით. ამის მაგალითები მრავლადაა გაბნეული ბიზანტიურ ისტორიულ წყაროებში.

VII ს. საქართველოში სამთავროები უკვე ფეოდალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციებად ყალიბდებიან. საქმე იქამდე მიდის, რომ არჩილი რეფორმას ატარებს და ერისთავები მთავრებად იქცევიან. მომაკვდავი მიჰრი თავის ძმას არჩილს საუხუცესოდ უტოვებს ეგრისს, სვანეთს...[2] სამთავროებს შორის და-

---

1 პროკოპი კესარიელი, ჰანების ტომი, გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965, 55.

2 ქართლის ცხოვრება, თბ., 1942, 153.

უსრულებელ ბრძოლებში სვანეთიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს. არცთუ იშვიათად მთავრები საქართველოს მეფეს განუდგებოდნენ ხოლმე. ამის მაგალითია დიდგვაროვანი აზნაურების ნიანია ქვაბულაძის, ივანე ლიპარიტისძისა და ვარდან სვანთა ერისთავის განდგომა გიორგი მეფისაგან. „ვარდან გაადგინა სუანნი ავის მოხარულნი, დაარბიეს და ამოსწყუიდეს საეგრო“[1].

გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ უკმაყოფილო დიდგვაროვანმა აზნაურებმა მოინდომეს მისი პოლიტიკური ნამოქმედარის გადასინჯვა. ვარდან დადიანს... „შეუკრებია ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგრო, გურია“...[2] და მისდგომია გიორგი რუსს. აჯანყებულნი თბილისის ასაღებად დაძრულან, მაგრამ თამარის მომხრეებს ისინი დაუმარცხებიათ.

შემდეგ „...გარდმოვიდეს სუანნი დიდებულნი და მეჯევენი და გარდმოიტანეს რუსი, მეფე ყოფილი, და მისცა დედოფალმან სიმტკიცე პირველად რუსის უვნებლად გაშუებისათვის და მერმე მის ჟამსა შეცოდებისათის არას შენანებისა“[3]. ფრაგმენტი მნიშვნელოვანია იმით, რომ საკმაოდ ნათლადაა გამოკვეთილი სვანთა სოციალური მხარე „სუანნი დიდებულნი“ და „მეჯევენი“, ამასთან აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ სვანები მეფეს გარკვეულ პირობებს უყენებენ და ეს უკანასკნელი კი იძულებული იყო შეესრულებინა.

სვანეთის ცოცხალი ძალები ამ პერიოდშიაც გამოიყენებოდა ბარის პოლიტიკური მესვეურების მიერ. აღსანიშნავია

---

[1] ქართლის ცხოვრება, თბ., 1942, 198.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, 49, 122.

[3] იქვე, 54.

XIII ს. დასაწყისში სვანების ჩამოსვლა ბარად რუსუდანის დასახმარებლად[1].

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ სვანეთი მოგვიანებითაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაცემის შემდეგ სვანეთი დამოუკიდებელი ხდება და ფაქტიურად ორ ნაწილად — ზემო და ქვემო სვანეთად იყოფა. მალე ზემო სვანეთიც ორ ნაწილად იყოფა.

უკვე მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში სამეგრელოში მყოფი არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ სვანები ორად არიან გაყოფილი, ომში მამაცნი არიან და შესანიშნავი მსროლელნი, ამასთან თოფსა და თოფის წამალს თითონ აკეთებენო[2]. ცნობა იმის შესახებ რომ მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში სვანები თოფს აკეთებენ, გვაფიქრებინებს, რომ ცეცხლსასროლი იარაღი აქ საკმაოდ ადრე უნდა შემოსულიყო. რუსული საისტორიო წყაროები მოგვითხრობენ, რომ XII ს. ბოლოს ყივჩაღები ხმარობდნენ ცეცხლსასროლ იარაღს. მათ ტერიტორიაზე გადიოდა სავაჭრო გზა ყირიმსა და ჩინეთს შორის. ამ გზით მიუღიათ ყივჩაღებს ჩინელი ვაჭრებისაგან ეს იარაღი. მოგვიანებით ყირიმში ადგილობრივი იარაღის დამამზადებელი სახელოსნოები ჩნდება. აქ დამზადებული იარაღი მოწონებით სარგებლობს კავკასიის მთიელებში. შემთხვევითი არაა, რომ „ყირიმული“, სვანურად „ხირმილ“, ძალზედ პოპულარული

---

[1] Шахаб ад-дин мухаммад Ан-Насави, Жизнеописание султана Джалал ад-дин Манкбурна, баку, 1973, 224.

[2] ა. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 166—167.

იყო ქართველებშიც. დასაშვებია, რომ სვანეთში თოფი უკვე მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება.

XVIII ს. მოგზაურსა და მკვლევარს გიულდენშტეტსაც აღნიშნული აქვს ის ფაქტი, რომ სვანებს ტყვიისა და ლითონის საბადოები ჰქონდათ და ადნობდნენ ორივეს, ამასთან შეუძლიათ თოფის წამლის დამზადებაო.

სვანეთის სტრატეგიულად მოხერხებულ მდებარეობას მეფის რუსეთის მთავრობაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1830 წ. სვანეთში მივლინებული გენერალი გესე აღნიშნავდა, რომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სვანეთის დაპყრობა „დიდ სიძნელეს წარმოადგენს". პასკევიჩმა კარგად იცოდა, რომ სვანეთზე გადიოდა „...სამეგრელოდან ყუბანის იქითა ნაპირის სამფლობელოებისაკენ მიმავალი გზა". კაპიტან შახოვსკის აზრით, სვანეთის დამორჩილებით რუსეთი „...მეტლიანად დაიქვემდებარებდა ოსეთს... იმერეთს, სამეგრელოსა და აფხაზეთს". ენგურის ხეობის მიმართულებით „...სრულიად მოულოდნელად შეიძლებოდა სამხედრო მოქმედების დაწყება" და სვანეთის გამოყენება, რადგანაც სვანეთი ბეზობელ მხარეებთან უამრავი უღელტეხილებით იყო დაკავშირებული.

ცხადია, ასეთმა მოსაზრებებმა რუსეთის ხელისუფლებს დააწყებინეს ზემო სვანეთის შეერთებისათვის გზების ძიება, რომლის პოვნაც მათ მაინცა და მაინც არ გასჭირვებიათ. ზემო სვანეთი ამ დროს შინაგან წინააღმდეგობებს ძალზე გაეთიშა და დაესუსტებინა. ბალს ქვემო სვანეთში დადეშქელიანების ორი შტო ბატონობდა. ისინი დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთს პირველობისათვის. ამასთან ეს ორი შტო ცდილობდა თავისუფალ სვანეთზე გაბატონებასაც. დადეშქელიანების ორი-

ეე 'შტო ცდილობდა რუსეთის ქვეშევრდომად შესვლას, რათა ამით თითოეულს თავისი მდგომარეობა განემტკიცებინა პირველობისათვის ბრძოლაში და ამავე დროს თავისი ძალაუფლება მოეხვია ბალს ზემო სვანეთის მოსახლეობისათვის. ბალს ზემო სვანეთის მოსახლეობის მიზანი ის იყო, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ, რუსული ხელისუფლება დაეპირისპირებინა დადეშქელიანებისათვის.

მეფის რუსეთის მთავრობამ არსებული წინააღმდეგობები წარმატებით გამოიყენა თავის სასარგებლოდ და 1832—1847 წწ. ზემო სვანეთი შეიერთა.

ბალს ზემო სვანეთის მოსახლეობა მალე დარწმუნდა იმაში, რომ მას ორი ერთმანეთთან დაკავშირებული მოწინააღმდეგე გაუჩნდა მეფის რუსეთის ხელისუფლებისა და დადეშქელიანების სახით. მთავრობამ თავისი დაპირებები არათუ შეასრულა, პირიქით, მმართველობის ახალი სისტემა შემოიღო და ხალხს გადასახადები შეაწერა. ამასთან უკვე დაწესებულ გადასახადებს არ დასჯერდა და მისი გაზრდის მიზნით 1875 წ. მაისში 'შეუდგნენ კერძო მესაკუთრეთა მიწების აზომვას, რამაც თავისუფალი სვანეთის 1875—1876 წლების შეიარაღებული აჯანყება გამოიწვია. აჯანყება ჩაისახა სტიქიურად, წინასწარი მომზადების, საჭირო ორგანიზაციის, სათანადო ხელმძღვანელი პირისა და ორგანოს გარეშე.

1875 წ. მაისში ბოქაულმა ჯორჯაძემ თავისუფალი სვანეთის ყველა საზოგადოებას გამოუცხადა მთავრობის განკარგულება მიწების რაოდენობის გამორკვევის შესახებ და ლატალში დაიწყეს კიდევაც მიწების აღწერა—გაზომვა. ახალი ამბავი სწრაფად გავრცელდა თავისუფალი სვანეთის მოსახლეობაში. რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია. ყველა საზოგადოებიდან

გზავნიდნენ ბოქაულთან დელეგაციებს საქმის გასარკვევად, მაგრამ ჯორჯაძე მათ მკვახე პასუხით ისტუმრებდა. ლატალელებმა მოწოდებით მიმართეს ბალს ზემო სვანეთის ყველა საზოგადოებას, რათა ერთიანად გამოსულიყვნენ მეფის მთავრობის ხსენებული აქციის წინააღმდეგ.

მულახში მოუწვევიათ სახალხო კრება. კრებაზე გადაწყდა, რომ ერთგულების ფიცი მიეღოთ კალაში, წმინდა კვირიკეს ეკლესიაში. ბალს ზემო სვანეთის თითქმის ყველა სრულასაკოვანი, ბრძოლისუნარიანი მამაკაცი შეიარაღებული შეგროვდა კალაში, სადაც შედგა სრულიად თავისუფალი სვანეთის სახალხო კრება. აქ გადაწყდა, გაეგოთ მთავრობის მიზანი და, თუ საქმე ამას მოითხოვდა, ებრძოლათ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ერთგულების ფიცი წმინდა კვირიკეს ეკლესიაში მიიღეს. ეკლესიიდან „შაღლიანის“ ხატი გამოასვენეს. აქ ხალხს ხელმეორედ შეახსენეს გადაწყვეტილების შინაარსი და შერისხეს, ვინც ამ ფიცს უღალატებდა. ფიცის მიღების შემდეგ ორმა კაცმა ჯოხის თავსა და ბოლოს მოკიდა ხელი და ყველა იქ დამსწრემ ამ ჯოხის ქვეშ გაიარა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თავშეყრილებმა ერთხმად და თანაბრად მიიღეს ფიცი[1]. შემდეგ ყველა თავ-თავის სოფელში დაბრუნდა.

აღწერილი ამბავი სულ სხვანაირად მივიდა ბოქაულის რეზიდენციამდე. ბოქაულს ჩააგონებენ, რომ თავისუფალი სვანეთის მოსახლეობას რუსთა რაზმის ამოწყვეტა განუზრახავსო. ბოქაულმა დადეშქელიანებს სთხოვა დახმარება. ეს უკა-

---

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964, 177.

ნასკნელნი თავიანთი ხალხით პოლიციისა და რუსთა რაზმის დაცვას კისრულობენ.

თავისუფალ სვანეთში ხმა გავრცელდა: დადეშქელიანები თავიანთი და რუსთა რაზმით ლატალის საზოგადოებაზე თავდასასხმელად მოდიანო. ამის შიშით თავისუფალი სვანეთი შეიკრიბა. გადაწყდა: დაესწროთ თავდასხმა რაზმისათვის, ამოეწყვიტათ იგი და საომარი საჭურველი ხელთ ეგდოთ. შეიარაღებული ხალხი ბეჩოსაკენ დაიძრა, ბალის ქედიდან დაეშვა, მაგრამ აქ წინ დადეშქელიანები დახვდნენ თავიანთი შეიარაღებული ხალხით. მოწინააღმდეგენი სისხლისღვრას მოერიდნენ და ბალს ზემოურები ბალის ქედზე გამაგრდნენ.

თავისუფალი სვანეთის მოსახლეობა კვლავ შეიკრიბა. შეკრებილთ დაადგინეს, რომ ლატალისა და ლენჯერის საზოგადოებებს ბალის უღელტეხილი ჩაეკეტათ, ხოლო მესტიას, მულახს, იფარს, კალას და უშგულს კი — ლატფარისა. ხსენებულ უღელტეხილებზე შეიარაღებული მცველები დააყენეს და გაფრთხილეს, რომ მათ მთავრობის არც ერთი მოხელე არ შემოეშვათ.

ეს ამბავი ბოქაულმა მთავრობას შეატყობინა. მთავრობამ სვანეთში დამსჯელი რაზმი გააგზავნა გენერალ ციტოვიჩის მეთაურობით: მას თან ვიცე-გუბერნატორი მალაფეევი ახლდა. თავისუფალმა სვანებმა საგანგებოდ გაამაგრეს ლატფარის უღელტეხილი, მაგრამ მალაფეევის მოხერხებული და ტაქტიანი მოქმედებით საქმეს მშვიდობიანი ხასიათი მიეცა და შესაძლებელი გახდა აჯანყებულებთან შეჯახების თავიდან აცილება. აჯანყების მოთავეებად ჩათვალეს ისინი, ვინც ყრილობებზე სიტყვებითა და მოწოდებებით გამოდიოდა. ასეთებად აღრიცხული იყო 16 კაცი. ადგილობრივმა პოლიციამ ისინი წარუდ-

ბინა გუბერნატორს ზომების მისაღებად. წებაყოფლობით გამოცხადდა 12 კაცი. არ გამოცხადდა ერთი ლატალელი, ერთი მულახელი და ორიც ხალდელი. ამათგან ლატალელი, რაზმის ქუთაისში დაბრუნებისას იქნა დაკავებული. საერთოდ სულ 13 კაცი დააპატიმრეს და ჩაიყვანეს ქუთაისში, სადაც გაასამართლეს და სხვადასხვა დროით მიუსაჯეს პატიმრობა. მათმა ერთმა ნაწილმა ვერ აიტანა საპატიმრო და ადგილზევე გარდაიცვალა.

1876 წ. ივლისში ლეჩხუმის მაზრის უფროსი გრინევსკი მიემგზავრება სვანეთში. თავისუფლად დარჩენილი აჯანყების მოთავე სამი სვანის დასაპატიმრებლად. ის ავიდა ბეჩოში, საიდანაც მაიორ ლეუსის, ბოქაულ მიქელაძის, ექიმ ბელსკისა და 100 ჯარისკაცის თანხლებით გაემგზავრა კალასაკენ. გზად შეჩერდა მულახში რათა ერთ-ერთი მულახელი მოთავეთაგანი შეეპყრო, მაგრამ ვერ ჩაიგდო ხელში. მის მაგივრად მისი ორი ვაჟიშვილი დაატუსაღა და თან წაიყვანა კალაში. აქედან გრინევსკიმ ხალდელებთან გაბა მოლაპარაკება. ის მოითხოვდა, რომ სოფელს მისთვის გადაეცა ორი დამნაშავე, რაზეც სოფლისაგან უარი მიიღო. ერთმანეთში წალაპარაკებულმა გრინევსკიმ და ლეუსმა მშვიდობიან მოლაპარაკებას ძალის გამოყენება არჩიეს, რასაც შედეგად სისხლისღვრა მოჰყვა. უთანასწორო ბრძოლა ხალდელთა გამარჯვებით დამთავრდა. გრინევსკი, მაიორი ლეუსი, ბოქაული მიქელაძე, ექიმი ბელსკი და კიდევ რამდენიმე ჯარისკაცი ამ ბრძოლაში დაიხოცა. დარჩენილმა ჯარისკაცებმა სიბნელით ისარგებლეს და კალაში გაიხიზნენ.

მთავრობამ ხალდელების სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა და იქ გაგზავნა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი გენერალ ციტოვიჩის მეთაურობით. ჯარს არტილერია ახლდა თან. ხალდელებმა ცოლ-შვილი თავიანთ ნათესავებში გახიზნეს. დარჩე-

ნილმა მამაკაცებმა დაიწყეს ტყვია-წამლის მზადება, სარჩოს მომზადება-შენახვა, სოფლის მისადგომების გამაგრება.

20 აგვისტოს ჯარმა ხალდეს მისადგომები დაიკავა. 21 აგვისტოს სოფელს საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს. ამ ამბების უშუალო მონაწილე და აღმწერი ბ. ნიჟარაძე გადმოგვცემს, რომ ერთ კოშკს 20-ჯერ მაინც ესროლეს ზარბაზანი, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. 25 აგვისტოს, ღამე, ჯარმა სოფელში შეჭრა მოახერხა და უკვე 28 აგვისტოსათვის სვანეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი ხალდე, ნანგრევების გროვასღა წარმოადგენდა. ხალდეს დამცველთა ნაწილმა მოახერხა მთებში გაჭრა და დაზამთრებამდე იქ იმალებოდა. მთავრობამ გახიზნულების დატუსაღება მოახერხა და სასტიკად დასაჯა.

ხალდელთა ცოლშვილმა 1880 წელს მთავრობისაგან ნებართვა მიიღო რომ თავის მიწა-წყალს დაბრუნებოდა. ამჟამად ხალდე კვლავ მჭიდროდაა დასახლებული. სოფელს თანამედროვე სტილით ნაგები ორსართულიანი სახლები ამშვენებს. წარსულზე მხოლოდ საძირკვლებამდე დანგრეული კოშკებისა და ძველი სახლების ნაშთებიღა მიგვანიშნებენ.

ეკონომიური მდგომარეობა

რთული გეოგრაფიული გარემო, მკაცრი კლიმატური პირობები, მიწების სიმცირე და დაქუცმაცებულობა განაპირობებდა ზემო სვანეთის ეკონომიურ ჩამორჩენას ბარის რაიონებთან შედარებით.

მეურნეობის წამყვან დარგებს ზემო სვანეთში ძველთაგანვე მიწათმოქმედება და მესაქონლეობა წარმოადგენდა. მისდევდ-

ნენ აგრეთვე მეფუტკრეობას, ხელოსნობას, შინამრეწველობას; სამუშაოდ გადიოდნენ მეზობელ რაიონებში როგორც ზამთრობით, ისე ზაფხულობით.

სახნავ-სათესად გამოსაყენებელი მიწის მცირე რაოდენობამ და მარცვლეულის მწარმოებელ რაიონებიდან სატრანსპორტო გზის უქონლობამ თავიდანვე ბიძგი მისცა ზემო სვანეთში მიწათმოქმედების საკმაოდ მაღალი კულტურის შექმნას.

სახნავ-სათესი მიწები მეტწილად მდინარეთა ხეობებში ვაკე ადგილებზე ან მთების კალთებზე იყო განლაგებული. ამასთან სვანეთის ქედის ჩრდილოეთის ფერდობებზე, ენგურის ხეობის გასწვრივ, ჯვარიდან უშგულამდე იშვიათად შევხვდებით სახნავ-სათეს ნაკვეთებს, რადგანაც ამ ადგილებში მზე ნაკლებად აცხუნებდა და თოვლი გადნობას ვერ ასწრებდა, ხოლო რაც შეეხება ენგურის მარჯვენა მხარეს, ის ზამთარ-ზაფხულ მზიანი იყო, თოვლი ადრე დნებოდა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყება ადრე გაზაფხულზე შეიძლებოდა. ძალზე დაქანებულ ფერდობებს ნიადაგის გამორეცხვის შიშით არ ხნავდნენ, სათიბად იყენებდნენ.

ზემო სვანეთში ნიადაგი დიდძალი რაოდენობით შეიცავს ნაყარ ქვას. მისი შეგროვება ყოველწლიურად უხდებოდა მოსახლეობას. ქვის ნაწილით (მშრალი წყობით) ყორეები კეთდებოდა ნაკვეთების ირგვლივ. დარჩენილი ნაწილი გაჰქონდათ და სამშენებლო საქმეში იყენებდნენ ან თავს უყრიდნენ ნაკვეთის უვარგის ადგილას.

მიწის სიმცირის გამო სვანები მას მაქსიმალურად იყენებდნენ. მიწას აქ არ ასვენებდნენ. ნიადაგი რომ არ გამოფიტულიყო, მას ანოყიერებდნენ ორგანული სასუქით, ნაკელით, რომელსაც მოსახლეობა წლიდან წლამდე აგროვებდა და ინახავდა.

ნაკელი მარხილით გაჰქონდათ ნაკვეთებში ჯერ კიდევ ზამთარში, თოვლის აღებამდე. გადმოცლიდნენ მარხილიდან და გროვებად ტოვებდნენ. შემდეგ კი ხვნის წინ-ფიწლების საშუალებით მიმოაბნევდნენ თანაბრად. ნაკვეთებში ნაკელი 2—3 წელიწადში ერთხელ შეჰქონდათ.

ნაკელმოყრილ ნაკვეთში ითესებოდა ხორბალი. თუ მიწა კარგად იყო განოყიერებული, მეორე წელსაც შეიძლებოდა ხორბლის დათესვა ან ხორბლის შეცვლა ქერით ან ფეტვით. მესამე წელიწადს კი სიმინდი, კარტოფილი, მუხუდო, ცერცვი, ლობიო, კანაფი და სხვა ითესებოდა. თესლბრუნვა მოსავლიანობის გაუმჯობესების უცილობელ პირობად მიაჩნდათ.

ზემო სვანეთში მოჰყავდათ სხვადასხვა ჯიშის მარცვლეული: პური, ქერი, ჭვავი, შვრია, ფეტვი. ნიკო კეცხოველის ცნობით. სვანეთში თსუთმეტი სხვადასხვა ჯიშის პური მოჰყავდათ. მათში ისეთიც კი (შავი დიკა), რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში იშვიათად ითესებოდა[1]. ძალზე იყო გავრცელებული ქერის კულტურა. მის დამწიფებას ნაკლები დრო სჭირდებოდა და მოსავალსაც უხვს იძლეოდა. უშგულისა და კალის, აგრეთვე სხვა მაღლა მდებარე სოფლებში მხოლოდ საზაფხულო ხორბალი მოჰყავდათ.

პარკოსნებიდან ზემო სვანეთში მოჰყავდათ ცერცვი, ბარდა, ოსპი, მუხუდო. შედარებით გვიან ვრცელდება ლობიო, სიმინდი და კარტოფილი, ამათგან სიმინდი და ლობიო ენგურის ხეობაში მხოლოდ ბარში გავრცელდა, რადგანაც მკაცრი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო მაღალ ადგილებში დამწიფებას ვერ ასწრებს. კარტოფილი მთელ ზემო სვანეთში გავ-

---

[1] ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, თოვლიან მთებში, თბ., 1943, 86.

რცელდა და სვანთა მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

ითესებოდა აგრეთვე გოგრა და კანაფი. ეს უკანასკნელი დიდი რაოდენობით მოჰყავდათ და განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდა ოჯახისათვის, რადგანაც მისგან შინაურული ტილო იქსოვებოდა, მისი ბოჭკოებისაგან იგრიხებოდა ძაფები, თოკები. მისი მარცვლისაგან ამზადებდნენ საკვებს, ხდიდნენ ზეთს.

ხვნას იწყებდნენ ადრე გაზაფხულზე თოვლის გადნობისთანავე. თოვლის დნობის დასაჩქარებლად ხშირად ნაკვეთში, ერთმანეთისაგან გარკვეული მანძილის დაცილებით ამოთხრიდნენ მიწას და დილაადრიან გაყინულ თოვლზე მოაყრიდნენ. მუქი ფერის ზედაპირი უფრო სწრაფად და ძლიერ ხურდებოდა მზის სხივებისაგან და თოვლიც შედარებით სწრაფად იწყებდა დნობას.

ხვნას ხის კავით აწარმოებდნენ, რომელიც თათის, მასზე ჩამოცმული რკინის სახნისის, ხელნისა და სახელურისაგან შედგებოდა. კავში ერთ უღელ ხარს უბამდნენ. ხვნისას გრძელი უღელი გამოიყენებოდა. უღელი კავთან ტყავის სქელი ჭაპანით იყო მიმაგრებული.

ხვნის დროს მხვნელს უკან თოხით მიჰყვებოდა კაცი, რომლის მოვალეობას შეადგენდა ქვების გატანა-სარეველების ფესვების ამოძრობა, მსხვილი ბელტების დაფშვნა და სხ

სათესლედ ადგილობრივი ჯიშის მარცვლეული გამოიყენებოდა. დიდი ყურადღება ექცეოდა სათესლე მარცვლის სიწმინდეს. საგაზაფხულო ხორბალი მაღლა მდებარე სოფლებში თოვლის დნობისთანავე, მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში ითესება, ხოლო ბარად — მარტის შუა რიცხვებში

ან ბოლოს. საშემოდგომო ხორბალი ჩვეულებრივ სექტემბერ-ოქტომბერში ითესებოდა. სიმინდს აპრილის თვეში თესდნენ, ფეტვს — ივნისის შუა რიცხვებამდე. სიმინდთან ერთად ითესებოდა გოგრა და დაბლარი ლობიო. მაღლა მდებარე სოფლებში ქერი მაისის ბოლომდე უნდა დათესილიყო.

შედარებით მწირ ნიადაგზე თესლის მეტი რაოდენობა ითესებოდა, ნოყიერზე კი — ნაკლები. საერთოდ შემჩნეულია, რომ ზემო სვანეთში სხვა რაიონებთან შედარებით თესლის მეტი რაოდენობა იხარჯებოდა ერთსა და იმავე ფართზე, რაც გამოწვეული იყო მისი აღმოცენების დაბალი პროცენტით.

სიმინდს, მუხუდოს ან ცერცვს მოუხვნელ მიწაზეც თესავდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ ხნავდნენ. თესლი შედარებით ღრმად ჯდებოდა ნიადაგში, რაც მას ადრეული გაზაფხულის ყინვებისაგან კარგად იცავდა.

თესავდნენ ხელით. ეს მოვალეობა ოჯახის უფროს მამაკაცს ეკისრებოდა. მთესავი პატიოსან კაცად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

დათესილ ნაკვეთს ფარცხავდნენ. სვანური ფარცხი ფიჩხის გროვას წარმოადგენს, რომელიც დამაგრებულია ორი ძელის (კაბდოს) საშუალებით. მას ხარებს უბამენ, ზედ ქვებს აწყობენ ან კაცი დგება მასზე სახრით და ისე დაატარებენ ნაკვეთზე.

ამოსულ ჯეჯილს მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში მოვლა სჭირდებოდა. პურეულის ყანებს ერთხელ მაინც გამარგლავდნენ. სიმინდი ორჯერ უნდა ვაეთოხნათ, რომ ნათესი სარეველა ბალახს არ გაენადგურებინა.

მოსავლის აღება ზემო სვანეთის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა პერიოდში ხდებოდა. ქერი იმკებოდა აგვისტო-სექტემ-

ბრის თვეში, პური და ფეტვი—სექტემბერში, სიმინდს კი სექ-ტემბერ-ოქტომბერში ტეხდნენ.

ხორბლეულს ქალები ნამგლით მკიდნენ. იშვიათად ცელი-თაც თიბავდნენ. მომკილი პური და ქერი ძნებად იკვრებოდა. ყანებში გრძელ ჭოკებს ასობდნენ და ძნებს მათ ირგვლივ ზვი-ნებად დგამდნენ. გამომშრალი ზვინები მარხილებით მიჰქონდათ შინ და ფარდულებში მზიან მხარეს აწყობდნენ კიდევ უფრო კარგად გახმობის მიზნით. გასალეწად კი შეარჩევდნენ მზიან დღეს, კარგად გამხმარ ძნებს კალოზე გაშლიდნენ და კევრის საშუალებით ლეწავდნენ. კევრი დიდი ზომისა და მძიმე უნდა ყოფილიყო. მასზე დგებოდა ან ჯდებოდა ბავშვი, ზოგჯერ მოზრდილიც, რომელსაც ცალ ხელში სახრე ან წკნელი ეჭირა ხარების გასადენად, ხოლო მეორეში ხის ნიჩაბი, რომლითაც ძნებს იცავდა საქონლის პატივით გასვრისაგან. ზოგჯერ ხარებს პირზე სპეციალურად მოწნულ პირსაკრავს უკეთებდნენ, რომ ნამჯა არ ეჭამათ ლეწვისას. ძნებს პერიოდულად ფიწლებით აბრუნებდნენ, სწრაფად და კარგად გალეწვის მიზნით.

გალეწილ მოსავალს კალოს ცენტრში აგროვებდნენ და ანიავებდნენ, განცალკევებულ მარცვალს ხის საწნახელებში გა-რეცხავდნენ და მერე სპეციალურად ამისათვის მოწყობილ დე-რეფნებზე ახმობდნენ. გამხმარ მარცვალს კი სამარცვლე კი-დობნებში ინახავდნენ.

სიმინდს ტაროებს მოტეხდნენ, ერთ ადგილას შეაგროვებ-დნენ და მარხილებით ეზიდებოდნენ სახლში. ჩალას დანით ჭრიდნენ და შემდეგ ისიც სახლში შეჰქონდათ. მოტეხილ ტა-როს გაარჩევდნენ და სასიმინდეში ინახავდნენ, საიდანაც სა-ჭიროებისდა მიხედვით გამოჰქონდათ და ხმარობდნენ.

ზემო სვანეთის, განსაკუთრებით კი მაღალმთიანი სოფლე-

ბის მოსახლეობა, მიუხედავად იმისა, რომ იქ მიწათმოქმედების კულტურა მაღალ დონეზე იყო აყვანილი, მაინც მწვავედ განიცდიდა პურის ნაკლებობას, მისი მკაცრი კლიმატისა და მარცვლეულის შემოტანასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო.

შიმშილობის მუდმივი შიში აიძულებდა მოსახლეობას შეესრულებინა ცრურწმენითი ადათ-წესები. ასე მაგ., პარასკევს, შაბათს და კვირას უქმობდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მაღალი ღმერთი განრისხდება და სეტყვას ან გვალვას მოგვივლენს, მოსავალს გაგვინადგურებსო. ამ დღეებში ყველა ერიდებოდა მიწის სამუშაოების შესრულებას. ივნისსა და აგვისტოში, როდესაც პურეული უკვე მწიფდებოდა და დიდი საშიშროება მოელოდათ სეტყვისაგან, კვირა დღეობით აწყობდნენ მსხვერპლშეწირვას, რისთვისაც ერთი ან რამდენიმე სოფელი თავს მოიყრიდა ეკლესიის ეზოში და ნაყიდ საქონელს იქ დაკლავდა. შემდეგ კი მოხარშულ ხორცს გრძელ ტაბლებზე დააწყობდნენ და რამდენიმე მამაკაცს მხარზე გადებული დაჰქონდა. სხვები კი შესაწირი პურებით, ხაჭაპურებით, არყიანი დოქებით ხელში აღმოსავლეთისაკენ მიბრუნდებოდნენ და ერთდროულად შეჰღაღადებდნენ ღმერთს: „მაღალო ღმერთო, შენ შეგვეწიე. მოარიდე ჩვენს ყანებს სეტყვა და ცუდი ჰაერი“ (იგულისხმება მცენარეულის დაავადებები). ლოცვის მერე სხდებოდნენ და ლხინობდნენ.

სოფლები წინასწარ შეიფიცებოდნენ, რომ ივლისსა და აგვისტოში უქმეს არ დაარღვევდნენ. თუ რომელიმე მაინც დაარღვევდა უქმეს და იმუშავებდა ყანაში, მას ჯარიმას ახდევინებდნენ, რომელიც შემდეგ მსხვერპლშეწირვისათვის გამოიყენებოდა. თუ უქმეს არღვევდა ვინმე და ამ დროს სეტყვა მოვიდოდა, მას განსაკუთრებით მკაცრად აჯარიმებდნენ.

წლიური ციკლის თითქმის არც ერთი დღესასწაული არ სრულდებოდა ისე, რომ ოჯახის უფროსს მოსავლის მფარველი ღვთაებისათვის უხვმოსავლიანი წელიწადი არ ეთხოვნა. ხანგრძლივი გვალვისა თუ ავდრის დროს სრულდებოდა რიტუალები; ვარკვეულ დღეებში ოჯახიდან არაფერს არ გასცემდნენ, რათა ხვავი და ბარაქა არ დაეკარგა ოჯახს.

მიწის სიძვირეზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ ხშირად ორი მოსახლის მომიჯნავე სახნავი „საკამათოდ" (ლაღეშგალ) იწოდებოდა. ასეთი ნაკვეთების გამო ხშირი იყო ჩხუბი და უსიამოვნება, რომელიც არცთუ იშვიათად სისხლისღვრით თავდებოდა.

ზემო სვანეთში ყანა საკმაოდ ადრიდან ყოფილა გაყიდვის საგანი. შემონახულია მეთოთხმეტე საუკუნის კერძო აქტები ყანის გაყიდვის შესახებ. აქტი ასახელებს გაყიდული ყანის სახელწოდებას და აღნიშნავს, რომ მისი ფასი აღებული აქვს მყიდველს სრულად. აქტში ისიცაა აღნიშნული, რომ მყიდველს შეუძლია ნაყიდი ყანა გაცვალოს, გაყიდოს, გაამზითვოს[1].

ვითარება არსებითად შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მესტიამდე სამანქანო გზის გაყვანამ გაადვილა სვანეთის მომარაგება მარცვლეულით. პურის ფქვილის შეზიდვას განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიეცა ომის შემდგომ წლებში. სულ რაღაც ორი ათეული წლის მანძილზე ომის შემდეგ ზემო სვანეთში გასაოცარი ცვლილებები მოხდა. 1960-იანი წლებისათვის სვანეთის სამიწათმოქმედო კულტურებიდან სავსებით გამოიდევნა მუხუდო, ცერცვი, ოსპი, ბარდა, ფეტვი. სულ მალე მათ პურიც შეუერთდა.

---

[1] პ. ინგოროყვა, დასახელებული ნაშრომი, 78—79.

ამჟამად ზემო სვანეთში ძირითადად მხოლოდ და მხოლოდ ქერი, სიმინდი, კარტოფილი, ლობიო, კვახი და მცირე რაოდენობით კანაფი თუ მოჰყავთ.

მესაქონლეობა ზემო სვანეთში მრავალპროფილიანი მეურნეობის ერთ-ერთი დაწინაურებული დარგი იყო ძველთაგანვე. მესაქონლეობა მოსახლეობას მუშა პირუტყვით, რძითა და რძის ნაწარმით, ტყავით, მატყლით, ხორცით უზრუნველყოფდა.

ხარი გამწევ ძალად გამოიყენებოდა. მას აბამდნენ კავში, მარხილში, კევრში. ხარით ეზიდებოდნენ მოსავლს, თივას, შეშას, სამშენებლო ხე-ტყეს, ქვას, კირს, სილას, ხარითვე გადაჰქონდათ მეზობელ ხევებში ტვირთი.

უღელტეხილებზე ტვირთის გადასატან-გადმოსატანად ცხენი, ჯორი და სახედარი გამოიყენებოდა.

სვანეთში წველიდნენ ძროხასა და თხას. ცხვარს იშვიათად თუ ვინმე წველიდა. თხასთან ერთად თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა გარკვეული რაოდენობით ცხვარი და ღორი.

ადრე გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე საქონელი საგაზაფხულო—საშემოდგომო საძოვრებზე ჰყავდათ. ეს საძოვრები ტყისა და ალპიური ზონის საზღვარზე მდებარეობენ. აქ ხის კარვები ჰქონდათ აგებული. კარვების ახლოს საქონლის შესარეკი ბაკები იყო მოწყობილი.

ზაფხულობით საქონელი საზაფხულო საძოვრებზე აჰყავდათ, უკვე უშუალოდ ალპურ ზონაში. აქაც ქვის (მშრალი წყობით) ან ხის კარვები ედგათ და საქონლის ბაკები ჰქონდათ ქვის ყორით ან ხით შემოვლებული. ზოგან, მთაზე, კარვების მთელი „სოფლებია“. ზოგი ასეთი „სოფელი“ თორმეტამდე კარავსაც კი შეიცავდა.

ყოველი ოჯახიდან თითო ადამიანი (კაცი ან ქალი) საღამოობით ადიოდა ალპურ საძოვარზე, საქონელს (ხარებისა და ცხენების გარდა) მოაგროვებდა, შერეკავდა ბაკებში, მოწველიდა ძროხებსა და თხებს, გაწურავდა რძეს საწურში, დააყენებდა მაწონს, თუ ოჯახს სჭირდებოდა თუ არა და ამოიღებდა ყველს. იგივე პროცედურა გრძელდებოდა მეორე დილას, რის შემდეგაც საქონელს საბალახოდ ერეკებოდნენ, ხოლო თვითონ დატვირთავდნენ სახედრებს ან ცხენებს რძის ნაწარმით და ადრიანად ბრუნდებოდნენ სოფელში, სადაც მთელი დღის მანძილზე სხვა სამუშაოებს ასრულებდნენ. საღამოობით კი სახლიდან კვლავ მთაში მიდიოდნენ.

მთის კარვებში დღე იშვიათად რჩებოდა ვინმე, რადგანაც დროის უქმად დაკარგვა არ უნდოდათ. მთაში თუ მგელი ან დათვი გამოჩნდებოდა, მაშინ საქონლის (განსაკუთრებით წვრილფეხასი) მწყემსობას რიგრიგობით ეწეოდნენ. თუ სხვა რაიმე მიზეზით დარჩებოდა ვინმე მთაში, ის აქაც არ კარგავდა უქმად დროს. გარდა იმისა, რომ კარავსა და ბაკებს არემონტებდა, შეშას იმარაგებდა, გარეულ სასარგებლო მცენარეულობასაც აგროვებდა სახლში წასაღებად ან თომს მოიპოვებდა ზამთრობით ფეხსამოსში ჩასატნევად.

სვანმა მესაქონლემ ადრიდანვე შეამჩნია, რომ ყველა მთა ერთნაირად გამოსადეგი არ იყო მესაქონლეობის მიზნებისათვის, რომელიც ერთ ხატოვან გამოთქმაშიც კი დამკვიდრებულა: „ყველა მთაზე ერთნაირი ბალახი არ იზრდებაო". თავრალისა და მიმდებარე ტერიტორიის სოფლელები, მიუხედავად იმისა, რომ მათ მახლობლად იყო ალპური საძოვრები, არჩევდნენ საქონ-

ლის უფრო შორ, ძნელად მისასვლელ ადგილას (ლაჟვრა) გადაყვანას, რადგანაც იქ ბალახი უფრო ნოყიერი იყო.

საზამთრო საძოვრები ზემო სვანეთს არ გააჩნდა, რაც გარკვეულად აფერხებდა მესაქონლეობის განვითარებას.

სვანეთში ადგილობრივი ჯიშის საქონელი იყო გავრცელებული, რომელიც აქაურ გარემოსა და კლიმატურ პირობებს კარგად იყო შეგუებული. აქაური მსხვილფეხა საქონელი დიდი ტანითა და წონით არ გამოირჩევა, თუმცა შემჩნეულია, რომ სვანური ძროხის რძის ცხიმიანობა ხევსურულისას არ ჩამოუვარდება.

ადგილობრივ ჯიშთან ერთად ზემო სვანეთში ჰყავდათ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოყვანილი მსხვილფეხა საქონელიც. ეს საქონელი განსაკუთრებით დიდი ტანით გამოირჩეოდა. მისი ადგილობრივი ჯიშის საქონელთან შეჯვარებით ახალი ჯიში იქნა გამოყვანილი, რომელიც სიდიდით მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივს. იგი კარგად შეეგუა აქაურ პირობებს და შეინარჩუნა ადგილობრივი საქონლის აღნიშნული თვისებები.

სვანეთში მსხვილფეხა საქონელს საკუთარი სახელი ეძლევა რაიმე გარეგნული ნიშნის ან იმ ადგილის მიხედვით, საიდანაც ისაა ჩამოყვანილი. ზოგჯერ რომელიმე ღვთაების ან წმინდანისადმი შესაწირ საქონელს ამ ღვთაების ან წმინდანის სახელსაც კი არქმევდნენ. ხარების სახელებია: კვამშა (კვამლა), ნიშა (ნიშა), ლამრაი (ლამარიასი — ღვთისმშობელის), თარინგზელშა (მთავარანგელოზისა), ფუსდუ (ღვთისა, მეუფისა), მაცხვარ (მაცხოვრისა), ჩეგმშა (ჩეგემიდან მოყვანილი), ბაქსნშა (ბაქსანიდან მოყვანილი), ყარჩშა (ყარაჩაიდან მოყვანილი), ლაშხშა (შუბლთეთრა), ვოფხაი (ვეფხვია) და ა. შ.

ძროსების სახელებია: თვეთრაჲ ІІ თეთვრ (თეთრი), წადავ (წითელი), კორბაჲ (რქებდახრილი), ყუბლაჲ (ურქებო), ჭაბ (შუბლთეთრა) და ა. შ.

ისეთ ვითარებაში, როდესაც სვანის ოჯახს თვითონ უნდა უზრუნველეყო თავი პურითა თუ სხვა მარცვლეულით, ის იძულებული იყო მიწის მეტი ნაწილი სახნავ-სათესად გამოეყენებინა და სათიბი საგრძნობლად შეემცირებინა. ასეთ პირობებში ჩავარდნილი სვანი იძულებული იყო ალპურ ზონაში ეთიბა, რომელიც სახლიდან ზოგჯერ 6—12 კმ-ითაც კი იყო დაშორებული და იქ დაეგროვებინა საქონლის გამოსაზამთრებლად საჭირო საკვები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბაგური კვება 6—7 თვის მანძილზე გრძელდებოდა, ცხადი გახდება, თუ საკვების რა დიდი მარაგი უნდა მოემზადებინა ოჯახს საქონლისათვის.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად სვანი იძულებული იყო განსაკუთრებით კარგად მოევლო მცირე სათიბებისა და სახნავი ადგილების ნაპირებისათვის. მათ საგანგებოდ ღობავდნენ, რომ შიგ საქონელი არ შესულიყო და რწყავდნენ დილა-საღამოს.

სათიბები აგვისტოს თვეში ითიბებოდა. თიბავდნენ ცელით. თუ ოჯახს სათიბი ბევრი გააჩნდა, ხოლო მამაკაცების რაოდენობა ცოტა იყო, იწვევდნენ ნადს. ნადი სათიბებს გათიბავდა. საღამოთი კი ოჯახი მას პურმარილით. სასმელითა და საკლავით უმასპინძლდებოდა (კლავდნენ თხას ან ცხვარს). თუ ბალახი ხშირი და მაღალი იყო, მოთიბვის შემდეგ მას ფიწლით გაფანტავდნენ, კარგად გახმობის მიზნით. გახმობის შემდეგ თივას ფიწლითა და ფოცხით აგროვებდნენ და ზვინებად დგამდნენ, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა. ოჯახი ამ ოპერაციასაც

ნადის საშუალებით ასრულებდა. ამის შემდეგ თივას მარხილებზე დაუდებდნენ და სახლებში მიჰქონდათ. თივას სახლის მეორე სართულზე — დარბაზში ინახავდნენ. მსგავსადვე თიბავდნენ და ფოცხავდნენ მთაშიაც. თუ ალპური ზონა შედარებით ახლოს იყო სოფელთან ან სამარხილე გზით იყო დაკავშირებული, როგორც მაგალითად, ჰებუდში, ეცერში, ბეჩოში, ლატალში, ლენჯერში, მესტიაში და სხვაგან, მაშინ თივა მარხილით ჩამოჰქონდათ სახლში. ხოლო შედარებით მიუვალი ადგილებიდან თივის ჩამოტანას ამჯობინებდნენ ზამთრობით. მოჭრიდნენ შედარებით ახალგაზრდა წვრილ ხეებს, დააფენდნენ თოელზე, ზედ თივას დააზვინებდნენ, მაგრად შეკრავდნენ თოკებითა და ტყავის ღვედებით და ჩაათრევდნენ სამარხილე გზამდე ან სოფლამდე. არც თუ იშვიათად ასეთ დროს სვანები ზვავებით იღუპებოდნენ.

რადგანაც ზაძთარი ხანგრძლივი იცოდა და თივის მარაგის დიდი რაოდენობა იყო საჭირო, ერთხელ მოთიბულ და მოფოცხილ სათიბებს ისევ რწყავდნენ და უვლიდნენ. ოქტომბრის დასაწყისში კვლავ მოთიბავდნენ და თუ დარი გაუმართლებდათ მოფორცხავდნენ კიდეც. მაგრამ ზოგჯერ თოელი მოუსწრებდათ და ოჯახი იძულებული იყო ნედლად მოეგროვებინა ეს ბალახი და სახმობ დერეფნებსა თუ ფარდულებში გაეშრო.

გარდა თივისა, საქონლის საკვებად გამოიყენებოდა ბზე, ალმინდის ჩალა და აგრეთვე ზაფხულობით მომტვრეული, გამშმარი და ერთად შეკონილი ხის ფოთლოვანი ტოტები. ეს უკანასკნელი ძირითადად წვრილფეხა საქონლის (თხისა და ცხვრის) გამოსაკვებად იხმარებოდა.

ზამთრობით სახლში მოჰქონდათ სოჭის ნორჩი ტოტებიც,

რომელსაც დამშეული საქონელი ძალიან ეტანებოდა. თხებს მთელი ზამთრის განმავლობაში ტყეში დაატარებდნენ და ნეკერს უჭრიდნენ. თხა მეტწილად იქ იყო მოშენებული, სადაც თივის დამზადება შედარებით ძნელ საქმეს წარმოადგენდა სათიბების სიმცირის გამო.

საქონლის საკვების უკმარისობა, გაუთავებელი ხანგრძლივი ზამთარი, მოუსავლიანი წლები, საქონლის სიკვდილიანობა ზამთრობით შიმშილისაგან, მოსახლეობას აიძულებდა შეესრულებინა საქონლის გამრავლებასთან, მესაქონლეობის კულტთან დაკავშირებული სხვადასხვა დღეობანი და ადათ-წესები. მთელი წლის სიკეთე და ბედნიერება წინასწარ რომ უზრუნველეყოთ, ამისათვის ახალ წელსა და ადრე გაზაფხულის დღეობებზე სრულდებოდა უზენაეს ღვთაებათა სახელებზე შესაწირავების მირთმევა, ლოცვა-ვედრებანი და მაგიური ხასიათის მოქმედებანი, ხშირად გარკვეული აკრძალვებიც. ასე მაგალითად, ახალ ორშაბათს ამოყვანილ ყველს მამაკაცს არ აუმევდნენ, მისთვისაც ცუდია და საქონლისთვისაცაო.

თუ სოფლის ახლომახლო მტაცებელი ცხოველი (მგელი ან დათვი) გამოჩნდებოდა, ან ვინმეს პირუტყვი გარეთ დაურჩებოდა, ოჯახი მტაცებლის უვნებელყოფის მიზნით მაკრატელს ან სკამს შეკრავდა და სათანადო შელოცვის შემდეგ დარწმუნებული იყო, რომ მის საქონელს არაფერი დაუშავდებოდა. ასევე სკამის შეკვრისა და შელოცვის შემდეგ მათ სწამდათ, რომ საქონელს ქურდი ვეღარ მოიპარავდა.

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ზემო სვანეთში საქართველოს ხელმძღვანელობამ გარკვეული ღონისძიებანი დასახა. ადგილობრივი კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა მესტიის რაიონის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კო-

ბიტეტის მეცხოველეობის მიმართულების საბჭოთა მეურნეობები. მეურნეობების საქონლის საკვებით კარგად მომარაგების მიზნით იგეგმება და გაჰყავთ სამანქანო გზები მთის საძოვრებისა და სათიბებისაკენ. უკვე გაყვანილია ხალდეს მთაზე მდებარე სათიბებისაკენ მისასვლელი ათკილომეტრიანი სამანქანო გზა.

მიმდინარეობს არსებულ ფერმათა შენობების რეკონსტრუქცია, იგეგმება და შენდება ახალი ფერმები.

უახლოეს მომავალში განვითარდება მეხორცეობისა და მერძევეობის მიმართულების მესაქონლეობა, ამაღლდება პროდუქტიულობა, რამდენიმეჯერ გადიდდება ხორცისა და რძის წარმოება.

სვანთა მეურნეობრივ საქმიანობაში ძველთაგანვე დიდი ადგილი ეკავა მეფუტკრეობასაც. მენანდრე პროტიქტორის ცნობით IV საუკუნის დასასრულს სვანები ფუტკრის ნაყოფს ლაზიკაში გზავნიდნენ[1].

ზემო სვანეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე მისდევდნენ მეფუტკრეობას. ზოგი ოჯახის სკის რაოდენობა 120-საც კი აღწევდა. სვანურ ფუტკარს სხვებთან შედარებით გრძელი ხორთუმი ჰქონდა, რაც საშუალებას აძლევდა ნებისმიერი ვარგისი ყვავილიდან ამოეღო ნექტარი. თაფლი და ცვილი გაჰქონდათ როგორც საქართველოს ბარში, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში.

ზემო სვანეთის უღრან ტყეებსა და ძნელად მისადგომ მთებში მრავლად მოიპოვებოდა ჯიხვი, არჩვი, დათვი, მგელი, კვერნა და სხვა. აქ ნადირობას ოდითგანვე მისდევდნენ, რაც

---

[1] გეორგიკა, ტ. III, 224.

გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა მთელი რიგი ტრადიციული ჩვეები, რისი უცილობელი დაცვაც წარმატების საწინდარად მიაჩნდათ. ნადირობდნენ ჯგუფურადაც და ინდივიდუალურადაც. ცნობილი მონადირეები დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ ხალხში. მათზე საგმირო სიმღერები და ბალადებიც კი იქმნებოდა (სიმღერა გივერგილაზე, რომელიც კლდეს ჯიხვს არ არჩენს და ზღვას — თევზს, ბალადები ბეთქილზე, ჩორლაზე და სხვა).

სანადიროდ მიმავალი სვანი გარკვეული დროის მანძილზე ასლოს არ გაეკარებოდა ასლად მოლოგინებულ ან რიგში მდგომ ქალს. წასვლის წინა ღამეს მას უცსობდნენ საგზალს, აფსათის სახელზე შესაწირ პურებს. მონადირე დილას გათენებამდე მიდიოდა სოფლიდან, რომ ვინმეს არ გადაყროდა და არ გაეთვალათ. გზად თუ ვინმე შემოხვდებოდა, ეს უკანასკნელი დალოცავდა მას და ბედნიერ ნადირობას უსურვებდა. საერთოდ მონადირე ერიდებოდა ვინმესთან შეხვედრას, განსაკუთრებით არასასურველად მიაჩნდა შეხვედრა მარცხენა მხრიდან. დანიშნულ ადგილზე მისული ამოიღებდა სალოცავ პურს ან ხაჭაპურს, დაიჩოქებდა და ნადირობის ღმერთზე აფსათიზე ილოცებდა. ამის მერე დანაყრდებოდა და იწყებდა ნადირობას. ნადირობა ზოგჯერ რამდენიმე დღესაც გრძელდებოდა. მონადირე მოკლავდა თუ არა ჯიხვს ან არჩენს, გაატყავებდა, აქნიდა, გულ-ღვიძლს ამოაცლიდა, შეწვავდა და აფსათს შესწირავდა. ხორცს ნანადირევისავე ტყავში გაახვევდა და სახლში საღამოთი ისეთ დროს დაბრუნდებოდა, რომ მეზობლებს არ შეემჩნიათ.

სვანებს, შორეულ წარსულში, ნანადირევი ჯიხვი ან არჩ-

ვი, ქალებისაგან უჩუმრად აჰქონდათ საცხოვრებელი კოშკის მესამე სართულზე ან საბრძოლო კოშკში და იქ ხარშავდნენ ისეთ ქვაბში, რომელიც საერთოდ არ ჰქონდათ ნახმარი. ქალებს ძვლებგაცლილ მოხარშულ ხორცს გაუგზავნიდნენ, ნაწილს კი იქვე ჭამდნენ ფრთხილად, ცდილობდნენ, ხელიდან არ გავარდნოდათ და მიწაზე არ დაცემულიყო. ხორცს არ აჭმევდნენ ფეხმძიმე ქალს ან იმას ვინც მრუშობაში იყო შემჩნეული. ნანადირევის ძვლებს აგროვებდნენ და მოფარებულ ადგილას ინახავდნენ, ხოლო რქებს აფსათს შესწირავდნენ.

სვანი მონადირე არასოდეს წაჰკრავდა ფეხს ნანადირევის ძვალსა და რქას, აუგად არ მოიხსენიებდა მათ და არც სხვას მისცემდა ამის უფლებას.

ზამთრობით კოლექტიურად ამჯობინებდნენ ნადირობას. როდესაც დიდი თოვლი მოვიდოდა, მონადირეებს ხალხი მიჰყავდა სანადირო ადგილებში და ჯიხვებს გამოდენიდნენ კლდეებიდან. ხალხი ხევში იყო დადარაჯებული. ჯიხვები ღრმა თოვლში ეფლობოდნენ და ხშირად მათ ცოცხლადაც იჭერდნენ.

საყურადღებოა, რომ სვანურში ჩვეულებრივი სასაუბრო ენის გვერდით არსებობდა სანადირო ენაც, რომელსაც თავისი ლექსიკა აქვს. ასე მაგალითად.

სასაუბრო ენაში	მონადირის ენაში	
აფხნეგ	ნეპოლ	ამბანაგი
ტუფ	ცილ	ტყავი
ლეღვ	ძერ	ხორცი
თეეფ	ტარხან	თოფი და ა. შ.

სვანეთის მდინარეები მდიდარია კალმახით, რომელსაც იჭერენ პატარა შენაკადების სხვა კალაპოტში გადაგდებით, ხოლო თევზაობისას ბადეებს, გოდრებს და ანკესებს იყენებენ. სვანის ოჯახისათვის საჭირო საგნები, დაწყებული პირადი მოხმარების საგნებიდან და დამთავრებული სამეურნეო იარაღებით, ძირითადად ოჯახშივე მზადდებოდა ოჯახის წევრების მიერ. ქალები საქსოვ დაზგაზე ქსოვდნენ ადგილობრივ შალს, ხამ ტილოს. აკეთებდნენ ქუდებს, ქსოვდნენ წინდებს, ხელთათმანებს, პაჭიჭებს, კერავდნენ ფეხსამოსს, ტანისამოსს, ადგილზევე მზადდებოდა საპონი.

მამაკაცები აკეთებდნენ მარხილებს, კევრებს, ხის ნიჩბებს, ხის ფიწლებს, გოდრებს, კალათებს, გობებს, ვარცლს, ათასგვარ ჯამ-ჭურჭელს, სკივრებს, კიდობნებს და სხვა.

სვანეთში მნიშვნელოვნად იყო განვითარებული მჭედლობა. ადგილზე მზადდებოდა როგორც სამეურნეო ისე საბრძოლო იარაღი, კერძოდ, ცელი, ნამგალი, თოხი, ნაჯახი, ფიწალი, სახნისი, დანა, კერა და მისი შემადგენელი ყველა ელემენტი, ჯაჭვი, ხმალი, ხანჯალი, თოფი და სხვა. მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ექსპონირებულია ცხუმარიდან ჩატანილი დაზგა, რომლითაც კაჟიანი თოფის ლულა კეთდებოდა. სპილენძისაგან ამზადებდნენ სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ქვაბებს. ზოგი ქვაბის მოცულობა ისეთია, რომ შიგ თავისუფლად შეიძლება სამი ხარის მოხარშვა.

სვანეთში ძველთაგანვე ყოფილა განვითარებული ოქრომჭედლობა. ადრე ფიქრობდნენ და ზოგს ახლაც ჰგონია, რომ სვანეთის ეკლესიებში დღემდე დაცული უამრავი ხატ-ჯვარი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდანაა დასამალავად ატანილი. როგორც ჯერ კიდევ ექ. თაყაიშვილმა აღნიშნა, აქ აღ-

ნუსხული ხატ-ჯვრების ცხრა მეათედი ადგილზეა დამზადებული ადგილობრივი ოსტატების მიერ[1].

საიუველირო ნაწარმიდან ადგილზე კეთდებოდა ოქროს თუ ვერცხლის სამკაულები: საყურეები, ფოლაქები, ბეჭდები, ჩაფრასტები, სამაჯურები, ქამრის ბალთები. მოგვიანებით ასევე ოქროს, ვერცხლისა და სპილენძისაგან მზადდებოდა ჯვრები, ხატები, ლაბარუმები და სხვა.

თუ რა დიდი ღირებულება ჰქონდა მჭედელს სვანის ყოფაში, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მჭედლის მოკვლისათვის ორმაგი საფასური იყო დაწესებული.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, სვანეთში ადგილობრივი კაჟიანი თოფი, რომელსაც სვანები სვანურ თოფს (ლუშნუ თვეფ) ეძახდნენ, უკვე XVII ს. დასაწყისში კეთდებოდა და თოფის წამალსაც ადგილობრივ ამზადებდნენ. თოფის წამალს ყოველი ოჯახი ამზადებდა და სვანები იმით მეზობელ კუთხეებსაც ამარაგებდნენ.

ოჯახის შემოსავლის გაზრდის ერთ-ერთ დამატებით წყაროს გარესამუშაოდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენდა. სვანები ზამთრობით სამეგრელოში, იმერეთში, ლეჩხუმში, გურიაში, აფხაზეთში, რაჭაში, ქართლსა და კახეთში გადიოდნენ. აქ ისინი მუშაობდნენ ხე-ტყის დამზადებაზე, ასრულებდნენ მიწის სამუშაოებს. ზაფხულობით გადიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში სათიბად. თუ ოჯახი მამაკაცების ნაკლებობას არ განიცდიდა სვანი მთელი წელი რჩებოდა გარეთ, თუ არა და ხვნა-თესვისა და თიბვის პერიოდისათვის შინ ბრუნდებოდა.

---

[1] ეკ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, 436.

სამშენებლო ხელოვნება

თითქმის ყველა მოგზაურს თუ მკვლევარს, ვისაც კი ზემო სვანეთი უნახავს, აღნიშნული აქვს, რომ აქაური სოფელი ერთიან ციხე-სიმაგრეს ჩამოჰგავს. ეს პირველი შთაბეჭდილება არაა ჭეშმარიტებას მოკლებული. სვანურ სოფელში შემსვლელი მგზავრი ხედავდა სახლების ქვითკირის კედლებს, ფიქალის ქვის სახურავებს და ქვითკირითვე ნაგებ კოშკებს. სახლებს შუა ღატოვებული ვიწრო გზების ჩახერგვა ადვილად შეიძლებოდა და სოფელი მართლაც მიუვალ ციხე-სიმაგრედ იქცეოდა. სვანეთის სოფლის სახე, მისი სტრუქტურა დეტალურადაა აღწერილი რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის ნაშრომში „სვანეთის სოფელი ძველად".

სვანური სოფელი არ იყო ერთგვაროვანი აგებულების. აქ ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდნენ სხვადასხვა სახეობის საცხოვრებელი ნაგებობანი და კომპლექსები, რომლებიც საცხოვრებლის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შეიქმნა და რომელთა მეტნაკლებად სახეცვლილი ფორმები მომდევნო პერიოდებშიაც შემოგვენახა.

დღემდე შემორჩენილი საცხოვრებელი კომპლექსები მეტყველებენ იმ ფაქტზე, რომ სვანეთში სამშენებლო ხელოვნება ძველთაგანვე მაღალ დონეზე მდგარა. ქვემოთ მოგვყავს მშენებლობის ხალხური წესები და ტრადიციები, რომლებიც ჩვენ ზემო სვანეთში მუშაობისას ჩავიწერეთ.

ძველად სვანეთში ერთ სახლში რამდენიმე მამაკაცი ცხოვრობდა. მათი შეხმატკბილებულად შრომა და ცხოვრება ოჯა-

გ. ხოჯელანის საცხოვრებლის ფასადი

ხის უფროსზე იყო დამოკიდებული. გამოცდილი და გამჭრიახი კაცი ყოველთვის მოხერხებულად უღღვებოდა ოჯახს. ერთს დატუქსავდა, მეორეს წაახალისებდა, იძლეოდა ათასგვარ რჩევა-დარიგებას და ამით აღწევდა ოჯახის სიმტკიცეს, მაგრამ მაინც დგებოდა მომენტი, როდესაც ოჯახი უთუოდ უნდა გაყრილიყო. ყოველი რძალი ცდილობდა სვანურ დიდ ოჯახში თავისი საკუთარი კუთხე გაეჩინა და ოჯახის საერთო დოვ-

ლათიდან მიეზიდა რაც შეიძლება მეტი. ამასვე აკეთებდა მეორე, მესამე და სხვა რძლებიც, რაც შეუმჩნეველი არ რჩებოდა არც ოჯახის უფროსისა და არც სხვა წევრებისათვის. ამას მოსდევდა პირველი უსიამოვნებანი, რომლებიც თანდათან ღვივდებოდა.

გაყოფის ძირითადი მიზეზი ჩვეულებრივ ოჯახის შიგნით ცალკეულ წევრთა კერძომესაკუთრული ინსტინქტები იყო. თუ ოჯახის უფროსი ძლიერი პიროვნება იყო, მაშინ ის ახერხებდა შინაურების დაშოშმინებას, მაგრამ ხშირად იმის შიშით, რომ ოჯახში უბედურება არ დატრიალებულიყო, გაყოფის ნებას იძლეოდა. ამრიგად, სვანური ხატოვანი ფრაზით რომ ვთქვათ, „სამუდამოდ გაყრა, არავინ რომ არ მოელის მაშინაა მოსალოდნელი“.

ასეთი შემთხვევისას გამოყოფილ ოჯახს ახალი საცხოვრებელი სჭირდებოდა. ახალი საცხოვრებელი სჭირდებოდა აგრეთვე სხვა ხევიდან გადმოსახლებულ ოჯახს, ან ცალკეულ პიროვნებასა თუ ოჯახს, რომელსაც სოფელი შეიკედლებდა. ასეთი ოჯახები იწყებდნენ სამოსახლო ადგილის შერჩევას.

სამოსახლოს ჩვეულებრივ თავიანთსავე სოფელში არჩევდნენ. სამოსახლოდ უპირატესობას აძლევდნენ იმ ადგილებს, სადაც ადრიდანვე ჰქონდათ აგებული დროებითი სადგომები და კარგად ჰქონდათ შესწავლილი ის ყველა თვალსაზრისით.

სახლის ასაგებად შერჩეულ ადგილს რამდენიმე პირობა უნდა დაეკმაყოფილებინა: უპირველეს ყოვლისა კარგად უნდა ყოფილიყო ზვავებისა და წყალდიდობებისაგან დაცული, ამ. ჯობინებდნენ სამხრეთის მზიან მხარეს: ითვალისწინებდნენ ქარების მიმართულებას, ყამირის წყლების დონეს, ყამირის თავისებურებებს, სამეურნეო მიწების მდებარეობას, სასმელი



კოშკები სოფ. ჩაჟაშში

წყლის სიახლოვეს, საგზაო კომუნიკაციების სიახლოვეს და მიმდებარე ტერიტორიისადმი სტრატეგიულ მიმართებას.

ბუნებრივ ფაქტორებს რომ ძველთაგანვე ითვალისწინებდნენ სვანი მშენებლები, ეს ნათლად მოჩანს სვანეთის სოფლების მაგალითზე. უშგულის ერთ-ერთი სოფელი ჩაჟაში, ორი მდინარის, ქვიშორისა და ენგურის შეერთების ადგილზეა გაშენებული. სოფელი მდინარის დონიდან 6—8 მ-ით მაღლა მდებარეობს. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან მქროლავი ქარე-

სოფ. ჩაჟაშის საერთო სედი

ბისაგან მას გორაკი იფარავს. ზვავების საშიშროება გამორიცხულია. სტრატეგიული თვალსაზრისით ადგილი იდეალურადაა შერჩეული. სამი მხრიდან მდინარეების წყლით იყო დაცული, ხოლო მეოთხე მხრიდან კი გორაკზე ამართული ციხე სიმაგრეები იცავდნენ.

სამოსახლოსათვის ადგილის შერჩევის შემდეგ საჭირო იყო სამშენებლო მასალის მოპოვება-დამზადება. სამშენებლო მასალებიდან უპირველეს ყოვლისა ქვას ამზადებდნენ. ნაგებობის სიმტკიცე და გამძლეობა ბევრად იყო დამოკიდებული

ამა თუ იმ ჯიშის ქვაზე და ამიტომ ქვის ჯიშის შერჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

საშენად გამოიყენებოდა ფიქალისა და სიპი ქვა. ფიქალის ქვა იხმარებოდა როგორც კედლის წყობის ასაყვანად, ისე გადახურვისათვისაც. იგი ფართოდ გამოიყენებოდა სახლის იატაკის ფენილის მოსაწყობად, ინტერიერების მოსაპირკეთებლად, კოშკებში სართულშუა გადახურვებში დატოვებული ასასვლელების ჩასაკეტად, კოშკის ამბრაზურების ღიობების დასახურად, კერიაზე დასადებად, ღობის წყობისათვის და ა. შ. ფიქალის ქვის ასე ფართოდ გამოყენება იმით უნდა ავხსნათ, რომ ის შედარებით იოლი დასამუშავებელი იყო და მისი მოპოვება-დამუშავებისათვის განსაკუთრებული ქვის საკოდი იარაღი არ იყო საჭირო და ამასთან მისი საბადოებიც უამრავია სვანეთში.

ქვის მოპოვებისას იყენებდნენ ხის ან რკინის სოლებს, ხის კეტს, ლომს, უროს, წერაქვს, საკვეთს. თუ ქვის კარიერი კლდის მასივის სახით იყო წარმოდგენილი, მას ლაღუმით აფეთქებდნენ, შედარებით დიდ ნამტვრევებს ურითი დაამტვრევდნენ, სამარხილე გზამდე ჩაყრიდნენ და იქ მოხერხებულ ადგილას საყენებად აწყობდნენ.

საშენი ქვა ზაფხულზე უნდა შეეგროვებინათ, ხოლო შეჰქონდათ ზამთარში რადგანაც გაკვალულ თოვლზე ხარები სამოთხჯერ მეტს ეზიდებოდნენ, ვიდრე მშრალ მიწაზე. ოჯახი დამხმარეებს იწვევდა, რომლებიც თავიანთი ხარებითა და მარხილებით მოდიოდნენ. სვანეთში, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ კუთხეებში, ფართოდ ყოფილა გავრცელებული ურთიერთდახმარებისა და კოლექტიური შრომის ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმები. ისეთი სამუშაოების შესრულები-

სას, რომლის დროსაც ოჯახს მუშახელის ან გამწევი ძალის დიდი რაოდენობა სჭირდებოდა, ის ატყობინებდა თანასოფლელებს და ეს უკანასკნელები კი ეხმარებოდნენ. შემოზიდული ქვა სამშენებლო მოედანზე ეწყობოდა.

სვანი მშენებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქვიშის შერჩევას. ისინი არჩევდნენ წვრილმარცვლიან მოთეთრო ქვიშას. უშგულში ფასის მთიდან მომდინარე მდ. ქვიშორის შავ შეფერილობის მსხვილმარცვლოვან ქვიშას მშენებლობაში არავინ იყენებდა. აქ არჩევდნენ მდინარე ენგურის ქვიშას. მესტიაში ქვიშას მდინარე მესტიაჭალის ნაპირებზე აგროვებდნენ. ქვიშა აქ ღია ფერისაა, წვრილმარცვლოვანი, ხოლო მდ. მულხურის ქვიშა კი მოშავო ფერისაა, რომელსაც არავინ იყენებდა მისი მსხვილმარცვლოვანობის გამო.

სვანი-მშენებელი ხარისხიანი ქვიშის შორიდან მოტანას ამჯობინებდა, რადგანაც იცოდა, რომ ქვიშის ხარისხზე ბევრად იყო დამოკიდებული შემკვრელი ხსნარის ვარგისიანობა.

ქვიშას 2—3 წლის განმავლობაში ამზადებდნენ. მის მოგროვებას იწყებდნენ შემოდგომაზე, როდესაც მდინარეებში წყლის დონე კლებულობს, ქვიშა კი რიყეზე რჩება. თუ მდინარე რიყეზე ქვიშას ნაკლებად ტოვებდა, მაშინ შეარჩევდნენ მარჯვე ადგილს, მოღობავდნენ, გადმოაგდებდნენ წყლის ტოტს და ატბორებდნენ. დატბორებულ ადგილზე ქვიშა ილექებოდა. წყლის ტოტს კვლავ მდინარისაკენ მიუშვებდნენ და ქვიშას ნაპირზე ამოყრიდნენ, წყალს კი კვლავ ატბორებდნენ. ნაპირზე ამოყრილი ქვიშა შრებოდა. ქვიშის ტრანსპორტირება სამშენებლო მოედნამდე ზამთრობით ხდებოდა. მარხილზე თხილის წნელებით მოწნულ ძარას დებდნენ, მას ზემოდან ტომარას, ან ტყავებს აფარებდნენ, რომ ქვიშა არ დაბნეულიყო.

ქვიშის შემოზიდვის დროსაც გამოიყენებოდა ურთიერთდახმარების კოლექტიური ფორმები.

მდინარის ქვიშის გარდა მშენებლობისას გამოიყენებოდა მთის ანუ ნათხარი ქვიშაც. ხვნისას ან მიწის თხრის დროს შემთხვევით წააწყდებოდნენ ქვიშის მარაგს და მას კარიერებად აქცევდნენ. ხშირად მას ზვავისაგან ჩამოწოლილ მთის ფერდობზეც პოულობდნენ.

ნათხარ ქვიშას ცრიდნენ, ცდილობდნენ რაც შეიძლება სუფთა ყოფილიყო, რადგანაც მიწის მინარევი უარყოფითად მოქმედებდა ხსნარის ხარისხზე.

მშენებლობის ხანგრძლივმა პრაქტიკამ სვანი მშენებლები დაარწმუნა, რომ კედლის წყობის შესაკრავი ხსნარისათვის უკეთესი იყო მთის ქვიშა, ხოლო შესალესად კი მდინარისა.

სვანეთში თითქმის ყველა სოფელს ან სოფელთა გარკვეულ ჯგუფს გააჩნდა კირის საკუთარი კარიერი. ასე მაგალითად, თავრალში, ლაშხრაშსა და ცალერში კირქვა მდინარე ნაკრის ხეობიდან აჰქონდათ. გზა შორი და ძნელი იყო. ეს შვიდკილომეტრიანი გზა ჰადის უღელტეხილზე გადიოდა. კირქვის მოპოვება აქ დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

ლატალში, ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით საკირე მასალა ტებდიაშის მხრიდან მოჰქონდათ. კარიერი აქაც დიდი მანძილით იყო დაცილებული სოფლებს და კირქვაც ძნელი მოსაპოვებელი იყო. ჯერ უნდა გაეთხარათ მიწა გარკვეულ სიღრმემდე, სადაც კირქვა ფენებად იყო დალექილი, შემდეგ გამოემტვრიათ და სამარხილე გზასთან დაეწყოთ.

ბეჩოს სოფლების: ჰებუთის, ჭკიდიანარის, ქართვანისა და დოლის მცხოვრებნი საკირე მასალას ლეჩყანის კირის კარიერზე მოიპოვებდნენ. აქაც მიწის ამოთხრა იყო საჭირო 2 მ-ის

სილრმემდე, რომ კირქვის ფენამდე დასულიყვნენ. თუ ერთ-გან არ შეხვდებოდათ, სხვაგან უნდა დაეწყოთ თხრა.

უშგულის სოფლებში კირქვა შხარის მხრიდან მოჰქონ-დათ. კირქვის ნამტვრევები აქ შვავს ჩამოჰქონდა და მას სა-მარხილე გზასთან აგროვებდნენ. ზოგი მოსახლე საკირე მასა-ლას თანასოფლელისაგან ან სხვა სოფლელისაგან ყიდულობ-და. ორი საკირის სამყოფი გამომტვრეული კირქვა ძროხის სა-ფასური ღირდა.

მოპოვებულ კირქვას კარიერთან გამოწვავდნენ ან სამშე-ნებლო მოედანთან შემოზიდავდნენ (აქაც დახმარებას უწევდ-ნენ მშენებარე ოჯახს). კირქვის ტრანსპორტირებაც ზამთრო-ბით ხდებოდა.

საკირე მასალის შემოზიდვის შემდეგ ოჯახი კირის გამოსა-წვავად საჭირო შეშას ამარაგებდა.

კირის გამოწვას ამჯობინებდნენ გაზაფხულზე, მაისის ბო-ლო რიცხვებში. განსაკუთრებით სასურველად მიაჩნდათ სა-კირეში ცეცხლის დანთება ამაღლების დღეს.

საკირის აგებისას მშენებელ ოსტატებს იწვევდნენ. ჯერ თხრიდნენ საკირე ორმოს: მის ფსკერს მოასწორებდნენ და ზედ ცეცხლგამძლე ქვაბს აწყობდნენ. შემდეგ ორმოს კიდე-ებთან წრიული ფორმის ქვის კედელი ამოჰყავდათ ერთი არ-შინის სიმაღლემდე. ამის შემდეგ წყობა კირქვით აჰყავდათ კონცენტრიული წრეების ფორმით. კედელში ტოვებდნენ კარს საცეცხლე საკანში შეშის შესაკეთებლად. მოპირდაპირე მხა-რეს, კარზე ოდნავ მაღლა, კედელში ჰაერის სადინარ ხვრელს აკეთებდნენ, რომ ჰაერის ნაკადს ცეცხლი უფრო გაეღვივე-ბინა.

საკირის ამოყვანისას ორი მშენებელი შიგნიდან მუშაობ-

და, ორი — გარედან, სხვები კირქვებს აწვდიდნენ. საკირის კედლის ის ნაწილი, რომელიც ცეცხლთან უფრო ახლოს იყო, დიდი ზომის კირქვებით ამოჰყავდათ მათი კარგად გამოწვის მიზნით. პატარა ზომის ნამტვრევების გამოწვას ნაკლები ცეცხლი სჭირდებოდა და მათ საკირის გარე ნაპირებთან აწყობდნენ.

მშენებლები საცეცხლე საკანს გუმბათის ფორმას აძლევდნენ. გუმბათის დასრულების შემდეგ ჩამკეტ ქვას ჩასვამდნენ და ზემოდან კირქვის ნამტვრევებს დააყრიდნენ. საკირის თავზე ხის ჯვარს დაასობდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი მზად იყო გამოსაწვავად.

ამის შემდეგ ოჯახის უფროსი ვერძს დაკლავდა და შემწვარ ღვიძლს შესაწირავად საკირეში შეიტანდა. შეჰქონდა აგრეთვე ერთი დოქი ზედაშეც და სპეციალურად ამ დღისათვის გამომცხვარი სეფისკვერები. დაილოცებოდა, წმ. გიორგის შემწეობას შესთხოვდა, სოლომს ძალ-ღონის მიცემას ემუდარებოდა, მშენებლობის კეთილად დაგვირგვინებას ეაჯებოდა, შემდეგ ქათმის კვერცხს შეაგდებდა შიგნით და იტყოდა „ამასავით გამოიწვიო“. შეუკეთებდა შეშას და ცეცხლს მოუკიდებდა. ცეცხლის გაღვივების შემდეგ მშენებლები ხელ-პირს დაიბანდნენ და საჭმელად სხდებოდნენ.

კირის გამოსაწვავ შეშად ნაძვი, ფიჭვი და სოჭი გამოიყენებოდა. უფრო კი ნაძვს არჩევდნენ. მაგარი ჯიშის ხეს საკირე შეშად არ ხმარობდნენ, რადგანაც ეს უკანასკნელი ნახშირის დიდ რაოდენობას ტოვებდა. ნახშირის მოსასპობად ნედლ-ფოთლოვანი ტოტების კონას შეყრიდნენ საკირეში და ის ნახშირს ნაცრად აქცევდა.

კირის გამოწვას გარკვეული დრო სჭირდებოდა. მკვრივი

ჯიშის კირქვის გამოსაწვავად 4 დღემდე იყო საჭირო, რბილი კირქვის გამოწვისათვის 2 დღე-ღამე კმაროდა.

საკირეში ცეცხლის დანთების შემდეგ, საღამოს ოჯახში მომხმარეების გარდა სტუმრებიც მოდიოდნენ. ამ ღამეს სახლში დიდი ლხინი იმართებოდა. საკირესთან ახალგაზრდობა რჩებოდა. ისინი შეშას აპობდნენ და საკირეში უკეთებდნენ. ოჯახის უფროსს მათთანაც გამოჰქონდა არაყი და საჭმელი. საღამოსათვის ახალგაზრდები ახლადგამოხდილ ყავარს იღებდნენ და მასზე ნახშირით ნიშანს აკეთებდნენ. დაამაგრებდნენ სადმე და გვერდით ანთებულ კვარს მიუმაგრებდნენ, რომ შავი ნიშანი კარგად გამოჩენილიყო. გარკვეული მანძილიდან მშვილდიდან ისარს ესროდნენ და ის, ვინც ნიშანს ცენტრში მოახვედრებდა, კარგ ვაჟკაცად ითვლებოდა.

მეორე დღისათვის სოფლელები დაიშლებოდნენ და საკირის გამოწვა უკვე მშენებლებისა და მშენებარე ოჯახის წევრების საქმე იყო. აქა-იქ თანასოფლელებიც შველოდნენ ხოლმე.

უშგულში ჩაწერილი მასალის მიხედვით, ცეცხლის შენთების მეორე დღეს საკირის გუმბათზე ალი გამოჩნდებოდა, იღებდნენ სასინჯს და წყალში ჩააგდებდნენ. თუ დაიშლებოდა, კირი გამომწვარი იყო და ცეცხლს აქრობდნენ. მესტიელთა გადმოცემით, როდესაც საკირის თავზე დასობილი ხის ჯვარი დაიწვებოდა, კირი უკვე გამომწვარი იყო. ამის შემდეგ, საკირის ორივე ხვრელს ფიქალის ქვით ხურავდნენ, რომ ჰაერს აღარ ემოძრავა. ასევე გადახურავდნენ გუმბათსაც და კირი ბუნებრივად, ნელ-ნელა ცივდებოდა, რასაც 4—5 დღე სჭირდებოდა. კირი კარგად გამომწვარად მიაჩნდათ, თუ საკირის გუმბათი თავისით ჩამოწვებოდა.

კირის გაცივების შემდეგ საკირის თავზე ხის ფარდულს აგებდნენ და ყავრით ხურავდნენ. სხვა შემთხვევაში მას მშრალ, გადახურულ, ქარისაგან დაცულ ადგილას ინახავდნენ.

კირის გამოწვამდე სახლის საძირკველი უკვე გათხრილი უნდა ყოფილიყო, რადგანაც, რაც მეტ ხანს ინახებოდა იგი, მით უფრო კარგავდა შემკრავ თვისებებს.

გაცივების შემდეგ კირს წყლის გარკვეულ რაოდენობას ასხამდნენ და შლიდნენ მას.

კირის ხსნარის შემკრავუნარიანობის გამოსაცდელად აკეთებდნენ ერთ მოცულობა კირისა და სამ მოცულობა ქვიშის ხსნარს. იღებდნენ ფიქალის ქვას, დაასხამდნენ მასზე კირის დულაბს და ზემოდან მეორე ქვას ადებდნენ. ამგვარად აწყობდნენ ერთმანეთზე ოთხ-ხუთ ქვას. ზედა ქვას ხელის ჩასაჭიდს უკეთებდნენ. დულაბის გაშრობის შემდეგ ქვიშის წყობას სახელურით ასწევდნენ ზევით და თუ ქვები არ დაიშლებოდა, ხსნარი ნორმალურად მიაჩნდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხსნარში ზრდიდნენ კირის რაოდენობას.

კირსა და ქვიშას სპეციალურ გობში ურევდნენ თოხისა და ნიჩბის საშუალებით. ქვიშისა და კირის ნარევი, კედლების გარე და შიგა გარსის ამოსაყვანად, სქელი უნდა ყოფილიყო. მათ შორის დარჩენილ სივრცეს ღორღით ავსებდნენ, რომელსაც კირისა და სილის თხელ ხსნარს (მასში წყლისა და კირის რაოდენობა ბევრია, განსაკუთრებით წყლისა) ასხამდნენ, რასაც სვანურად გირწყალ—კირწყალი ეწოდება.

ხსნარში კირი კარგად უნდა ყოფილიყო გახსნილი, რადგანაც გაუხსნელ კირს კედლის გამონგრევა შეუძლია.

გადმოცემები მოგვითხრობენ, რომ კირში ქვიშასთან ერთად ჭვავის ფქვილსაც ურევდნენ. ლატალში ჩაწერილი მასა-

ლით კოშკების ფასადებს, რომლებიც კირისა და ჭვავის ფქვილის ნარევი ხსნარითაა შელესილი, ფრინველები ეტანებიან და კენკავენო.

ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობის შესახებ არსებული გადმოცემები მოგვითხრობენ, რომ კედლის წყობის შემკვრელ ხსნარს მოხარშულ ბრინჯს უმატებდნენ. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ის ხსნარს დიდ პლასტიკურობას ანიჭებდა. ასევე შეიძლება ითქვას ჭვავის ფქვილის შესახებაც.

ხე-ტყის საშენი მასალა სვანეთში ყველაზე ბოლოს მზადდებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ხე დიდხანს ვერ უძლებდა კლიმატური პირობების მავნე გავლენას.

ზემო სვანეთის სოფლები უშგულის გამოკლებით ტყის მასივებით მდიდარია. ამდენად ხის მასალის მოპოვება აქ შედარებით იოლი საქმე იყო.

უშგული ალპიურ ზონაში მდებარეობს და ტყის მასივებს მოკლებულია. უშგულელებს ხის მასალის შემოტანა 18 კმ მანძილით დაშორებულ ცანის ხეობიდან უხდებოდათ. თუ გავითვალისწინებთ მანძილს, ძნელ გზას, დიდ აღმართებს და ტრანსპორტირების არასრულყოფილ საშუალებებს, ნათელი გახდება, თუ რა ძნელი და შრომატევადი სამუშაო უნდა ყოფილიყო უშგულის მცხოვრებლებისათვის ხის მასალის მოპოვება. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ადრეულ ნაგებობებში ხის მასალის ეკონომიისათვის სართულშუა გადახურვები ქვით კეთდებოდა ხის გამოუყენებლად.

ხის მასალის მოჭრა ძირითადად გვიან შემოდგომით ან ზამთარში ხდებოდა, რადგანაც ამ დროს ხეს ნაკლები წვენი აქვს და უფრო მაგარია. ხის მოჭრისას განსაკუთრებულ ყურა-

ლებას აქცევდნენ მთვარის ფაზას. ყველაზე საუკეთესო დროდ ამ საქმისათვის მზარდი მთვარე მიაჩნდათ.

სამშენებლო ხის მასალას წინასწარ შეარჩევდნენ ტყეში და მას ნიშანს უკეთებდნენ ძირთან, საიდანაც წვენი გადმოედინებოდა. დანიშნულ ხეებს მოჭრიდნენ, ქერქს გააცლიდნენ, ტოტებს და წვერს შემოაჭრიდნენ. შემდეგ გრილ ადგილას ახმობდნენ. რომ ბზარები არ გასჩენოდა. გახმობის შემდეგ დაჭრიდნენ საჭირო ზომაზე, ისე, რომ ერთი ბოლო მომრგვალებული ყოფილიყო, რაც ხარებს გადატანას უადვილებდა. მომრგვალებულ ბოლოს ნაჯახით ხვრელს უკეთებდნენ, რომელშიც თოკს გაუყრიდნენ და ამ უკანასკნელს კი კავის საშუალებით უღელზე ამაგრებდნენ ჭაპანით (ჭაპანი ხარის ტყავისაგან კეთდებოდა).

მშენებლობისას ამჯობინებდნენ, ხის მასალა მზიან მხარეს მოეჭრათ, რადგანაც ჩრდილოვანი მხარის ხეები ნესტიანი და დიდი ძარღვების მქონეა, ხოლო მოჭრისა და გახმობის შემდეგ ძარღვები ცარიელდება და დიდი ფორები რჩება. სინესტის გავლენით ხე მალე ზიანდება და გამოდის მწყობრიდან. რაც შეეხება მზიანი მხარის ხეს, ნაკლებ ნესტიანი და უფრო მკვრივია.

ხის მასალის შემოზიდვას ნადი აწარმოებდა. ზოგჯერ ხის მასალა სოფელთან ახლოს მთის ფერდობზე მოიპოვებოდა და მას პირდაპირ სამშენებლო მოედნამდე ჩამოყრიდნენ ხოლმე. სხვა შემთხვევაში დირეებს ხარებით ეზიდებოდნენ. დიდი ზომის დირეს ორ-სამ უღელ ხარს უბამდნენ. ორი უღელი ხარი წინიდან იყო შებმული, მესამე კი უკანიდან. ნამიანზე ხის ზიდვას ერიდებოდნენ, ხე ფუჭდებაო.

დირეებს ნადი შემოზიდავდა სამშენებლო მოედანზე. ნივნივები, ლარტყები და სხვა მასალა ოჯახს შემოჰქონდა.

საყავრე მასალად ნაძვი და სოჭი გამოიყენებოდა. ნაძვი შედარებით ძნელი საპოვნელი იყო და ამიტომაც ძირითადად სოჭისაგან ხდიდნენ ყავარს. მორი, რაც უფრო თეთრი იყო, მით უკეთესად მიაჩნდათ.

ჯერ ირჩევდნენ საყავრე ხეს. ამისათვის ტყეში გამოცდილი მამაკაცი მიდიოდა და ხეს ძირთან გრძელ, დიდი ზომის ნაფოტს ჩამოათლიდა და მისგან ხდიდა პატარა ზომის ყავარს. ამ პროცესს სინჯის აღება ეწოდებოდა. სვანური ანდაზისა არ იყოს „რაც ნაფოტია, ხეც ის არისო“, თუ ნაფოტი სწორად იპობოდა, არ იღრიცებოდა და ამასთანავე სუფთაც იყო, მაშინ ხე გამოსადეგად ითვლებოდა.

ერთი სვანური სახლის სახურავისათვის საკმარისი იყო ორი-სამი მორისაგან გამოხდილი ყავარი. ამორჩეულ მორებს მოჭრიდნენ, კანს გააცლიდნენ და ყავრის სიგრძის ზომაზე დაჭრიდნენ. მერე ან სოფელში ჩაჰქონდათ, ან ადგილზევე ხდიდნენ ყავრად. ყავრის გამოხდას გაზაფხულზე ამჯობინებდნენ, რადგანაც მიაჩნდათ რომ ამ დროს ხე ჯერ კიდევ ნედლია და უფრო ადვილად იპობა. ძველად ყავრის გამოსახდელად ნაჯახსა და ხის ურუს ხმარობდნენ. მოგვიანებით ყავრის გამოხდა სპეციალური დანის საშუალებით ხდებოდა.

სვანური ყავრის სიგრძე ხუთიოდე მტკაველს უდრიდა, სიგანე მტკაველზე მეტი იყო. სვანები სქელ ყავარს ამჯობინებდნენ, რადგანაც ხანგრძლივი და უხვთოვლიანი ზამთრის პირობებში სახურავებს ხშირად სჭირდებოდა გადმოთოვლა და ყა-

ვარს უნდა გაეძლო როგორც თოვლის დაწოლისათვის, ისე გადმომთოვლის წონისათვის.

სამოსახლოსათვის ადგილის შერჩევისა და სამშენებლო მასალის მოპოვება-დამზადების შემდეგ ოჯახი ურიგდებოდა მშენებელ ოსტატებს და ადრე გაზაფხულზე იწყებოდა მშენებლობა.

კალატოზები ნაბიჯით ან გაშლილი მკლავების სიგრძის ტოლი საზომი ერთეულით მოზომავდნენ ადგილს და წაწვეტებული ჯოხით მოხაზავდნენ მომავალი ნაგებობის კონტურებს.

საძირკვლის გათხრის წინ ოჯახის უფროსი მაღალ ღმერთს და მშენებლობის მეუფეს, სოლამს ხარს შესწირავდა. ღვიძლი და შესაწირი ბეჭი საყდარში შეჰქონდა, ხორაგზე სანთლებს მიამაგრებდა და ღმერთს ძალ-ღონეს, ოჯახის კეთილდღეობას, გამრავლებას და საძირკვლის სიმტკიცეს შესთხოვდა.

საძირკვლის ჭრას ახალ, მზარდ მთვარეზე ამჯობინებდნენ. საძირკველი ორი სახისა იცოდნენ: ზოლოვანი და წერტილოვანი. ეს უკანასკნელი კეთდებოდა კოშკებისათვის.

საძირკველის სიღრმე დამოკიდებული იყო ნაგებობის სიმაღლეზე და ყამირის სიმტკიცეზე. საძირკველი ჩვეულებრივ მყარ ყამირამდე უნდა დაეყვანათ. თუ ყამირი კლდოვანი იყო, მაშინ ატმოსფერული მოვლენების გავლენით გაფუჭებულ ზედაპირს მოაცილებდნენ მას და ამაზე იწყებდნენ საძირკვლის ამოყვანას.

საძირკვლის გათხრის შემდეგ დიასახლისი და ოჯახის სხვა ქალები ფარულად აცხობდნენ სალოცავ პურებს. შემდეგ ქვესკნელის ღვთაებასა და სოლამს შესთხოვდნენ, რომ ეს ადგილი ბედნიერი გაეხადა და მშენებლობაც მშვიდობიანად დაესრულებინა.

აღმოსავლეთის მხარის მარჯვენა კუთხესთან საძირკვლის ქვეშ ვერცხლის ფულს დებდნენ, რაც ოჯახის ეკონომიური წინსვლის საწინდარად მიაჩნდათ. საძირკველში ქვის მშრალი წყობა ამოჰყავდათ მიწის დონემდე და მასში საგანგებოდ გამზადებულ თხელ კირწყლის ნარევს ასხამდნენ. ამ სამუშაოს შესრულებას ოჯახის წევრები უცხოებს არ ანდობდნენ იმის შიშით, რომ ამ უკანასკნელთ ბოროტი განზრახვით რაიმე შელოცვა ან ჯადო არ „ჩაეყოლებინათ“ საძირკველში.

საძირკვლის წყობისათვის დიდი ზომის ფლეთილი და სიპი ქვა გამოიყენებოდა. ფიქალს არ ხმარობდნენ, რადგანაც სინოტივესა და დიდ დატვირთვებს ვერ უძლებდა. საძირკველში კირწყლის ნარევის საჭირო რაოდენობის ჩასხმის შემდეგ ზედაპირს მოასწორებდნენ და წყობას „ასვენებდნენ“, სანამ კირწყალი რამდენადმე არ გამაგრდებოდა.

საძირკვლის დამთავრების შემდეგ იწყებდნენ კედლის ამოყვანას. ერთ კალატოზს კედლის გარე გარსი ამოჰყავდა, მეორეს კი შიგა.

კედლის წყობის ამოყვანისას მისი საკუთარი წონის შესამცირებლად, სიმაღლის ზრდასთან ერთად მის სიგანესაც ამცირებდნენ თანდათანობით. ზოგ შემთხვევაში საძირკველთან 2 მ. სიგანის მქონე კედელი გადახურვასთან 0,50 მ-მდეა დაყვანილი. შიგა პროფილზე კედლის სიგანე სართულების რაოდენობის მიხედვით საფეხურისებურადაა შემცირებული. კედლის სიგანის შიგა პროფილზე შემცირებით მშენებელი ნაგებობის ყოველი მომდევნო სართულის სათავსის ფართს ზრდის. კედლის სიგანეს გარე პროფილიდანაც ამცირებდნენ. გარე პროფილიდან კედლები თავისი სიმაღლის ერთ მესამედამდე სწორად ადიან შემდეგ კი შიგნით იხრებიან.

კალატოზებს დამხმარეები ჰყავდათ, რომლებიც სამშენებლო ქვას, ღორღსა და კირის ხსნარს უზიდავდნენ. თუ ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო, მაშინ დამხმარის როლს ოჯახის წევრები ასრულებდნენ. თუ არა და თანასოფლელებს იშველიებდნენ ქვასა და ღორღს ზიდავდნენ პატარა გოდრებით, რომლებსაც ზურგზე იკიდებდნენ ტყავის თასმებით. კირის ხსნარს მცირე ზომის გობებით ეზიდებოდნენ. მიზიდულ ქვებს კალატოზები ჩაქუჩებით ასწორებდნენ. სწორი, გლუვი ზედაპირით ქვას ფასადის მხარეს მოაქცევდნენ, რათა წვიმის წყალი დაუბრკოლებლივ ჩასრიალებულიყო დაბლა. უკვე დაწყებული კედლის ზედაპირზე ქაფჩით ხსნარს დაასხამდნენ და მასზე მოსწორებულ ქვას ადებდნენ.

კედლების ამოყვანისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნაგებობათა გარე კუთხეების წიბოების ამოყვანას. ამ საქმისათვის კალატოზები განსაკუთრებით სწორად გამოკვეთილ მოგრძო ქვებს ხმარობდნენ.

საძირკვლის კედლის დასრულებისთანავე მშენებლები, ოჯახის უფროსის სურვილის მიხედვით, კარის ზღურბლის ქვას დებდნენ წინასწარ დადგენილ ადგილზე და კედლის შენებისას კარის ზომის ღიობს ტოვებდნენ. ზღურბლისათვის მაგარ ქვას არჩევდნენ, ნაკლებ ცვეთადს.

კედელი შემდეგნაირად აჰყავდათ: ჯერ დიდი ზომის ლოდებს აწყობდნენ, შემდეგ მათ ზემოდან შედარებით მცირე ზომის ქვებით მოასწორებდნენ. ამ გზით მიღებული ერთი რიგის სიმაღლე 5—6 მტკაველს უდრიდა. ამ რიგის დამთავრების შემდეგ სამხრეთის კედელში კიდევ ერთი კარის ღიობს ტოვებდნენ. ეს კარი მარცვლეულის გასაშრობ-გასახმობ დერეფანზე გადიოდა. კედლის წყობის პირველ რიგზე იმავე თან-

მიმდევრობით მეორე რიგი ამოჰყავდათ. მისი დამთავრების შემდეგ ორი ან რამდენიმე ვიწრო სარკმლის ღიობის დატოკებას იწყებდნენ მომდევნო რიგის კედლის წყობაში. მესამე რიგის დამთავრებისას კარის და სარკმლების ღიობების თავზე ბალავერის ქვის ბლოკებს გადებდნენ და სახლის პირველი სართული დამთავრებულად ითვლებოდა. ზღურბლის ქვა სიბრტყით იდებოდა, ხოლო კარის ბალავერი გვერდულად ისე დგებოდა, რომ მისი შრეების სიბრტყეები ვერტიკალურად რჩებოდა განლაგებული.

სვანურ ნაგებობებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული კარისა და სარკმლის ღიობების გამოყვანას. კარის ღიობის ქვეშ ზღურბლის ქვა იდო. გვერდით კედლებზე მასიური ნაოთხალები იყო დატოვებული. კარის ზღურბლსა და ბალავერის ქვაში დატოვებულ ხვერელებში ისმებოდა კარის ხის ფრთები ქუსლებით. ხის მასიური ურდული კარს საიმედოდ კეტავდა. სარკმელსაც ხის დარაბას უკეთებდნენ და მასაც ურდულით კეტავდნენ.

ყოველი რიგის დამთავრების შემდეგ კედლის წყობაში ხის ძელებს ათავსებდნენ, რომლებზეც ხარაჩოებს აწყობდნენ. ხარაჩოებზე აჰქონდათ სამშენებლო მასალა და იქიდან გრძელდებოდა შენება. გადმოცემები მოგვითხრობენ, რომ ძველად დიდი კოშკების მშენებლობისას ხარაჩოებს ისეთი ზომისას აკეთებდნენ, რომ სამშენებლო მასალა მასზე ცალუღელა ხარით აჰქონდათ.

პირველი სართულის ამოყვანის შემდეგ საჭირო იყო სართულშუა გადასახური დირეების გადება. ამ ოპერაციის შესრულებას მუშახელის დიდი რაოდენობა ესაჭროებოდა და ოჯახიც დამხმარეებს იწვევდა.



ხის საკიდი კავი, რომელიც ჭერში მაგრდება

ჯერ ერთ ან რამდენიმე სასვენ დირეს გადებდნენ. მათ ასვენი იმიტომ ეწოდებოდა, რომ მზიდი დირეები სტატიკურ

და დინამიკურ დატვირთვას სასვენს გადასცემდა, ხოლო ეს უკანასკნელი კი მზიდ დირეს დატვირთვას უმსუბუქებდა. სასვენი დირეები ორ კედელს შორის იდება. დარჩენილ ორ კედელს შორის მზიდ დირეებს ისე გასდებდნენ, რომ მათი ტანი სასვენ დირეებსაც ეყრდნობოდა. ამრიგად, სასვენი და მზიდი დირეების კონსტრუქციული სისტემა ისეა გადაწყვეტილი, რომ დატვირთვები ნაგებობის ოთხსავე კედლებზე თანაბრადაა განაწილებული. თუ მალი დიდია, მაშინ სასვენ დირეს სვეტს უყენებდნენ იატაკიდან. ზოგჯერ სვეტისათვის მოჭრილ ხეს ტოტებს ისე შეაჭრიდნენ რომ ისინი საკიდად გამოეყენებინათ, შემდეგ კი ქვის ბაზისზე დადგამდნენ, რომ მას დატვირთვა ყამირისათვის თანაბრად გადაეცა და ამასთან სვეტი სინესტეს არ დაეზიანებინა. დირეების გადების შემდეგ ოჯახი საგანგებოდ უმასპინძლდებოდა დამხმარეებს. მეორე დღეს პირველი სართულის სათავსის თავზე ჭერს აგებდნენ. დირეებზე ერთმანეთთან მიჯრით წვრილ ძელებს გადებდნენ, მათ შორის ღრიჭოებს გვიმრითა და ხავსით ავსებდნენ. შემდეგ ზემოდან თიხოვან ყამირს აყრიდნენ და ტკეპნიდნენ. პირველი სართულის კარგად მოშანდაკებულ ზედაპირსაც გასუფთავებულ თიხას აყრიდნენ, ზედ საჭირო რაოდენობის წყალს ასხამდნენ და საქონელს აზელინებდნენ. ამის მერე მას ხის ნიჩბებით ასწორებდნენ. ორ-სამ დღეში თიხა გამოშრებოდა და იატაკიც მზად იყო.

ჭერში უამრავ ხის საკიდ კავებს ამაგრებდნენ, ხოლო დამთავრების შემდეგ მეორე სართულის კედლები აჰყავდათ იმავე თანმიმდევრობით. აქაც კარისა და სარკმლების ღიობებს ტოვებდნენ. კარი განიერი კეთდებოდა. კარიდან გზამდე ხის ბო-

ბირს გასდებდნენ, რომლითაც ხარებს სათავსში თივით დატ-ვირთული მარხილი უნდა შეეთრიათ.

მეორე სართულის სათავსი ჩვეულებრივ პირველისაზე ოდნავ დაბალი კეთდებოდა. ამ სართულზე კედლის წყობა ორ-ნახევარ რიგს შეიცავდა. სახლი ორქანობიანი სახურავით იხურებოდა, ამიტომ ორ მოპირდაპირე კედელს ფრონტონებით ამთავრებდნენ. გადასახური დირეების გასადებად კვლავ თანასოფლელი მამაკაცები გროვდებოდნენ. ფრონტონების წვერებზე თავდირეს გასდებდნენ, შემდეგ იქით-აქეთა გვერდებზე ორ-ორ ან სამ-სამ დირეს გასდებდნენ, თითოსაც ფრონტონების კიდეებთან და მყარად ამაგრებდნენ კედლის წყობაში.

მეორე დღეს ნივნივებსა და ლარტყებს აწყობდნენ და ამაგრებდნენ დირეებზე და შემდეგ კი ხურავდნენ ყავრით. ადრე ყავარს ლარტყებზე ქვით ამაგრებდნენ. წარსულში სახლები ძირითადად ფიქალის ქვის ფილებით იხურებოდა, რადგანაც ყავარი ადვილად აალებადი მასალაა და გამუდმებული შუღლის პირობებში მტერს ადვილად შეეძლო მისი გადაბუგვა.

გადახურვისას ფიქალის ქვის ფილები ან ყავარი კედლებიდან კონსოლისებურად იყო გადმოშვერილი 30—35 სმ. მანძილით. გადახურვის ქვედა ბოლოებთან ხის ღარები მაგრდებოდა, რომლებსაც სახურავიდან ჩამოდენილი წყალი ნაგებობიდან მოცილებით გაჰქონდათ.

სახლის კედლებში ინტერიერის მხარეს მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ზომის ნიშები იყო დატოვებული. ნიშები საოჯახო ნივთების შესანახად გამოიყენებოდა. კედლებში ფიქალის ქვის ნაშვერებსაც ტოვებდნენ, რომლებზეც ანთებულ კვარს ჩამოდებდნენ საჭიროების დროს. კართან კედელში ხარის რქა მაგრდებოდა, უღლის ჩამოსაკიდებლად.

გადახურვის შემდეგ სახლის შენება დამთავრებულად ითვლებოდა. საფასური კალატოზებს წინასწარ ჰქონდათ მიღებული, და თუ ოჯახს ვალი ჰქონდა დარჩენილი, მას დამთავრებისთანავე უხდიდა. სახლის აგების დამთავრება პეტრე-პავლობის დღესასწაულამდე უნდა მოესწროთ, რადგანაც ამის მერე თიბვა იწყებოდა და მშენებლობისათვის აღარავის ეცალა.

საზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოების დამთავრებისა და მოსავლის დაბინავების შემდეგ მშენებარე ოჯახი მოიმარაგებდა არაყს, საკლავსა და პურს. მოიწვევდა მთელ სოფელს, კალატოზებს და სახლის დამთავრებას აღნიშნავდა. თუ ოჯახი შეძლებული იყო, მაშინ ეს ლხინი უშუალოდ სახლის გადახურვის შემდეგ ტარდებოდა. ამ ღამეს, შუა ლხინისას, კალატოზებს მრგვალ მაგიდას უდგამდნენ წინ, მასზე სალოცავი პურები ეწყო და ზედ სანთლები ენთო. კალატოზები ფეხზე დგებოდნენ, ერთი იღებდა მაგიდას ხელში, სხვები კი უკან მიჰყვებოდნენ. წინა ამბობდა: „მადლიანო სოლამ! ბედნიერყავ ეს სახლი. რამდენი ქვაც ჩვენ დავაწყვეთ ერთმანეთზე, რამდენი კირის ნამცეცი ან რამდენი ქვიშის მარცვალიცაა გამოყენებული ამ სახლის მშენებლობისას, იმდენი სიკეთე მიეცი, მადლიანო სოლამ, ამ ოჯახსა და ჩვენს მიერ აგებულ სახლს; შენს ნაშენად მიიჩნიე, სოლამ, სიმდიდრე მიანიჭე, საქონელი და ადამიანი ამრავლე ამ ოჯახში!“ ასე ლოცვით შემოივლიდნენ სახლს, შემდეგ კვლავ ჯდებოდნენ და ლხინს აგრძელებდნენ. ამის მერე ოჯახის უფროსი ასაჩუქრებდა კალატოზებს წინასწარგარიგებული საფასურის გარდა. კალატოზების კარგად გაშვებას ყველა ცდილობდა, ეშინოდათ დაწყევლისა.

კარგ კალატოზს დიდ პატივს სცემდნენ, რაც ხალხურ ზე-

ასეთ ანაბეჭდებს ტოვებდნენ მშენებლები ნაგებობებზე

პირსიტყვიერებაშიც კი აისახა: „სახლის მშენებელმა კარები უკითხავად გააღოსო“.

მეორე წელს კალატოზები შელესავდნენ და შეათეთრებდნენ სახლის კედლებს. ჯერ კიდევ მაშინ როდესაც ბათქაში რბილი იყო, მშენებლები თავიანთ ნიშანს ადებდნენ კარის თავზე ან სადმე გამოსაჩენ ადგილას. ზოგან ეს ნიშანი წარმოდგენილი იყო წრეში ჩასმული ჯვრითა და მის გვერდებზე ხელის მტევნების ანაბეჭდით, სხვა ადგილზე კი მხოლოდ ხელის მტევნების ანაბეჭდით. მას შემდეგ, რაც კალატოზები ამ პროცედურას დაამთავრებდნენ, ოჯახის უფროსი მათ საჩუქარს აძლევდა.

სახლის აშენებლობის დამთავრების შემდეგ საჭირო იყო პირველი სართულის სათავსის კეთილმოწყობა. აქ ძირითადად სადურგლო სამუშაოები იყო ჩასატარებელი და ოჯახის უფროსს ხის კარგი ხელოსნები მოჰყავდა.

სახლის პირველი სართულის სათავსის ორი კედლის, ჩვეულებრივ ჩრდილოეთისა და დასავლეთის, გასწვრივ ცალ-ცალკე აკეთებენ ხარებისა და ძროხების სადგომებს. მათი სადგომი ადამიანთა სადგომისაგან ხის მაღალი ტიხარით იყო გაყოფილი. ტიხარის ქვედა ნაწილში საქონლის თავის გამოსაყოფი თვლები იყო დატოვებული. იგი მრავალრიცხოვანი გეომეტრიული ფიგურებით იყო მორთული. ეს ტიხარი სვანური საცხოვრებლის ორგანულ ნაწილს და განუყრელ კონსტრუქციულ ელემენტს წარმოადგენს. გამოთქმულია მოსაზრება (ვ. ბარდაველიძე), რომ კამარიანი ტიხარი გენეტიკურად უძველესი მატერიალური კულტურის მონაპოვარია, რომლის საშუალებითაც ცხოველთა მოთვინიერება და შესაძლოა მოშინაურებაც ხდებოდა. სავარაუდებელია, რომ კამაროვანი მოტივი მოგვიანებით სახლის ინტერიერიდან ექსტერიერშიც გადმოვიდა როგორც დეკორატიული ელემენტი (შდრ. შდურ-კამაროვანი პარაპეტი სახლებსა და კოშკებზე). თავდაცვით ნაგებობებში გარკვეული პერიოდიდან ამ ელემენტმა ერთმანეთს შეუთავსა ესთეტიკური და თავდაცვითი ფუნქციები.

საქონლის სადგომს სხვენი უკეთდებოდა, რომელსაც სხვადასხვა ნივთების საწყობად იყენებდნენ. ზოგჯერ საძროხის თავზე ზამთრობით წვრილფეხა საქონელი აჰყავდათ.

მესამე კედლის გასწვრივ (მეტწილად სამხრეთის მხრიდან) ცხვრებისა და ხბოების სადგომს აკეთებდნენ. სხვენი მათაც უკეთდებოდა და საოჯახო ნივთების დასაწყობად გამო-

იყენებოდა. მათ გასწვრივ მარანს აწყობდნენ. მარანში ქვევრებით სასმელი ინახებოდა.

სადურგლო სამუშაოების შესრულების შემდეგ ადამიანთა სამყოფის ცენტრში კერას მართავდნენ. კერას გააჩნდა თავისი სხვენი, რომელიც ნაპერწკალს უშუალოდ ჭერში ასვლის საშუალებას არ აძლევდა და კერას იცავდა ჭერიდან ჩამოცვენილი მტვრისაგან. კერის სხვენი ჩვეულებრივ ფიქალის ქვის ფილებით იხურებოდა. გ. ნიჟარაძის საცხოვრებელ კოშკში დღემდე შემორჩენილი კერის სხვენად გამოყენებული ფიქალის ქვის ფილის სიგრძე 2.40 მ-ია, სიგანე—1,35 მ, ხოლო სისქე კი 4—5 სმ-ს აღწევს. სხვენიდან ჭაჯვი იყო დაკიდებული. ადამიანთა სამყოფში შემოჰქონდათ ახალი ავეჯი: საუფროსო სკამი, გრძელი ზურგიანი სკამი, დაბალი გრძელი სკამები, ტახტები, სხვადასხვა ფან-შნულებისა და ზომის კიდობნები, სკივრები და სხვა.

სახლის მშენებლობა და კეთილმოწყობა უკვე დამთავრებული იყო და ოჯახს შესახლებაღა დარჩენოდა. ამ მომენტისათვის ოჯახი კარგ მთვარეს არჩევდა, მოიწვევდნენ კალატოზებს, დურგლებს, ნათესავებს, თანასოფლელებს. დაკლავდნენ ოჯახის მფარველი ანგელოზის სახელზე შეწირულ ხარს, აცხობდნენ სალოცავ პურებს და სახლის მშენებლობის დასრულებას დიდი ლხინით აღნიშნავდნენ.

ნათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ სვანური სახლის შენებას დიდ დროსთან ერთად, დიდი ხარჯიც ახლდა. ზოგჯერ ოჯახი ხის სახლს აგებდა დროებით საცხოვრებლად, მაგრამ ზოგჯერ ეკონომიური პირობების გამო იძულებული ხდებოდა მასში დიდხანს ეცხოვრა. სვანური ანდაზა ამბობს: „ხის სახლი მოსახლის გაჭირვებისაო“.

კიდევ უფრო მეტი დრო და ხარჯი სჭირდებოდა კოშკების მშენებლობას და მისი აგებაც ყველას არ შეეძლო. კოშკს ორი სახისას აგებდნენ. პირველი მათგანის სათავსები უშუალოდ მიწის დონიდან იწყება. ასეთი კოშკების უმეტესობა 6—8 სართულიანებია, ხოლო მეორე სახის კოშკების ტანი კი 3—8 მ-მდე ყრუა. ასეთი კოშკების სართულიანობა იცვლება სამიდან ხუთამდე.

კოშკის ერთ-ერთი მხარის კედელში, მეტწილად სამხრეთით, კარისა და სარკმლების ღიობებს ტოვებდნენ. ისინი ერთმანეთის თავზე, ერთ ვერტიკალზე იყვნენ განლაგებული. კოშკის ყოველი სართულის გათავებისას სართულშუა გადახურვა კეთდებოდა, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა საცხოვრებელი სახლის სართულშუა გადახურვისაგან.

კოშკის სართულშუა გადახურვისათვის ეწყობოდა ხის შეფიცვრა. კოშკის ორ კედელს შორის დირეს გადებდნენ. მას ქვემოდან საკიდები ჰქონდა გაკეთებული. დირესა და კედლებს შორის გადებდნენ ნაჯახით გამოთლილ სქელ ფიცრებს კედლებისაკენ დაქანებულად, რომელთა ქვედა ბოლო კედელს ებჯინებოდა. ამის შემდეგ აჰყავდათ ქვის წყობა და მომდევნო სართულის იატაკის დონემდე ღორღითა და კირწყლის თხელი ხსნარით ავსებდნენ. ყოველი სართულის იატაკში ჩასასვლელებს ტოვებდნენ, რომელსაც ზემოდან ჩამკეტი ფიქალის ქვის ფილის ჩასადებ ჩარჩოს უკეთებდნენ.

კოშკს სვანეთში თაღოვანი საბრძოლო პარაპეტით აგვირგვინებდნენ, რომელსაც შდულს ან შდურს უწოდებდნენ. თაღებისათვის ნახევარწრიული ფორმის მისაცემად თხილის წკნელებისა და ხის კანის ან ტყავისაგან გაკეთებულ კალაპოტებს იყენებდნენ. თაღოვანი პარაპეტი კოშკის მზიდი კედ-

ლებიდან 20—45 სმ-ით იყო კონსოლისებურად გადმოცილებული.

კოშკიც ორქანობიანი სახურავით იხურებოდა. სახურავ მასალად გამოიყენებოდა ფიქალის ქვის ფილები ან ყავარი. კოშკის მშენებლობა დაახლოებით ათი ხარისა და ათი ძროხის საფასური ჯდებოდა. მის მშენებლობას სამ წელიწადს მაინც უნდებოდნენ. კოშკის აშენება ყველა ოჯახს არ შეეძლო რადგანაც ამისათვის საჭირო ეკონომიური საფუძველი არ გააჩნდა.

თუ ოჯახი შეძლებული იყო (სახლიცა და კოშკიც ჰქონდა) საზაფხულო სადგომსაც იშენებდა. საზაფხულო სადგომი ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენდა და სახლივით იგებოდა, თუმცა ზომებით მასზე ბევრად მცირე იყო, ამდენად მის აგებას შედარებით ნაკლები სამშენებლო მასალა სჭირდებოდა.

თუ ოჯახს ეკონომიური შესაძლებლობანი და წოდებრივი უპირატესობანი ხელს უწყობდა, ის სამოსახლოს გალავნის მაღალ კედლებს შემოავლებდა. გალავნის აგებას დიდი რაოდენობის კირი, ქვა და ქვიშა სჭირდებოდა. საჭირო იყო მისი მოპოვება, დამზადება და შემოზიდვა სამშენებლო მოედანზე, რის შემდეგაც ოჯახის უფროსი შემოხაზავდა საკარმიდამო ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელზეც საცხოვრებელი სახლი, კოშკი და სხვა დამხმარე ნაგებობანი იდგა. მას უმატებდა დანარჩენი საქმიანობისათვის საჭირო ადგილს (კალო, სამეურნეო ეზო და სხვა) და იწყებდა. საძირკვლის გაჭრას გალავნის კედლებისათვის. გალავნის კედელი ჩვეულებრივ 3,50—5 მ სიმაღლისა შენდებოდა. გალავნის კედლებში ალაყაფისა და სამეურნეო დანიშნულების ორ ან სამ კარს ტოვებდნენ. ალაყაფის კართან ჩვეულებრივ ცხენის ან საქონლის თავის ქალას

დაამაგრებდნენ, ან კარზე ნალს მიაჭედებდნენ. სვანის წარმოდგენით მათ უნდა განეწმინდათ გარედან შიგნით შემავალი მტრული ან უწმინდური ძალები. იმავე მიზნით, ზოგან, სახლში შესასვლელი კარის თავზე წრეში ჩასმული ჯვარია ამოტვიფრული.

სასმელი და სამეურნეო წყალი უშუალოდ გალავნის შიგნით შეჰყავდათ. ზოგჯერ წყალი 500—1.500 მ-ის დაშორებით მდებარე წყაროდან შეჰყავდათ სამოსახლომდე თიხის მილებით, რომელთა დიამეტრები იცვლებიან 5—15 სმ-ის ფარგლებში. თიხის მილები მიწაში იყო ჩაყრილი 0,80—1,50 მ-ის სიღრმეზე. თიხის მილის ირგვლივ მიწაში ღორღისა და კირწყლის ნარევი ისხმებოდა.

თუ სასმელი წყლის მიყვანა გალავნამდე არ ხერხდებოდა, წყლამდე გვირაბები გაჰყავდათ. გვირაბის კედლები ქვის წყობით ამოჰყავდათ კირის ხსნარზე და ქვისავე წყობით ხურავდნენ. გვირაბის ხემოდან 0,50 — 1,50 მ. სიმაღლის მიწის საფარი იდო.

გალავნის კედლებს ფიქალის ქვის ფართო ფილებით აგვირგვინებდნენ, რომ წვიმას არ დაეზიანებინა. თავდაცვის მიზნებისათვის კედლებში მრავალრიცხოვან საისრე ხვრელებს ტოვებდნენ.

გალავნით შემოზღუდული ტერიტორიის ფართი ზოგჯერ 2.000 m^2 აღემატებოდა. გალავნის სიმაღლე და შემოზღუდული ტერიტორიის სიდიდე ოჯახის სიმდიდრის მაჩვენებელი იყო.

საცხოვრებელი კომპლექსების სახეობები
საცხოვრებელი კოშკი

სვანურ ხალხურ ხუროთმოძღვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ნაგებობათა ჯგუფს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ციხე-სახლის, „გუბანდ"-ისა ან „სვანირ"-ის სახელებითაა ცნობილი (ალ. რობაქიძე, ს. მაკალათია, მ. ჩართოლანი).

ამ რიგის ნაგებობებს ზემო სვანეთში „ლაზგა მურყვამს-უწოდებენ. „ლა-ზგ-ა-ს" ქართულად შეესატყვისება „საცხოვრებელი". ამ ტერმინს ნ. მარი უკავშირებს ლურსმულ დამწერლობაში მოხსენებულ asi-ს — სახლი[1].

კოშკის სვანური სახელი არის მურყვამ. კოშკი სპარსული წარმომავლობის ტერმინია. ივ. ჯავახიშვილის აზრით საქართველოს ტერიტორიაზე კოშკზე ადრე კოშკის ტიპის თავდაცვითი ნაგებობის სახელწოდება მურყვამი ყოფილა[2]. ტერმინის მურყვამ დიდხნოვანებაზე უნდა მიუთითებდეს სვანური წარმართული დღესასწაული მურყვამობ-ა, რომელიც გვიანობამდე შემორჩენილა სვანეთში.

ამრიგად, „ლაზგა მურყვამის" ქართული სიტყვასიტყვითი თარგმანი საცხოვრებელი კოშკია. ეს სახელწოდება ზუსტად

---

[1] Н. Я. Марр, Из поездок в Сванетию (летом 1911 — 1912 г.г.) «Христианский Восток», т. II, вып. I, Спб., 1913, 23—30.

[2] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნაკ. 1., თბ., 1946, 44—45.

გამოხატავს ამ სახის ნაგებობის დანიშნულებას, რომელშიც თავდაცვითი, სამეურნეო და საცხოვრებელი ფუნქციების მატარებელი სათავსები ერთობლივადაა წარმოდგენილი და ვერტიკალურ ჭრილშია განლაგებული.

დღემდეა შემორჩენილი, სვანური საცხოვრებელი კოშკების ქვითკირისაგან ნაგები სამ-ოთხ სართულიანი მონუმენტური ნაგებობები.

საცხოვრებელი კოშკის პირველი სართულის სათავსი (ქვინგმგენემ ლარდა=საქონლის სადგომი, ან მაჩვიბ=ქვევითა) საქონლის სადგომად იყო განკუთვნილი. სათავსს იატაკად კარგად მოშანდაკებულ ყამირზე დალაგებული ქვის ფილები გამოიყენებოდა. სათავსის სამი კედლის გასწვრივ საქონლის სადგომი კეთდებოდა. მისი იატაკი ნაჯახით გამოთლილი ხის ფიცრებისა იყო. სადგომის ხის ტიხრებში საქონლის შესასვლელი კარი და საქონლის თავის გამოსაყოფი თვლები იყო დატოვებული. თვლების წინ საქონლის საკვების ჩასაყრელი ბაგა იყო მოწყობილი. საქონლის სადგომში ხარები ცალკე ება და ძროხები ცალკე. მის თავზე სხვენი კეთდებოდა, რომელსაც საოჯახო სამეურნეო ნივთების დასაწყობად ან წვრილფეხა საქონლის გამოსაზამთრებლად იყენებდნენ.

საცხოვრებელ კოშკებში პირველი სართულის სათავსის ფართი 37—64 მ²-ს აღწევდა.

მეორე სართულის სათავსი (ამსვალდაშ ლარდა=ადამიანთა სამყოფი, ან ნენსგაშ დარბაზ=შუა დარბაზი) საცხოვრებლად გამოიყენებოდა. სათავსის იატაკს მოტკეპნილი თიხოვანი ყამირი წარმოადგენდა. ამ სათავსში იყო გამართული კერა. აქვე იდგა სხვადასხვა დანიშნულების რამდენიმე სკივრი და კიდობანი. სათავსის ფართი რამდენადმე იზრდებოდა წინა



გ. ნიჟარაძის საცხოვრებელი კოშკი

სართულის სათავსთან შედარებით, კედლების სიგანის შემცირების ხარჯზე.

პირველ-მეორე სართულის სათავსებს შორის კავშირი ხის კიბით ხორციელდებოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა გ. ნიჟარაძის საცხოვრებელი კოშკი, რომელშიც მეორე სართულზე

ასავლელად ქვის კიბე იყო გაკეთებული. ხის კიბე ღამ-ღამობით ჩვეულებრივ ზევით აჰქონდათ და ასასვლელს ფიქალის ფილით ხურავდნენ, რომელსაც ზემოდან სიმძიმეებს ადებდნენ. სარქველს ორი დანიშნულება ჰქონდა: საცხოვრებელი სართულიდან ოჯახის რომელიმე წევრი რომ არ ჩავარდნილიყო დაბლა და საშიშროებისას მტერი რომ ვერ შემოჭრილიყო სათავსში.

კერის ირგვლივ, ოჯახის წევრთა დასაჯდომი ავეჯი იდგმებოდა. სამამაკაცოს თავში იდგა ოჯახის უფროსის (ქორწ მახვში) საჯდომი — საკურცხვილ, მის გვერდით ზურგიანი ფართო, გრძელი საჯდომი — ლერგიმ, რომელზედაც მამაკაცები სხდებოდნენ უფროს-უმცროსობის მიხედვით. საქალებო მხარეს კი დაბალი, გრძელი სკამი—ბანდწრ იდგმებოდა, რომელზედაც ქალები იგივე წესის დაცვით სხდებოდნენ. კერა, კერის ცალკეული ელემენტები და მის ირგვლივ ოჯახის წევრთა განაწილება სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის მიხედვით კარგადაა აღწერილი მ. ჩართოლანის ნაშრომში „ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან“.

სათავსის კედლების გასწვრივ საწოლად ტახტები იდგა.

ოთხსართულიან საცხოვრებელ კოშკებში მეორე სართულის სათავსი ზოგჯერ წვრილფეხა საქონელს ეთმობოდა. ასეთ შემთხვევაში ოჯახი მესამე სართულზე ცხოვრობდა. ოჯახის გაყოფის შემთხვევაში განაყარი შტო მეორე სართულს იკავებდა და იქ ახალ კერას მართავდა. ცეცხლი ძველი კერიდან ჩამოჰქონდათ. ორი ოჯახი ერთ სახურავქვეშ განაგრძობდა ცხოვრებას მანამდე, სანამ ფართი ამის საშუალებას იძლეოდა.

სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკებიდან გამოყოფილი ახალი ოჯახი ზოგჯერ პირველი სართულის სათავსის ნა-

წილს იკავებდა და იქ მართავდა ახალ კერას (საქონლისათვის სხვა სადგომს აგებდა).

საცხოვრებელი კოშკის ბოლო, ზედა სართული (ჟიბე დარბაზ — ზედა დარბაზი) თავდაცვის მიზნებს ემსახურებოდა. ეს სათავსი ოჯახის მამაკაცთა თავყრილობის ადგილს წარმოადგენდა. თავდაცვითი ოპერაციების საწარმოებლად ამ სართულზე წინასწარ იმარაგებდნენ ისრებსა და სხვადასხვა ზომის ქვებს, მოგვიანებით ტყვია-წამალს. აქვე ინახავდნენ საკვები პროდუქტის მარაგს, რომელიც აუცილებელი იყო ხანგრძლივი გარემოცვის პირობებში. ფქვილი და მარცვლეული კიდობნებში ინახებოდა, დამარილებული ხორცი დირეებზე დამაგრებულ კავებზე ეკიდა, სასმელი ქვევრებში ინახებოდა. კერა ამ სართულზეც ეწყობოდა. ახალბედა მონადირის მიერ პირველად მოკლული ჯიხვის აღსანიშნავი რელიგიური რიტუალი აქ ტარდებოდა. კერასთან მამაკაცები საქმიანობდნენ, აცხობდნენ სალოცავ პურებს, ხარშავდნენ ნანადირევის ხორცს. ამავე სართულზე ინახავდნენ ჯიხვის ძვლებსა და რქებს. ქალებს აკრძალული ჰქონდათ ამ სართულზე ასვლა. გ. ნიჟარაძის საცხოვრებელი კოშკის ბოლო სართულის იატაკის ნაწილზე დღემდეა შემორჩენილი ჯიხვისა და არჩვის ძვლების დიდი გროვა. მისი სიმაღლის ფენა 80 სმ-ს აღემატება. ამ სართულიდანვე აღავლენდა ოჯახის უფროსი მამაკაცი ჯედრებას უზენაესი თუ სხვა ღვთაებებისადმი.

ბოლო სართული ჩვეულებრივ საბრძოლო თაღებიანი პარაპეტითაა დაგვირგვინებული. უშუალოდ ნაგებობასთან ახლოს მოსულ მტერს თაღებქვეშა ღიობებიდან თავზე ლოდებს აყრიდნენ. შორ მანძილზე იმავე ღიობებიდან ისარს ესროდ-

ნენ. ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებაში შემოსვლის შემდეგ ამ სართულის კედლებზე სათოფური ხვრელები ჩნდება.

ზემო სვანეთში კარის შესანგრევად სპეციალური იარაღი, კიკბერ, გამოიყენებოდა. ის ხის მორს წარმოადგენდა, რომელსაც რამდენიმე ვაჟკაცი გააქანებდა და კარს ურტყამდა. ამ იარაღის საწინააღმდეგო ღონისძიებას უნდა წარმოადგენდეს საცხოვრებელ კოშკებში შესასვლელი კარის ძნელად მისადგომი მხარისაკენ დატოვება ან მისი მიწის დონიდან ზევით ატანა.

საცხოვრებელი კოშკის ფორმას განაპირობებს მისი დანიშნულება. ნაგებობის დიდი სიმაღლე განაპირობა საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი სათავსების განლაგებამ ვერტიკალურ ჭრილში. კედლების ოდნავი დახრილობა, საბრძოლო პარაპეტი, მისი თაღოვანი ქვედა ნაწილი, სათოფური ხვრელები ნაგებობებს თავისებურ განუმეორებელ ელფერს აძლევენ. ვიწრო, მაღალი კარი და სარკმლები, ორქანობიანი სახურავით შექმნილი ფრონტონები ნაგებობებს მკაცრ იერს აძლევენ. ქვის ზომების სხვადასხვაობა კედლებზე კონტრასტებს ქმნის. მცირე ზომის ქვა ხაზს უსვამს დიდის მასშტაბურობას. უსწორმასწორო ქვის გვერდით მკვეთრად ვლინდება გლუვი სიბრტყე. ყოველივე ეს ნაგებობას დიდ მხატვრულ გამომეტყველებას ანიჭებს, რასაც შუქჩრდილის თამაში კიდევ უფრო აძლიერებს.

საცხოვრებელი კოშკის ინტერიერი და ექსტერიერი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ამასთან ისინი ორგანულ კავშირში არიან ამ ფორმებში მოქცეულ სივრცესთან. საცხოვრებელი კოშკის არქიტექტურა ფსიქოლოგიურად ქმნის მისი უძლეველობის შთაბეჭდილებას. მისი ფორმები ნათლად წარმოგვიჩენენ, რომ ნაგებობა ადამიანის, მისი ქონების თავ-

შესაფარს წარმოადგენს და არავის მისცემს მისი ხელყოფის უფლებას.

საცხოვრებელი კოშკის მშენებელმა ნაგებობის იდეა და ფუნქციონალური დანიშნულება ბრწყინვალედ გადმოგვცა. როგორც მისი ცალკეული სათავსებისა და შემადგენელი ელემენტების შესრულებაში, ისე მის გარეგნულ ფორმებშიც.

საცხოვრებელი კოშკების გავრცელების არეალი ადრეულ პერიოდში მთელ სვანეთს მოიცავდა. დღესდღეობით მისი პირვანდელი სახე შემონახულია უშგულში და მთის რაჭის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ისტორიული წყაროების მიხედვით ადრე სვანეთის კუთვნილი ყოფილა.

მურყვამიანი სახლი

მურყვამიანი სახლი საცხოვრებელ კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული კოშკისა და საცხოვრებელი სახლისაგან შედგება. კომპლექსის შემადგენელ საცხოვრებელ სახლს ქორ ეწოდება, კოშკს კი მურყვამი. სახლი და კოშკი ჩვეულებრივ ერთმანეთზეა მიდგმული, ამასთან ზოგი მათგანი ერთდროულადაა აგებული, ზოგიც სხვადასხვა დროს.

სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ქორი განმარტებულია როგორც „სახლზედსახლი აგებული; ქორედ-ქორედი ოთხიხუთი სახლი სახლზედ აშენებული“. განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ქორი სართულებიანი სახლის აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა. სვანური საცხოვრებელი სახლი ჩვეულებრივ ორ-სამ სართულიან ნაგებობას წარმოადგენდა და შესა-

ძლოა მისი აღმნიშვნელი ტერმინით ქორ სვანურმა შემოგვინახა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ძველი ქართული სახელწოდება.

აღნიშნული რიგის საცხოვრებელი კომპლექსის შემადგენელი საცხოვრებელი სახლი ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენს. კოშკის სართულიანობა იცვლება სამიდან რვამდე. ორსართულიანი სახლი ერთმანეთთან ათავსებს საცხოვრებელ და სამეურნეო ფუნქციებს. მისი პირველი სართულის სათავსი (მაჩვიბ) ადამიანის სამყოფად და საქონლის სადგომად გამოიყენებოდა.

სვანური სახლის მაჩვიბის ფართი 90—140 მ² ფარგლებში იცვლება. მაჩვიბის 45—60მ² ფართი საქონლის სადგომს ეკავა, ხოლო დარჩენილ ფართს ადამიანი იყენებდა საცხოვრებლად.

სვანური საცხოვრებელი სახლის მეორე სართულს „მაჭიბ, ან დარბაზ ეწოდება. მისი ფართი 95—150მ² ფარგლებში იცვლება. მაჭიბი ზამთრობით საქონლის საკვების შესანახად გამოიყენებოდა, ხოლო ზაფხულობით ოჯახი ადიოდა საცხოვრებლად. როგორც წესი, კოშკში გასასვლელი დარბაზიდან იყო.

კოშკი, როგორც კომპლექსის შემადგენელი ნაწილი, უკანასკნელი თავშესაფარი იყო. თუ მტერი სახლის დაკავებას მოახერხებდა კოშკში, სადაც საბრძოლო იარაღისა და სურსათის მარაგი ინახებოდა, შეიძლებოდა ოჯახს ხანგრძლივი გარემოცვისათვისაც კი გაეძლო. კოშკის პირველ ან მეორე სართულებზე დიდი ზომის ქვევრები ყოფილა ჩაკირული, რომლებშიც სასმელ წყალს ინახავდნენ საალყო მდგომარეობაში ყოფნის დროისათვის. ჩვეულებრივ, კოშკის მეორე ან მესამე სართულზე კერა იყო მოწყობილი, რომელზეც გარემოცვის შემთხვევაში საკვები მზადდებოდა. კოშკის ბოლო სართული (შდურ ან სანგეჭვ—სიმაგრე) თავდაცვით მიზნებს

ემსახურებოდა. აქ იყო მოგროვილი საომარი საჭურველი. დიდი სიმაღლე დამცველებს კოშკის მიმდებარე ტერიტორიის დიდი ფართის კონტროლის გაწევის საშუალებას აძლევდა. დიდი სიმაღლიდან ჩამოგდებული ქვა ან ნასროლი ისარი მეტი ეფექტის მქონე იყო.

სვანური სოფლის ხედი ჩვეულებრივ მურყვამიანი კომპლექსების სილუეტით განისაზღვრება. რიგ შემთხვევებში ამ კომპლექსებისათვის დამახასიათებელია ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვითი ელემენტების შეხამება, ცალკეულ შემთხვევებში შეიმჩნევა ტენდენცია მურყვამიანი სახლის აგებისა, სოფლისაგან განცალკევებულ ადგილას. ამა თუ იმ გვარის რომელიმე შეძლებული წარმომადგენელი მურყვამიან სახლს იშენებდა მისთვის ხელსაყრელ ადგილზე და ცდილობდა სოფლელებისათვის გარკვეული ვალდებულებანი მოეხვია, რასაც ზოგ შემთხვევაში აღწევდა კიდეც.

ამის მაგალითები ბევრია ზემო სვანეთში. კალასა და იფარს შორის, მდინარე ენგურის ნაპირას, მთავარი საგზაო კომუნიკაციის გვერდით, ქურდიანების მურყვამიანი საცხოვრებელი კომპლექსი მდგარა. მისი კოშკი კონტროლს უწევდა გზას და ენგურზე გადებულ ხიდს. ქურდიანები გარკვეული საფასურის გადახდის გარეშე არავის უშვებდნენ იმ მხარეს. მათ თვითნებობას მოსახლეობა ისე შეუწუხებია, რომ ოჯახის წევრებმა ამოუწყვეტიათ, სახლ-კარი დაუქცევიათ, რომლისგანაც დღემდე მხოლოდ კოშკიღა შემორჩენილა. ანალოგიური გადმოცემა ჩავიწერეთ მესტიაშიც. მდინარეების მესტიაჭალასა და მულხურას შესართავთან (ახლანდელი ტურისტული ბანაკის წინ) ჯაფარიძეებს ედგათ მურყვამიანი სახლი. კომპლექსი სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილზე მდგარა და დასავლე-

თით მომიჯნავე სოფელთან ხიდით ყოფილა დაკავშირებული, ხიდითვე უკავშირდებოდა აღმოსავლეთით ტყის მასივს. ეს ოჯახი კონტროლს უწევდა ხიდებს და მესტიელებს საფასურის გადაუხდელად ტყით სარგებლობის უფლებას არ აძლევდა. ამის გამო მათ შეთქმულება მოუწყვიათ. ეს ოჯახი დიდიან-პატარიანად ამოუწყვეტიათ და სახლ-კარიც იმ მიზნით დაუქცევიათ, რომ სხვა ვინმეს არ აღძვროდა აქ დასახლების სურვილი. ამ კომპლექსისაგან დღემდე ნახევრად დანგრეული კოშკიღა შემორჩა.

სხვა შემთხვევაში რომელიმე ძლიერი ოჯახი სამოსახლოდ სოფლის მიმართ სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილს შეარჩევდა და ცდილობდა სოფლის მცხოვრებლებისათვის თავს გარკვეული ვალდებულებანი მოეხვია. ამის ნათელი მაგალითია იოსელიანებისა და ბარლიანების ნასახლარები სოფელ ლაღამში. ეს ორი ოჯახი სოფელზე გაბატონებასაც ცდილობდა და ერთმანეთსაც ებრძოდა პირველობისათვის. თავდაპირველად იოსელიანებს მოუპოვებიათ პრივილეგირებული მდგომარეობა, მაგრამ შემდეგ ბარლიანებს გამოუყენებიათ თანასოფლელნი თავიანთი მიზნების განსახორციელებლად და იოსელიანები ამოუწყვეტიათ, ხოლო მათ სახლ-კარსა და მიწებს თითონ დაპატრონებიან.

ანალოგიური მდგომარეობა ყოფილა ბალს ქვემო სვანეთშიც დადეშქელიანების გაბატონებამდე. პირველობისათვის ბრძოლა იმდენად სასტიკი იყო, რომ გაბატონებული ოჯახი სხვებს წყლით სარგებლობის უფლებასაც კი არ აძლევდა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მურყვამიან კომპლექსიდან მეტწილად საიდუმლო მიწისქვეშა გვირაბები გაჰყავდათ წყლამდე.

კოშკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს ტყვეების დასამწყვდევი საკანი (დილეგ, ლამტყვირ) წარმოადგენდა. მკვლევარებმა ალ. რობაქიძემ და რ. ხარაძემ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით აშკარა გახადეს, რომ დილეგი დაკავშირებული იყო დატყვევების პრაქტიკასთან. დატყვევების მიზეზები სხვადასხვა ყოფილა და ეს მიზეზები ასახავდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ მხარეებს. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ადათობრივი ნორმის დამრღვევის დატყვევების პრაქტიკა, რომელსაც ცალკეული ოჯახი მიმართავდა, სათემო მმართველობის დაკნინებაზე მიუთითებდა, ხოლო ტყვის დაყმევება — ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგის განმტკიცებაზე[1].

სანცხვირიანი სახლი

სვანურ საცხოვრებელ ნაგებობებში გამოარჩევენ სანცხვირიან სახლს[2]. სანცხვირიანი სახლი სვანური საცხოვრებელი სახლის ქვესახეობას წარმოადგენს. ის ჩვეულებრივ ორსამ სართულიანია და საცხოვრებელი სახლისაგან განსხვავდება მეორე სართულის ერთ-ერთ კუთხეზე მიშენებული ქვის ბუდით, რომელიც დაცვით ფუნქციას ემსახურებოდა. ბუდის კედლებზე დატოვებულია საისრე-სათოფური ხვრელები— სანცხვირ (ცხვი—ისარი, სანცხვირ—საისრე).

---

[1] რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, „სვანური „ლამტყვირ“-ის მნიშვნელობისათვის“, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, 105.

[2] რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანეთის სოფელი ძველად.

სანცხვირიანი სახლები ძირითადად გავრცელებულია ბალს ქვემო სვანეთში. აქ ისინი ცალკე, დამოუკიდებლად მდგომი ერთეულის სახით გვხვდებიან. ბალს ზემო სვანეთში სანცხვირიანი სახლი იშვიათად გვხვდება, ამასთან აქ ისინი რთული საცხოვრებელი კომპლექსების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ და ამ კომპლექსების რომელიმე სუსტი მხარის დაცვას ემსახურებოდნენ.

სანცხვირიანი სახლების არათანაბარ გავრცელებას ბალს ზემო და ბალს ქვემო სვანეთში ობიექტური მიზეზები განაპირობებდა.

ზემო სვანეთში ჩაწერილ გადმოცემებში აღნიშნულია, რომ ოჯახისაგან გამოყოფილ ყველა ახალ მოსახლეს არ შეეძლო კოშკისა და საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ახალი მოსახლე ჯერ საცხოვრებელ სახლს აგებდა და, თუ ეკონომიური შესაძლებლობა გააჩნდა, შემდეგ კოშკს აიშენებდა. საცხოვრებელი სახლი უკოშკოდ მოკლებული იყო დაცვის საშუალებებს. საჭირო იყო საცხოვრებელი სახლის გამაგრების გზების ძიება. ჩანს, რომ ამ მიზნისათვის აგებდნენ ჯიხურს ხის სქელი ფიცრებისაგან, სახლის სახურავის მოხერხებულ ადგილზე. ჯიხური სახლის მზიდი კედლებიდან კონსოლისებურად იყო გადმოშვერილი. ეს ნაშვერი საკმაოდ დიდი ყოფილა. ჯიხურის იატაკში ღიობს ტოვებდნენ (პირველი სართულის სათავსში შესასვლელი კარის თავზე), საიდანაც კარზე მომდგარ მტერს ქვას აყრიდნენ. ჯიხურის კედლებში ხვრელები იყო დატოვებული. აქედან მტერს ისარს უშენდნენ. ჯიხურის სიმაღლესა და სიგრძე-სიგანეს ისეთი ზომისას ირჩევდნენ, რომ

შიგ რამდენიმე მოისარს თავისუფალი მოქმედების საშუალება ჰქონოდა. ჯიხურში დარბაზის იატაკიდან მიდგმული ხის კიბით ადიოდნენ: ეკონომიურად მოღონიერებული ახლად დასახლებული ოჯახი, კოშკს იშენებდა, რის შემდეგაც ჯიხური ზედმეტ დანამატად იქცეოდა და მას შლიდნენ.

როგორც ცნობილია, XII—XIII სს. ბალს ქვემო სვანეთში გაძლიერდა რიჩგვიანების გვარი (სვანეთის კრების მატიანეში, რომელიც XIII ს. განეკუთვნება, ისინი როჩაგვიანების გვარით არიან ცნობილი). XIII—XV სს. მანძილზე მიმდინარეობს ბრძოლა პირველობისათვის რიჩგვიანებსა და დადეშქელიანებს შორის. ამ ორთაბრძოლაში დადეშქელიანები იმარჯვებენ და თავიანთი ძალაუფლების გაძლიერების შემდეგ ბალს ქვემო სვანეთში ახალი კოშკების მშენებლობას კრძალავენ, რომ დამორჩილებულ გვარება წინააღმდეგობის გაწევის ეფექტური საშუალება არ ჰქონოდათ.

ამ პერიოდიდან იწყება სანცხვირიანი სახლების მასიური მშენებლობა ბალს ქვემო სვანეთში. ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებაში შემოსვლის შემდეგ ჯიხურის ხის ფიცარი თავდაცვისათვის ნაკლებად საიმედო გახდა და ჯიხური სახურავიდან სახლის მეორე სართულისაკენ ინაცვლებს, ამასთან მისი კედლები ქვითა და კირით შენდება.

სოფელ ბარშის (დადეშქელიანების რეზიდენცია) აღწერისას შენიშნულია, რომ ამ სოფლის განაპირას განლაგებული სანცხვირიანი სახლების ერთ-ერთ ფუნქციას დადეშქელიანების სასახლის დაცვა წარმოადგენდა[1].

---

[1] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, 48.

სვანირიანი სახლი

სვანირიანი სახლი წარმოადგენს საცხოვრებელ კომპლექსს, რომელიც ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლისა და სამ-ოთხსართულიანი საცხოვრებელი კოშკის სახეცვლილი ნაგებობის „სვანირ"-ისაგან შედგება. ეს კომპლექსი სვანირიანი სახლის სახელწოდებით პირველად პროფესორმა ალ. რობაქიძემ აღნიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში.

სვანირიანი სახლი გავრცელებულია მთელ ზემო სვანეთში, მაგრამ ბალს ზემოთ, როგორც წესი, ის რთული საცხოვრებელი კომპლექსების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, ბალს ქვემოთ კი ცალკე მდგომი დამოუკიდებელი ერთეულის სახეს ატარებდა.

ბალს ქვემო სვანეთში დადეშქელიანების მიერ კოშკების მშენებლობის აკრძალვის შემდეგ რიგითი მოსახლე ეძებს საცხოვრებელი კომპლექსების ისეთ ფორმებს, რომლებიც აქაური ფეოდალის თვალსაზრისით დასაშვები იქნებოდა, ამასთან გარკვეულ ფუნქციას შეასრულებდა სოფლის საერთო ან დადეშქელიანების სასახლის დაცვის სისტემაში და ამავე დროს უზრუნველყოფდა ცალკეული ოჯახის უშიშროებას. ძიების პროცესში მშენებელი იყენებს საცხოვრებელი კოშკის მივიწყებულ ფორმას, სახეს უცვლის მას ახალი ყოფისა და იარაღის მოთხოვნილებების შესაბამისად, დგამს მას საცხოვრებელ სახლთან და ქმნის კომპლექსს, რომელშიც საცხოვრებელი, სამეურნეო და დაცვითი ფუნქციის მატარებელი სათავსები განლაგებულია ორ ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ ნაგებობაში, ამასთან ეს კომპლექსი მნიშვნელოვნად

განსხვავდება როგორც საცხოვრებელი კოშკის, ისე მურყვამიანი სახლისაგანაც.

ბალს ზემო სვანეთში თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა არ ყოფილა შეზღუდული და ამდენად სვანირიანი სახლის ცალკე მდგომ ერთეულად გამოყოფისათვის ობიექტური წინაპირობა არ არსებულა (ბალს ზემოთ ამჯობინებდნენ მურყვამიან სახლს ან გალავნიან კომპლექსს, რომლებიც თავდასაცავად სვანირიან სახლთან შედარებით უფრო ეფექტური იყვნენ).

სვანირიანი სახლები დაწინაურებული გვარების საცხოვრებელ კომპლექსებთან გვხვდება. ბალს ქვემო სვანეთში სვანირიანი სახლები ძირითადად დადეშქელიანების საცხოვრებელ კომპლექსებთანაა დაკავშირებული. ბალს ზემოთ იგი დაწინაურებული გვარების (ველოვანების, იოსელიანების, ჩარკვიანების, ფარჯიანებისა და სხვა) საცხოვრებელ კომპლექსებში გვხვდება.

გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსები

გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი სვანური ნაგებობების შემდგომი განვითარების შედეგადაა მიღებული. ის მურყვამიანი სახლის ბაზაზეა შექმნილი. მართალია, მურყვამიანი კომპლექსი თავის დროზე ინდივიდუალური თავდაცვის საკმაოდ კარგ საშუალებას წარმოადგენდა, მაგრამ რამდენიმე ნაკლიც გააჩნდა:

1. ხანგრძლივი ალყის პირობებში ოჯახის წევრები იძულებული იყვნენ კოშკის სათავსებში განლაგებულიყვნენ და

სხვა სამეურნეო და საცხოვრებელ სათავსებთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონოდათ. მტერს, საფარების საშუალებით შეეძლო კოშკის ძირამდე მისვლა და მისი დაზიანება.

2. ოჯახში საქონლის გამრავლება იწვევდა საქონლისათვის ახალი სადგომისა და საკვების საზამთრო მარაგის შესანახი ადგილის შექმნის აუცილებლობას.

3. ტყვეების ზრდის შედეგად კოშკის კედლებში მოქცეული მცირე ზომის დილეგი აღარ იყო საკმარისი და ძლიერი ოჯახი აგებდა მიწისქვეშა დილეგების მთელ სისტემას.

4. ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებაში შემოსვლის შემდეგ საჭირო გახდა თოფისწამლის შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის (გვარჯილა) მოპოვება. მისთვის აგებდნენ დამატებით მიწისქვეშა საკნებს.

5. ოჯახში მოჯამაგირეების და შინამოსამსახურეების (ლიდიანე, ფამლი, ქორსმერდე) რიცხვის ზრდა მოითხოვდა მათთვის დამატებით საცხოვრებელ ფართს.

ამრიგად, იქმნებოდა სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების რთული კომპლექსი, რომლის დაცვას ერთი კოშკი ვეღარ სწვდებოდა. საჭირო შეიქმნა გაზრდილი საკარმიდამოს დაცვის თვისობრივად გაუმჯობესების აუცილებლობა და მშენებელმა საკარმიდამოს ქვითკირის მაღალი კედელი შემოავლო, გალავნის კედლების შიგნით თიხის მილებით შეყვანილი წყალი დამცველებს უზრუნველყოფდა სასმელი და სამეურნეო წყლით. გალავნის კედლების შიგნით შესაძლებელი იყო ზოგიერთი სახის სამეურნეო სამუშაოს შესრულება ალყის პი-

რობებშიც კი. გალავნის კედლებში დატოვებული საბრძოლო ღიობები თავდაცვის კარგ საშუალებას ქმნიდა.

გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსები დაცვითი ფუნქციის მიხედვით საკმაოდ განსხვავდებიან სხვა საცხოვრებელი კომპლექსებისაგან. ოჯახის წევრთა სიცოცხლე და ქონება აქ ორმაგი დაცვითაა უზრუნველყოფილი. თავდაცვითი ოპერაციები ჯერ გალავნის კედლებიდან წარმოებდა, ხოლო თუ მტერი გალავნის შიგნით შეჭრას მოახერხებდა, დამცველები კოშკსა და სხვა ნაგებობებში იხიზნებოდნენ და იქიდან აწარმოებდნენ თავდაცვით ბრძოლას. დაცვით ოპერაციებში ფამლიცა და ქორსმერდეებიც ე. ი. შინამოსამსახურეებიც იღებდნენ მონაწილეობას.

გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი ოჯახის ინდივიდუალური თავდაცვის ყველაზე კარგ და მაღალ დონემდე განვითარებულ საშუალებას წარმოადგენდა. მისი შექმნა განაპირობა ოჯახში სიმდიდრის დაგროვებამ. რიგ შემთხვევაში ეს კომპლექსი თანდათანობით შენდებოდა. ჯერ აგებდნენ მურყვამიან სახლს. ეკონომიურად მოღონიერების შემდეგ მას უმატებდნენ კიდევ ერთ სახლს, ან საზაფხულო სადგომს, ან ორივეს ერთად. შემდეგ ამას ემატებოდა კიდევ რამდენიმე სამეურნეო სადგომი და საბოლოოდ ყოველივეს გალავნის მაღალ კედლებს შემოავლებდნენ.

ეკონომიურად ძლიერი ოჯახი გალავნიანი კომპლექსის შემადგენელ თითქმის ყველა ნაგებობას ერთდროულად აშენებდა. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ჩარკვიანების

გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი ლატალში. გადმოცემით ამ კომპლექსის შემადგენელი ყველა ცალკეული ნაგებობა ერთდროულად აშენდა. რაც ოჯახის ეკონომიურ შესაძლებლობასა და წოდებრივ დაწინაურებულობაზე მეტყველებს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ ჩარკვიანებმა ამ კომპლექსის მშენებლობისას და სხვა სახის სამუშაოების შესრულების დროსაც, ურთიერთდახმარების კოლექტიური ფორმები, რომლებიც ასახავდნენ ძველად არსებული სოციალური ურთიერთობის მხარეებს, თავიანთ ინტერესებს დაუქვემდებარეს და თანასოფლელთა მიმართ სავალდებულო აქტად აქციეს[1].

ძალზე შთამბეჭდავია სოფელ ბარშში დღემდე შემორჩენილი დადეშქელიანების გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსის ნაშთები.

დადეშქელიანების საცხოვრებელი კომპლექსის შექმნა-ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სვანური ხალხური ხუროთმოძღვრების იმ საუკეთესო ტრადიციებმა, რომელიც გამომუშავდა მისი განვითარების ხანგრძლივ მანძილზე. კომპლექსის შემადგენელი ცალკეული ნაგებობანი, კონსტრუქციული ელემენტები და დეტალები დამახასიათებელია სვანური ხუროთმოძღვრებისათვის და ხალხური შემოქმედებიდან იღებენ სათავეს.

დადეშქელიანების საცხოვრებელი კომპლექსი სოფლისაგან განცალკევებით იდგა, სოფლის მიმართ სტრატეგიულად

---

1 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, 109.

მოხერხებულ ადგილზე და მისი სათოფურები მიმართული იყო სოფლის ყველა მოსახლის საკარმიდამოსაკენ. აშკარად ჩანს, რომ დადეშქელიანების კომპლექსი გაბატონებული გვარის ინტერესს ემსახურებოდა და არა საერთო-სასოფლო დაცვას.

დადეშქელიანების საცხოვრებელი კომპლექსი ტერიტორიულად ეცერის ჩრდილოეთ ნაწილშია მოქცეული. სოფელ ბარშის გარკვეული რიგის ნაგებობები კეტავდნენ სოფელში შემოსასვლელ გზებს და მათში მცხოვრებნი ვალდებული იყვნენ გაემაგრებინათ ბატონის საცხოვრებლის მისადგომები, რომელიც თავის მხრივ ძლიერ ზღუდეს წარმოადგენდა თავდამსხმელთათვის. საგანგებოდ იყო გამაგრებული სოფლის სამხრეთის მისადგომები, რომელიც ქვემო ეცერიდან მომავალ გზებს იცავდა. როგორც ცნობილია, ქვემო ეცერი რიჩგვიანების სამოსახლო იყო და მათ დადეშქელიანებთან მუდმივი მტრობა ჰქონდათ.

დადეშქელიანებისეული ბარშის საცხოვრებელი კომპლექსი დიდი ხნოვანებისა არ უნდა იყოს, რადგანაც თვით დადადეშქელიანთა გვარის წამოტივტივება და მისი მაღალ ფეოდალურ წოდებაში ფეხის მოკიდებაც გვიანფეოდალურ ეპოქაში მომხდარ ფაქტად ჩანს. ხალხური გადმოცემები იმაზე მიუთითებენ, რომ დადეშქელიანებზე უწინ ზემო სვანეთში დაწინაურებული იყვნენ ყიფიანები, ჩარკვიანები, გელოვანები, იოსელიანები და სხვა. ბალს ქვემო სვანეთში განსაკუთრებით დაწინაურებული ყოფილან რიჩგვიანები, რომლებიც ყველაზე

ადრე XIII ს. სვანურ საისტორიო წყაროებში მოიხსენებიან. იმავე საბუთებში დადეშქელიანები არ ჩანან.

XV ს. ბოლოს შედგენილი წიგნი ბალს ზემო სვანეთისა და ჯაფარიძეთა შორის სასისხლო საქმეზე რიჩგვიანებსა და დადეშქელიანებს ერთად მოიხსენიებს, ამასთან ისე, რომ ისინი ამ დროს თანასწორი ძალაუფლების მქონენი ჩანან. რიჩგვიანების საბოლოო განადგურება XVI ს. დასაწყისში უნდა მომხდარიყო, რის შემდეგაც დადეშქელიანებმა მიწასთან გაასწორეს მათი სახლკარი, მათ მიწა-წყალს თვითონ დაეპატრონენ და მათ ნასახლარებზე სხვადასხვა გვარის ოჯახები დაასახლეს.

ცხადია, რომ რიჩგვიანებსა და დადეშქელიანებს შორის პირველობისათვის ბრძოლაში წარმატებას იმან მიაღწია, რომელსაც თავდაცვის უკეთესი საშუალებანი გააჩნდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ დადეშქელიანების საცხოვრებელი კომპლექსი უკვე XV ს. ბოლოს აიგო ადრე არსებული ნაგებობების ბაზაზე, რომელთაგან, როგორც ჩანს, დღემდე მოაღწია მხოლოდ სვანური საცხოვრებელი სახლის ნანგრევებმა, რომლის ზომებიც დადეშქელიანების საცხოვრებელს იმთავითვე განასხვავებდა რიგითი მოსახლის საცხოვრებლისაგან. გადმოცემით, რიჩგვიანების კოშკებიც გამოირჩეოდნენ სიდიდით რიგითი მოსახლეების კოშკებისაგან.

მოყვანილი მასალა გვიჩვენებს, რომ ზემო სვანეთისათვის დამახასიათებელი იყო ქვის მრავალსართულიანი მონუმენტური ნაგებობანი და კომპლექსები, რომელთაგან ქრონოლოგიურად ადრინდელად ჩანს საცხოვრებელი კოშკი, შემდეგ მო-

დის მურყვამიანი სახლი, ხოლო მოგვიანებით მათ ბაზაზე ყალიბდება გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი.

საცხოვრებელი კოშკების ანალიზი და მათ შესახებ ჩაწერილი გადმოცემები გვიჩვენებენ, რომ ზემო სვანეთში გარკვეული პერიოდისათვის ეს ნაგებობანი წარმოადგენდნენ ძირითად საცხოვრებელ ერთეულს და კარგადაც ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ისინი აერთიანებდნენ საცხოვრებელ-სამეურნეო და თავდაცვით ფუნქციებს.

თავდაცვის ფუნქცია მოითხოვდა დიდ სიმაღლეს, საცხოვრებელ-სამეურნეო ფუნქცია კი — დიდ ფართს. დიდი სიმაღლის მიღწევა შეიძლებოდა კედლების პერიმეტრის შემცირებით; ფართის გასაზრდელად კი საჭირო იყო კედლების პერიმეტრის გაზრდა. ამრიგად, საცხოვრებელ კოშკში ორი ფუნქციის არსებობა გარკვეულ ეტაპზე აჩენს შინაგან წინააღმდეგობას, რასაც შედეგად მათ შორის არსებული ფარდობითი წონასწორობის დარღვევა მოჰყვება. ორი ფუნქცია ქმნის ორ ნაგებობას — ერთია თავდაცვითი, რომელსაც მურყვამი ეწოდება და მას სიმაღლე განსაზღვრავს, ხოლო მეორეს — საცხოვრებელ-სამეურნეოს დიდი ფართი ახასიათებს.

განვითარების გზით წარმოქმნილი თვისებრივი სიახლე უარყოფს ძველს და მკვიდრდება ცხოვრებაში ჯერ როგორც ერთეული, ხოლო შემდეგ როგორც ზოგადი და საყოველთაო. ესაა იმის მიზეზი, რომ საცხოვრებელი კოშკები ზემო სვანეთში მცირე რაოდენობითღა შემორჩენილან საწყისი ფორმებით.

სწორედ აქ მოჩანს გამოკვეთილად ის გარემოება, რომ მშენებელს საქმე მარტო ნაკვეთთან, სივრცესა და მასალასთან კი არა აქვს, არამედ გარკვეულ საზოგადოებრივ ინტერესებთან. მშენებლობა მუდამ ადამიანისათვის, საზოგადოებისათვის

წარმოებდა და ის, არა მარტო სოციალური ურთიერთობის ნორმებს, კულტურისა და ყოფის თავისებურებებს გამოხატავდა, არამედ, როგორც მათი მატერიალური განსახება, განამტკიცებდა კიდეც მათ.

გარკვეული დროის მანძილზე მურყვამიანი სახლი, რომელშიც დაცვითი და საცხოვრებელ-სამეურნეო ფუნქციები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იყო წარმოდგენილი, ერთი მხრივ კოშკისა, მეორე მხრივ კი საცხოვრებელი სახლის სახით, წარმატებით ასრულებდა თავის მოვალეობას.

ოჯახის ეკონომიური და წოდებრივი დაწინაურება იწვევდა საკარმიდამოს ცვლილებას. საკარმიდამოზე ჩნდებოდა დამატებითი საცხოვრებელ-სამეურნეო ნაგებობანი, რომელთა დაცვის დროს მარტო კოშკის არსებობა ნაკლებ ეფექტს იძლეოდა. ნაგებობათა რაოდენობრივი ზრდა, სამოსახლოს ტერიტორიის გაფართოება, მოითხოვდა დაცვითი ფუნქციის თვისებრივ გაუმჯობესებას, რადგანაც ამ მომენტისათვის საცხოვრებელ-სამეურნეო და დაცვით ნაგებობებს შორის ფარდობითი წონასწორობა კვლავ დარღვეული იყო. წონასწორობის აღსადგენად მშენებელმა საკარმიდამოს გალავნის მაღალი, მასიური კედლები შემოავლო. სიახლე ძველის განვითარების ბაზაზე იქნა მიღებული. მას საფუძვლად მურყვამიანი სახლი ედო. სიახლე ცხოვრებისეული გამოდგა და დამკვიდრდა კიდეც ცხოვრებაში. გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსის შექმნა, მორიგი წინ გადადგმული ნაბიჯია სვანური ხალხური ხუროთმოძღვრების ევოლუციის გზაზე.

მას შემდეგ, რაც დადეშქელიანების მიერ აიკრძალა კოშკების მშენებლობა ბალს ქვემო სვანეთში, რიგითი მოსახლეობა ეძებს ახალ გზებსა და საშუალებებს საცხოვრებლის და-

საცავად. ამ ძიებისას იყენებს მშენებლობის ძველ ტრადიციებსა და ხერხებს, ახლებურად უდგება მათ და ახალი დროის შესაბამისად ახდენს მათ გადამუშავებას. ასე იქმნება სანცხვირიანი და სვანირიანი სახლი, როგორც დამოუკიდებელი საცხოვრებელი ერთეული. მათ უკვე დაკარგული აქვთ ის მონუმენტურობა, რაც ასე ახასიათებდა საცხოვრებელ კოშკს, მურყვამიან სახლს თუ გალავნიან საცხოვრებელ კომპლექსს.

ბალს ქვემო სვანეთის საცხოვრებელი ნაგებობების მაგალითზე შემჩნეულია, რომ დაცვითი ფუნქცია რიგითი მოსახლეობის საცხოვრებლებში დაქვეითებას განიცდის[1]. ეს დაქვეითება იმდენად დაღმავალია, რომ მოგვიანებით ჩნდება საცხოვრებლის სახე, რომელსაც თავდაცვის საშუალებანი საერთოდ აღარ გააჩნია.

სვანური ხალხური ხუროთმოძღვრება ქართული ხუროთმოძღვრების განუყოფელი ნაწილია. მან დღემდე შემოგვინახა ქართული ხუროთმოძღვრების უძველესი ტრადიციული წესები და მისი განვითარების ზოგი ეტაპი, რომლის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ქართული საერო ხუროთმოძღვრება არ წარმოადგენდა ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ სტატიკურ, უცვლელ ფორმას, რომელიც ნეიტრალური იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების მიმართ. მას გააჩნდა თავისი დროისათვის იმდენად მაღალგანვითარებული ფორმა, რომ შესძლო ხანგრძლივი დროის მანძილზე მიყოლოდა საზოგადოებრივი განვითარების პროცესს და ძველის ბაზაზე ახალი ფორმები შეექმნა, ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად.

---

1 რ. ხ ა რ ა ძ ე, ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანეთის სოფელი ძველად, 44.

ეკლესიები

ერთ-ერთი ისტორიული წყარო მოგვითხრობს, რომ სვანებს ქრისტიანობა ლაზებთან ერთად მიუღიათ ბიზანტიელებისაგან. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ანდრია მოციქულის მოწაფეები ასულან სვანეთში, უქადაგნიათ და მოსახლეობას ადვილად მიუღია ახალი მოძღვრებაო[1]. მომდევნო პერიოდში ვითარება შეცვლილა, რადგანაც რომის ტასტზე ახალი რელიგიის მდევნელი დიოკლეტიანე ადის. მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ტახტს ქრისტიანობის მფარველი იმპერატორები იკავებენ და ქრისტიანობაც სახელმწიფო რელიგიად ცხადდება, ცხადია ამ რელიგიის გავრცელებას და განმტკიცებას სხვა კუთხეებშიაც, მათ შორის სვანეთშიაც შეუწყობდნენ ხელს, მით უმეტეს, თუ ზემოთმოყვანილ ცნობას დავეყრდნობით, მისთვის აქ ნიადაგი უკვე შემზადებული ყოფილა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, IV ს. დამდეგიდან დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობას გზა გაკვალული ჰქონია.

თუ რა ვითარება იყო სვანეთში IX ს-მდე, ამაზე პასუხის გაცემა საჭირო საბუთების სიმცირის გამო ძნელია, მაგრამ უკვე IX—XII სს. ეკლესიების კედლებზე აღბეჭდილი ფრესკები და ეკლესიებშივე დაცული იმავე დროის ოქრომჭედლობის ნიმუშები, რომელთა მეტი ნაწილი ადგილობრივი მხატვრებისა და ოქრომჭედლების ნამუშევარია, იმდენად მაღალმხატვრული გემოვნებითაა შესრულებული, რომ მათი ხელოვნების ნაწარმოებად ჩამოყალიბება-შექმნისათვის საჭირო იქნებოდა საკმაოდ ხანგრძლივი წინაპერიოდის ძიებანი.

---

1 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. 1, თბ., 1941, 58.

ზემო სვანეთში დღემდე შემორჩენილი ეკლესიებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით X—XIV სს არ ყოფილა ისეთი სოფელი, სადაც ერთი ან რამდენიმე ეკლესია არ მდგარიყო. ამასთან ერთად, ორი ან რამდენიმე სოფლის გაერთიანებას, ცალკეულ საზოგადოებებს ან ხევებს, რამდენიმე საზოგადოების ან ხევის გაერთიანებას თავისი საკუთარი ეკლესია გაჩნდა, ხოლო კალის წმინდა კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია ზემო სვანეთის საერთო სამლოცველოს წარმოადგენდა ისევე, როგორც ეშვთიმე თაყაიშვილის სიტყვები რომ გავიმეოროთ, ბერძნებისათვის დელფოსის ტაძარი იყო.

სვანები ეკლესიებს ისეთ ადგილებში აშენებდნენ, რომლებიც ხალხს წმინდა ადგილებად მიაჩნდა. ეკლესიები იგებოდა ბორცვებზე, მთებში, წმინდა ტყეებში, წმინდა ტბებთან, წმინდა ხეებთან და სხვა, რომლებიც თავიანთი წარმოშობით მეტწილად ხთონური კულტის ატრიბუტებს წარმოადგენდნენ.

ეკლესიის ასაგებად საჭირო ადგილის შერჩევის ერთ-ერთი ხერხი შემოუნახავს ჩვენთვის ზემო სვანეთში ჩაწერილ გადმოცემებს. წმინდა კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიისათვის ადგილის შესარჩევად მოუჭრიათ ხე, გამოუთლიათ ძელი, უღელში ორი კუროს შეუბამთ, ძელი უღელზე მიუბამთ, ძელზე შალიანის ხატი დაუსვენებიათ და დაუმაგრებიათ. კუროები კი თავიანთ ნებაზე გაუშვიათ. მათ მდინარე ენგური გადაულახავთ, აღმართს შედგომიან და იმ გორაკის წვერზე გაჩერებულან, სადაც შემდეგ ეკლესია ააგეს, რომელშიც შალიანის ხატი დღემდე ინახება.

ეკლესიის შენებაში მონაწილეობას ღებულობდა გაერთიანებული მოსახლეობა ერთი ან რამდენიმე სოფლისა. ისინი

ერთად მოიპოვებდნენ და ამზადებდნენ სამშენებლო მასალას, მიზიდავდნენ სამშენებლო მოედნამდე, მოიწვევდნენ კალატოზებს და ამის შემდეგ იწყებდნენ ერთად საძირკვლის თხრას.

ეკლესიების შენება მძიმე, შრომატევად სამუშაოებთან იყო დაკავშირებული თუ მათ მთაში, ძნელად მისადგომ ადგილას აგებდნენ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სამშენებლო მასალის აზიდვა ხდებოდა 10—12 კმ-ის მანძილზე, რთული რელიეფის პირობებში. ბეჩოში, მეზირის მთაზე მდებარე მთავარანგელოზის ეკლესიის მშენებლობისას, მოსახლეობა რიგში ჩამწკრივებულა 5 კმ-ის მანძილზე, ბეჩოდან მთამდე და ერთმანეთს ხელიდან ხელში გადასცემდა სამშენებლო მასალას. გადმოცემით მასალის ამღებსა და დამდებს იმდენი ჯაფა დასდგომიათ, რომ სამუშაოს დამთავრებისთანავე დახოცილან.

ეკლესიას, როგორც წესი, კარგად გამოთლილი სპონდის ქვებისაგან აშენებდნენ. შენების დამთავრების შემდეგ იწვევდნენ მხატვრებს და ეკლესიის ინტერიერისა და, ზოგ შემთხვევაში, ექსტერიერის კედლებსაც მოახატვინებდნენ. კალატოზებისა და მხატვრებისათვის საფასურს მოსახლეობა აგროვებდა.

ეკლესიებისათვის კარს კარგად ცნობილ ხის დამმუშავებელ ოსტატებს უკვეთავდნენ. კარის მხატვრულად დამუშავებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა, რადგანაც სწორედ ხის კარები თავისი მრავალსახა ორნამენტითა და პლასტიური სკულპტურით, ხოლო რიგ შემთხვევებში ექსტერიერის მხატვრობა ქმნიდა იმ უცილობელ აქცენტს, რომელსაც ბარის რეგიონებში არქიტექტურული ფორმებით აღწევდნენ. ამ თვალსაზრისს ნათლად ადასტურებენ ფხოტრერის მთავარ-

ანგელოზის ეკლესიის კარი, სვიფის (ფარი) წმინდა გიორგის ეკლესიის კარი და სხვა, რომლებიც X—XI სს. მიჯნაზეა შესრულებული და ხის მხატვრულად დამუშავების შედეგრებს წარმოადგენენ.

ეკლესიას, აშენებისა და მოხატვის დამთავრების შემდეგ, გალავნის მაღალი კედლებით შემოზღუდავდნენ. გალავანს ჩვეულებრივ იმ ეკლესიებს ავლებდნენ, რომლებიც მთავარ საგზაო კომუნიკაციებთან ახლოს იყო აგებული. ტყეში და მთაში, მოფარებულ ადგილებში აგებულ ეკლესიებს გალავანი არ სჭირდებოდა, რადგანაც უცხო პირი მას ძნელად თუ მიაგნებდა. ზოგჯერ გალავნის კედლებს ეკლესიის შენებისას აგებდნენ. გალავნის კედლებში მრავალრიცხოვან საისრე ხვრელებს ტოვებდნენ. ზოგი ეკლესია ზემო სვანეთში ციხესიმაგრესავითაა გამაგრებული. მათ დაცვითი ნაგებობების მთელი სისტემა აკრავთ. ასეთებია ლამარიას ეკლესია უშგულში, წმინდა კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია კალაში; ასეთივე ყოფილა XV ს-ის ისტორიული საბუთების მიხედვით ლაფსყალდის ეკლესია და სხვა.

ზემო სვანეთში მხოლოდ დარბაზული ტიპის ეკლესიები მოგვეპოვება. მათ IX—XIII სს. სტილის განვითარების იგივე საფეხურები გაიარეს, რაც იმავე პერიოდის ქართულმა გუმბათიანმა და დარბაზული ტიპის ეკლესიებმა.

XI—XIV სს. ქრისტიანული მღვდელთმსახურება ზემო სვანეთში საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა, რაზეც მიუთითებენ, ერთი მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ამა თუ იმ წმინდანის სახელზე შეწირული ოქროს თუ ვერცხლის უამ-

რავი ხატ-ჯვარი[1], ხოლო, მეორე მხრივ, ბარის პოლიტიკური მესვეურების მიერ სვანეთის ეკლესიებისადმი შეწირული მრავალრიცხოვანი ნივთები და ხატ-ჯვრები[2].

ეკლესიების ეზოების ნაწილი მეტწილად სასაფლაოებად იყო გამოყენებული.

ზოგი ეკლესია რომელიმე ძლიერი ოჯახის გალავნიან საცხოვრებელ კომპლექსში იყო აგებული.

---

[1] ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, 142, 144, 268, 317, 324, 378 და ა. შ.

[2] ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, 146, 345, 316, 355, 359, 360, 393 და ა. შ.

ბოლოსიტყვაობა

ზემო სვანეთის შესახებ წარმოდგენილი მიმოხილვა გეოგრაფიული აღწერილობის, ისტორიული ექსკურსების, მეურნეობისა და მატერიალური კულტურის შესახებ მიზნად ისახავდა ამ კუთხისათვის ნიშანდობლივ თავისებურებათა წარმოჩენას. იმ მიზნით, რომ მნახველმა შეძლებისდაგვარად სრულად



მესტია



8. სოფ. ლეხთაგი

აღითქვას ეს თავისებურებანი, კარგი იქნება, თუ ის ამ საინტერესო რეგიონისათვის დამახასიათებელ ძირითად უბნებს მოინახულებდა.

ზემო სვანეთის ადმინისტრაციულ ცენტრში, მესტიაში ორი გზით შეიძლება მოხვდეთ: საჰაერო გზით ქუთაისიდან, ზუგდიდიდან და სოხუმიდან, ხოლო სამანქანო გზით ზუგდიდიდან ან ქუთაისიდან ქვემო სვანეთზე გავლით.

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი თავის მდიდარი და უნიკალური ექსპონატებით მნახველს გარკვეულ წარმოდ-



საცხოვრებელი კოშკი სოფ. ლანჩვალაში

გენას აძლევს ამ მხარის წარსულზე, მის სულიერ და მატერიალურ კულტურაზე. ამის შემდეგ უფრო ადვილია ცალკეულ ხეობებში განლაგებულ კულტურის ძეგლთა აღქმა და გაცნობა.

ბალს ზემო სვანეთის დათვალიერება უმჯობესია დავიწყოთ შემდეგი თანმიმდევრობით: მესტია, უშგული, კალა, იფარი, მულახი, ლენჯერი და ლატალი.

მესტიის სიძველეთაგან აღსანიშნავია სოფელ ლეხთაგის თავზე ხერგიანების გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი

ორი კოშკით, მრავალრიცხოვანი საცხოვრებელი თუ დამხმარე ნაგებობებითა და მიწისქვეშა საკნებით. მნახველს საშუალება ეძლევა ავიდეს კოშკის უკანასკნელ სართულზე და თვალი მოავლოს მესტიის პანორამას. ამავე სოფელში საინტერესოა ჩართოლანების ძველი საცხოვრებელი ნაგებობისა და კომპლექსების დათვალიერება. სოფელ ლანჩვალაში აღსანიშნავია ხერგიანების მეორე შტოს ძველი საცხოვრებელი კომპლექსი, მარგიანების საცხოვრებელი სახლი, რომლის სამ სართულზე შემონახულია ყველა ის საგანი და ატრიბუტი, რასაც იყენებდა ოჯახი წარსულში. სოფელი ლაღამი საინტერესოა თავისი კოშკებით და მაცხოვრის ეკლესიით. ეკლესიის ეზოში დღემდე შემორჩენილან საცდელი ქვები, რომლებზეც ლაღამის ახალგაზრდობა ძველად სიმარდესა და ძალ-ღონეში ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

უშგული ოთხი სოფლისაგან შედგება. ესენია: მურყმელი, ჩაჟაში, ჩვიბიანი და ჟიბიანი. უშგული განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ მან ყველაზე კარგად შემოგვინახა სვანური საცხოვრებლის ძველი ფორმები. დიდი ასაკის კვალი ატყვიათ ჩაჟაშისა და ჩვიბიანის საცხოვრებელ კოშკებს, მურყმელის საცხოვრებელ სახლებსა და კოშკებს.

უშგული ალპიურ ზოლშია მოქცეული და ინტერესს მოკლებული არაა მისი მიმდებარე ტერიტორიის ლანდშაფტი, რომელიც ხასიათდება ჯუჯა დენდრონიმებით, მრავალფეროვანი ყვავილებით და მწვანედ მოხასხასე მაღალი ბალახით. სოფლებთან ახლომდებარე გორაკები კიდევ უფრო მრავლისმეტყველი გაუხდია ადამიანს ხელოვნური ჩარევით. აღმოსავლეთით აღმართული გორაკიდან უშგულს თავს ლამარიას ეკლესია დასცქერის თავისი ციხე-სიმაგრეებით, სამხრეთით — ე. წ.

„თაშარის ციხე". ჩაჟაშის თავზე მდებარე გორაკს, ძველი ციხე-სიმაგრის ნაშთები აგვირგვინებს.

მსურველს შეუძლია უშგულის მიმდებარე მთების ფერდობებზე ან ზაგაროს უღელტეხილზე ასვლა, საიდანაც იშლება შესანიშნავი ხედები კავკასიონის მთავარი ქედისა. აქედან შესაძლებელია უშგულისა და კავკასიონის მწვერვალების თვალწარმტაცი ხედების კინო ან ფოტოფირებზე აღბეჭვდა.

კალა შემდეგი სოფლებისაგან შესდგება: აგრაი, დავბერი, ვიჩნაში, იფრარი, ხე, ლასკრალი, ხალდე. განსხვავება უშგულსა და კალას შორის მნიშვნელოვანია. კალა შედარებით ვიწრო, ტყიან ხეობაშია მოქცეული და კოშკებიც აქ ნაკლები რაოდენობით შემონახულან. სოფელ ვიჩნაშში კოშკებისაგან უკვე აღარაფერია დარჩენილი. აქ ახლა მხოლოდ თანამედროვე ტიპის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებიღა გვხვდება.

კალაში აღსანიშნავია ნინწა კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია, რომელიც თავდაცვითი ნაგებობებითაა გარშემორტყმული. ეკლესიის კედლები XI ს. მოხატული, მხატვარ თევდორეს მიერ. საინტერესოა სოფელ ხეში დაცული ეკლესიაც.

მსურველს შეუძლია ხალდეში ასვლა და მისი მონახულება. სიძველის მოყვარულებს შეუძლიათ ხალდეს ზემოთ ძველი საფორტიპიკაციო ნაგებობისა და ეკლესიის ნაშთების დათვალიერებაც.

იფარის შემადგენლობაში შედიან სოფლები: იფარი, იელი, ზეგანი, ნაკიფარი, წვირმი, ადიში, ბოგრეში. აქ სიძველთაგან აღსანიშნავია სოფელ იფარის მთავარანგელოზისა და სოფელ ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიები, რომლებიც აგრეთვე მხატვარ თევდორეს მოუხატავს.

საინტერესოა წვირმისა და ადიშის მაცხოვრის ეკლესიები, ძველი საცხოვრებელი კომპლექსები, შესანიშნავი ხედები.

მულახის სოფლებია: ზარდალაში, ღვებრა, არცხელი, მურშკელი, ლახირი, ჟამუში, ჭოლაში, მუჟალი, მაჯვდიერი, ცალდაში და ჩვაბიანი. მულახი შედარებით გაშლილ, ვაკე ხეობაშია მოქცეული. სიძველეთაგან აქ აღსანიშნავია ძველი კოშკები, სახლები, ჟამუშისა და მუჟალის ეკლესიები, რომელთაც IX—X სს. აკუთვნებენ და განსაკუთრებით სოფელი ლახირი, რომელიც ძირითადად გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსებისაგან შესდგება.

ასევე საინტერესოა ლენჯერის სოფლებში (კაერი, ლაშთხვერი, სოლი, ნესგუნი, ქაშვეთი, ჰეშკილი, ლემსია) აგებული ეკლესიების, მოხატულობის, ძველი საცხოვრებელი ნაგებობებისა და კომპლექსების ნახვა.

ლატალი თავისუფალი სვანეთის დასავლეთის საზღვარს წარმოადგენდა და სადადეშქელიანო სვანეთს ეკვრის. მის შემადგენლობაში შემდეგი სოფლები შედიან: იფხი, კვანჭიანარი, ლახუშდი, ლაჰილი, ლეშუკვი, მაცხვარიში, სიდიანარი, სგობულდი, შყალერი, ნანყვაშ-ზაგრალი, ლელშაგი, იენაში. ლატალში აგებულ ძველ მრავალრიცხოვან ეკლესიებს შორის აღსანიშნავია იოანე ლატალელისა, ლატალის მაცხოვარი, ლაჰილის მაცხოვარი, იფხის მაცხოვარი და სხვა, საცხოვრებელი კომპლექსებიდან გამოირჩევა ჩარკვიანის გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსის ნაშთები სოფელ იენაშის თავზე.

ბალს ქვემო სვანეთის დათვალიერება სასურველია შემდეგი თანმიმდევრობით:

ბეჩო, ცხუმარი, ეცერი, ფარი, ლახამულა, ნაკი, ჭუბერი და ხაიში.

ბეჩოს შემადგენელი სოფლებია: დოლასვიფი, ბაგვდანარი,

გული, დოლი, მაზერი, ნანხვრი, ნაშთქოლი, ტვებიში, უშხვანარი, ქართვანი, ჭკიდიანარი, ჭოხულდი. სიძველეთაგან აღსანიშნავია ეკლესიები: გულის წმ. გაბრიელისა, მაზერის წმ. გიორგისა, ტვებიშისა, უშხვანარის ლამარია, შიხრას წმ. გიორგისა და სხვა.

თუ ადამიანი არ დაიზარებს და მეზირის მთაზე ავა (მანძილი ბეჩოდან დაახლოებით 4 კმ-ია), მას დიდ სიამოვნებას მიანიჭებს როგორც გზა, რომელიც წიწვოვანი ხეებით დაბურულ ტყეში გადის, ისევე მეზირის მთაზე აგებული უძველესი ეკლესიის დათვალიერება და აქედან გადაშლილი ხედები. აღმოსავლეთით მოჩანს უშბა, მთელი მისი სიმაღლით, სამხრეთით ლაილა, დასავლეთით შდავლერი და სხვა მწვერვალები. ფოტომოყვარული უკეთეს ადგილს ვერ ინატრებს მთიანი ლანდშაფტების გადასაღებად.

სოფელ მაზერში აღსანიშნავია დადეშქელიანების საცხოვრებელი კომპლექსის დღემდე შემორჩენილი ნაშთები.

ცხუმარი მდინარე ენგურის მარცხენა მხარეს დაცემულ ვაკე ადგილზე მდებარეობს. მისი მთლიანი პანორამის ხილვა შეიძლება მოპირდაპირე მხარეს გამავალი სამანქანო გზიდან. ცხუმარში შემდეგი სოფლები შედიან: სვიფი, ლაფსყალდი, ლეზგარა, მაგარდელი, ტვიბერი, ღვებალდი. სიძველის მოყვარულებს შეუძლიათ მოინახულონ ეკლესიები: ლაფსყალდის მთავარანგელოზი, ცხუმარის მაცხოვარი, მაგარდელის წმ. გიორგი, ღვებალდის წმ. გიორგი, ჰუყვის წმ. გიორგი და სხვა. კოშკებისაგან ცხუმარში თითქმის აღარაფერს მოუღწევია ჩვენამდე.

ეცერის სოფლებია: ისკარი, ბარში, გვალდერი, კალაში, ლადრერი, ლანტელი, ლაშხრერი, უსგვირი, უღვალი, ფხოტ-

რერი, ქურაში, ცალანარი, ჭელირი, ებუდი. ეცერში აღსანიშნავია ფხოტრერის მთავარანგელოზის ეკლესია თავისი მოხატულობითა და დეკორიანი კარით, ქურაშის წმ. გიორგის ეკლესია, ისკარის ბარბალე, ლანტელის წმ. გიორგის ეკლესია და სხვა.

სოფელი ბარში დადეშქელიანების თავდაპირველი რეზიდენცია იყო. აქ შემორჩენილია მათი საცხოვრებელი გალავნის ფრაგმენტები და კოშკი, რომელიც სვანეთში უმაღლესია.

ფარში შემავალი სოფლებია: ფარი, ზაგარი, კაცხი, ლამხერი, ლაყვრი, ზედა და ქვედა ლუჰა, სვიფი, ფალედი. ღეშდერი, ყვანა, ხოზვრარი. აქ რამდენიმე ნახევრადდანგრეული კოშკია შემორჩენილი. სიძველთაგან აღსანიშნავია ეკლესიები სვიფის წმ. გიორგისა, ფარის მაცხოვრის, ლუჰას წმ. გიორგისა, ღეშდერის მთავარანგელოზის, კაიშის მთავარანგელოზის და სხვა.

ლახამულის სოფლებია: ლახამულა, დიზი, იფარი, ნოდაში, შდიხირი, ხელრა, ჰამაში — თოთოლეში. აქ აღსანიშნავია ხიდის წმ. გიორგის ეკლესია, იფარის მაცხოვრის ეკლესია, ლახამულაში შემორჩენილი კოშკები და ხის სახლები. სოფელ დიზში შეიძლება მარმარილოს წარმოების დათვალიერება.

ნაკის სასოფლო საბჭოს შემადგენელი სოფლებია: ნაკი, თავრალი, კიჩხულდაში, ხერხვაში, ცალერი. ზუგდიდიდან მესტიისაკენ მიმავალი მგზავრი სამანქანო გზის ზემოთ, გორაკის თავზე, პირველად აქაურ კოშკებს დაინახავს. აქ აღსანიშნავია მუჰის ჩუბეხევის წმ. გიორგის, თავრალის მაცხოვრის, მთის მთავარანგელოზის და სხვა ეკლესიები.

ჭუბერისა და ხაიშის სასოფლო საბჭოები შედარებით

ახალშენებია. აქ კოშკები საერთოდ არ გვხვდება. მათ მაგივრად თითქმის ყველა ოჯახს თანამედროვე ტიპის ორსართულიანი სახლები უდგას. აქ გასაბჭოების პირველ წლებიდანვე გაჩაღდა ხე-ტყის გეგმიანი დამზადება. დიდი რაოდენობის ხის მასალა მიაწოდა ამ კუთხემ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და დაბებს, მშენებლობის დიდ ობიექტებს. ჭუბერში ცისფერი ჯავარიანი, მაღალხარისხოვანი მარმარილოს აურაცხელი მარაგია. სოფ. ხაიშში კი დიდი რაოდენობით არის გამოვლენილი ბარიტის მარაგი.

არქეოლოგიური მონაცემები გვამცნობენ, რომ წარსულში ჭუბერისა და ხაიშის ტერიტორიაც ინტენსიურად იყო დასახლებული, მაგრამ გამუდმებულმა თავდასხმებმა მოსახლეობა აიძულა მიეტოვებინა ეს ადგილები. სიძველეთაგან აქ შემორჩენილა ხაიშის ეკლესია, იდლიანის ეკლესია, ხუბერის წმ. გიორგის ეკლესია და სხვა.

ვიდრე ზემო სვანეთის ტერიტორიას საბოლოოდ დავემშვიდობებოდეთ მნახველს საშუალება ეძლევა საქართველოს ენერგეტიკის გიგანტის, ენგურჰესის მშენებლობის პანორამის ხილვისა, სადაც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მხარდამხარ შესჭიდებიან კლდეებს და შემოქმედებითი შრომა გაუჩაღებიათ კიდევ უფრო ნათელი, უკეთესი მომავლისათვის.

შინაარსი

გეოგრაფიული მიმოხილვა	3
გზები	7
ენა	13
ისტორიული მიმოხილვა	14
ეკონომიური მდგომარეობა	29
სამშენებლო ხელოვნება	48
საცხოვრებელი კომპლექსების სახეობები	77
საცხოვრებელი კოშკი	77
მერყეამიანი სახლი	83
სანცხეირიანი სახლი	87
სვანირიანი სახლი	90
გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსები	91
ეკლესიები	100
ბოლოსიტყვაობა	105

რედაქტორი მზია ერისთავი
მხატვარი რ. მახარაძე
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი
ტექრედაქტორი ვ. ჭიჭინაძე
კორექტორი ლ. არეშიძე
გამომშვები გ. ბენიძე

ს. ბ. № 940

გადაეცა წარმოებას 13/II-78 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VIII-78 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 1. 70×108 1/32.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5, 07.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,17.
უე 06978. ტირაჟი 1000. შეკ. № 248.
ფასი 15 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის თბილისის № 12 სტამბა
უშ. ჩხეიძის ქ. № 8
Тбилисская типография № 12 Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли. Ул. Уш. Чхеидзе № 8.